- როცა დიდი კაცი გახდები, - მითხრა ერთხელ ნოე ძიამ, - მომეცი სიტყვა, რომ ამ კაცს (პოეტზე თქვა) გაიცნობ და ჩემგან დიდ მადლობას ეტყვი ასეთი კარგი ლექსის დაწერილისათვის.

რამდენიმე ხნის შემდეგ სოფელში სამკვდლო გააუქმეს. მკვდლომ მუშაობა ჭიათურის მდაროთა სისტემაში დაიწყო. გავიდა დრო. 1980 წლის იანვარში ოთარ ჭვლიძე გავიცანი. დაემგობრდით. ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს თბილისში. რაღა თქმა უნდა, ნოე ძიასგან დანაბრები მადლობა გადავეცი.

პატივცემულ მკითხველს მინდა შევახსენო „მკვდლის სიკვდილის“ პირველი სტროფი:

აკვამლებულ სამკვდლოში გამკვალავი ქარი უერთგულეს შეგირდით გიღვივებდა ნახშირს, მოგუგუნე შენი ქურის ცეცხლი ჩაუქრალი გიყოფდა და გიჩვენებდა ენას, როგორც ბავშვი.

* * * ...სამწუხაროდ, დღეს არც მკვდელი ნოე ძია და არც პოეტი ოთარ ჭვლიძე ცოცხლები აღარ არიან.

ნუგზარ მკვდლიშვილი



სახელები ქუჩიდან

ქათვან ხამიჯაშვილის საავტორო ჩანართი

ყველას კარგად გვანსოვს სიმღერები კინოფილმებიდან „დღე პირველი, დღე უკანასკნელი“, „დარიკო“, „რეკორდი“, სადაც ცნობილი მომღერლის, მწვენიერი ქალბატონის ინოლა გურგულიას ხმა ისმის. თამამად ვიტყვით, რომ მისი სიმღერები არის, მართლაც, „აუღერება მწვენიერ სულისა“ ... ქალბატონი ინოლა 48 წლის ასაკში გარდაიცვალა, დარჩა სამი შვილი: მამუკა სალუქვაძე, დათო და ია შულღიაშვილები.

ია შულღიაშვილი, მარჯანი-შვილის თეატრის მსახიობი:

- ხშირად მეკითხებიან - დედა გაცხოვრდა? 10 წლის ვიყავი, როცა დედა გარდაიცვალა და როგორ შეიძლება, არ მახსოვდეს? ძილის წინ ჩემი და ჩემი ძმის საწოლებს შორის დადიოდა და ოსკარ უაილდის ზღაპრებს გვიყვებოდა. განსაკუთრებით მოგვწონდა „ვარდი და ბუბუბუ“. დღისით დედას არ ვეცალა. უცხო ენათა ინსტიტუტში მუშაობდა, ასწავლიდა ინგლისურ ენას. შუადღისას აბიტურიენტები მოდიოდნენ და დედა მათ სადამოს მ საათამდე ამეცადინებდა. მახსოვს, ფანჯრიდან ვუყურებდი, დედა შიგნიდან ხელს მიქნევდა, შორიდან მეფერებოდა... შემდეგ კონცერტსა და რეპეტიციებზე მიიქაროდა. დედა დღიდან საღამომდე სახლში არ იყო, მაგრამ ოჯახი ყოველთვის მოვლილი ჰქონდა, უყვარდა წესრიგი და სისუფთავე. კვირა ყველაზე ბედნიერი დღე იყო: დედაჩემის ძმა გამოივლიდა, ჩაგვსამდა მანქანაში და ქალაქგარეთ მივიდიოდით. დედას ძალიან უყვარდა არმაზის ბუნება, იქ საყვარელი ადგილები ჰქონდა შერჩეული, უყვარდა ლისის ტბასთან სეირნობა. განსაკუთრებით ბედნიერი იყო მაშინ, როცა ზაფხულში სამეგრელოში - „უჩაშენაში“ გავემგზავრებოდით (ზუგდიდთან ახლოს), სადაც თავისი საყვარელი ძიძა ელადა - მეგრული კეთილი ქალი, რომელმაც ქართული ერთი სიტყვაც არ იცოდა. მახსოვს, რა ტკბილად ელულუნებოდნენ ერთმანეთს მეგრულად. ძიძა ჩემზე ეუბნებოდა - „გვალა ინოლაო“, - როგორ ჰგავს ინოლასო. ჩვენი მეგრული ოდა მოლით დაფარულ დიდ ეზოში იდგა. იქვე ახლოს, ტყის თავში, იყო ჭა, სახლის უკან კი იწყებოდა თხილის ტყე. სწორედ იმ თხილის ტყეში უყვარდა დედას სეირნობა, თხილნარში შემოსული შვის სხივების ცქერა...

- რამდენი წლის გარდაიცვალა ინოლა გურგულია?

- ინოლა ახალგაზრდა, 48 წლის გარდაიცვალა. მძიმე დაავადება ჰქონდა - ფელტის კიბო. 9 თვის განმავლობაში თავს ძალიან ცუდად გრძობდა, მაგრამ ხალისი და სიმღერის სურვილი არ დაუკარგავს. ვერავინ შეატყობდა, მძიმე ავადმყოფი რომ იყო. ბოლო ორი თვის განმავლობაში სახლში იწვა. მნახველები სევდიანი და თანაგრძნობით მოდიოდნენ, მაგრამ ინოლა ხალისით ხედავდა და უხერხულობას უადვილებდა. გვიან მიხვდა, რომ ძალიან ცუდად იყო. ფეხზე ვეღარ დგებოდა... გარდაიცვალა და დავრჩით სამი შვილი - მამუკა სალუქვაძე (პირველი ქორწინებიდან), დათო შულღიაშვილი და მე - ია შულღიაშვილი.

- თქვენი ძმა - მამუკაც ადრე გარდაიცვალა...

- 1997 წელს გარდაიცვალა იმავე დაავადებით, რითაც - დედა, ისიც ახალგაზრდა იყო - 41 წლის. გარეგნობით მამას ჰგავდა - პოეტ ანზორ სალუქვაძეს, მაგრამ ხასიათითა და თვის-

სებებით - დედას. ინოლას ჩემს ძმაში ვხედავდი - ისეთივე თბილი, ადამიანური და ნიჭიერი იყო. ვთვლი, რომ სამ შვილს შორის სწორედ მამუკა იყო „ინოლას შვილი“. დედა-შვილი ერთად არის დაკრძალული საბურთალოს სასაფლაოზე, ძველ პანთეონში. ინოლას გარდაცვალებამდე ორი კვირით ადრე მამუკას მეუღლე გარდაეცვალა - შშო-

ბიარობას გადაჰყვა. მაგრამ ინოლას ეს ამბავი არ გაუგია.

- ინოლა მეგრული სახელია? ვინ დაარქვა?

- როგორც თვითონ ამბობდა, სვანური წარმოშობის სახელი ყოფილა. ბიძამის სვანეთში ერთ-ერთ ქვეზე ამოუკითხავს (ძნელი გასარჩევი იყო) დინოლა, ირინოლა თუ მირინოლა, გარ-

კვეთით მხოლოდ ინოლა იკითხებოდა და ეს სახელი დაურქმევიათ. სახელით გამოირჩეულს, ხასიათიც განსხვავებული ჰქონდა - უყვარდა სიმღერა, ცეკვა, ხალისი. ამავე დროს, სევდიანი და ტკივილით სავსეა მისი დღიურები. თურმე, ვაჟის სასაფლაოზე უყვარდა სიარული, ამოუჩვენებია უცნობი ადამიანის საფლავი, შებინდებისას ამ საფლავზე დაწვებოდა, ხელებს თავვეთ ამოიღებდა და ვარსკვლავებს შეჰყურებდა, ხან მღეროდა, ხან თავის მუხებს ესაუბრებოდა... ინოლა დავარქვით დათოს ქალიშვილს...

- ინოლას ანდერძი როდის აღმოაჩინეთ?

- ანდერძიც და დღიურიც გარდაცვალების შემდეგ ვიპოვეთ. ვფიქრობ, ანდერძი მაშინ დაწერა, როცა მიხვდა, რომ ვეღარ იცოცხლებდა. ხოლო დღიურს, ალბათ, ახალგაზრდობიდან მოყოლებული წერდა. წლებს არ აღნიშნავდა, მხოლოდ თვესა და რიცხვს აწერდა. დედა 24 ნოემბერს გარდაიცვალა, 29-ში კი დაკრძალეთ. დღიურში ერთი ჩანაწერი 24 ნოემბრით თარიღდება, შემდეგ აღნიშნულია 29 ნოემბერი, მაგრამ ჩანაწერი აღარ გრძელდება, ფურცელი ცარიელია - რიცხვებს დავაგვიდა, გული შემეკუმშა, დავიბენი... მაგრამ მერე მიხვდი, რომ ეს იყო დიდი ხნის დაწერილი დღიური, მაშინ, ალბათ, 3-4 წლის ვიქნებოდი...

- დედის გარდაცვალების შემდეგ ვინ გზრდიდათ?

- დედობილი. მამამ ცოლი შეირთო, მყავს ოცი წლის ძმა. დედის გარდაცვალების შემდეგ, ვიდრე მამა მანანას შეირთავდა, ოჯახს მე ვუვლიდი (უფროსი ძმა ცალკე ცხოვრობდა). 3-4 წლიდან უკვე ჰურთლის რეცხვა შემეძლო. დედას ვერავინ შემიცვლიდა, მაგრამ მანანა ჩემთვის დიდი შვება იყო. დღეს უკვე ისიც და მამაჩემიც გარდაცვლილები არიან.

- როგორ შეუღლდნენ მამაქვენი - კომპოზიტორი მინელი შულღიაშვილი და ინოლა?

- ინოლა ცხოვრობდა ვაჟა-ფშაველას ძეგლთან ახლოს, ახლად აშენებულ სახლში, ერთი ოთახი ჰქონდა. კარის მეზობლად დასახლდა მამაჩემი - მიშა შულღიაშვილი... ასე გაიცნეს ერთმანეთი და შეუღლდნენ. უდიდესი სიყვარული აკავშირებდათ, არაჩვეულებრივი ოჯახი ჰქონდათ. დედამ იცოდა, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ, რა თქმა უნდა, სამშვილიან მამაკაცს გაუჭირდებოდა ოჯახის გაძლიერება, ამიტომაც ანდერძში მამას დაუწერა - „უშეგობროდ ვერ ივარგებ, შვილების გაზრდა გაგიჭირდება მარტოს. შეირთე ვინმე სათნო ადამიანი, გამიხარდება. დამილოცინებარო“. სწორედ ასეთი იყო ჩემი დედობილი - მანანა იოსელიანი...

ესაუბრა

ქათვან ხამიჯაშვილი


ინოლა გურგულია: თქვენი ყველა საბავშვარი მიმავს



ინოლა გურგულია შვილთან - მამუკა სალუქვაძესთან ერთად



ინოლა გურგულიას ქალიშვილი ია შულღიაშვილი



ინოლა გურგულია მუშაობდა - მინელი შულღიაშვილთან და შვილებთან - ია და დათო შულღიაშვილებთან ერთად

ინოლა გურგულიას ანდერძი

... ჩემი მინო, ჩემო თვალისჩინო, ჩემო სიყვარულო, ჩემო ერთგულო, სათხოვ და კეთილო, შენთვის ჩამიბარებია ჩემი პატარები, ჩვენი პატარები. ნუ მოიცილებ გვერდიდან და შეაყვარე მათ ყველაფერი, რაც ჩვენ გვიყვარს.

... მამუკა, დედი!

შენ შემოგვეგლოს შენი დედაცო, შენ იცი, როგორ ღამაზად გამიგრძობდა და გამიხანგრძლივებ სიცოცხლეს. დედის დამარხვა ვაჟკაცის ვალია, შენ პირველი არ ხარ, განსოვდეს. რა აზრი აქვს სხეულს და მძიროს, როცა ჩემი სული შენში ცოცხლობს, ჩემი ათასი ფიქრი და გრძნობა შენში გრძელდება, სიცოცხლე ჩემო. იყავ ბედნიერი მასთან, ვინც გვიყვარს. იყავ ჩემსავით ხალისიანი, გიყვარდეს მამული შენი და იცოდე, რომ შენი ნიჭით და კალმით დიდი ვალი გაქვს მის წინაშე. ნუ გეშინია, დედი! მე შენში ვარ და ამით შენთან ვარ მუდამ.

... ბავშვებო, ჩემებო! ბავშვებო, ჩემებო! ჩემო ია! ჩემო დათო!

თქვენი ყველა სატყვარო მე მიმაქვს თან, მაგრამ მხოლოდ ჩემს სხეულში იქნებიან ისინი. ჩემი სული კი თქვენში დარჩება, დაბრძანდება, გამიზღვდება თქვენს შვილებსა და შვილიშვილებში. თქვენ ვერ მხედვით, თორემ მე ახლაც თქვენთან ვარ და სულ თქვენთან ვიქნები. გითვალთვალებთ, რომ ცუდი არაფერი ჩაიდინოთ, რომ გიყვარდეთ ერთმანეთი, გიყვარდეთ მამიკო, მამუკა, ბაბული, ბებო და პაპიკო, მაღლობა უთხარით მათ ჩემგან ყველაფრისათვის, დაუჭერეთ, იყავით სათნო, კეთილი, პატიოსანი, შრომისმოყვარენი და სახელოვანნი. იმდერეთ ჩემი სიმღერები, რომ მუდამ ცოცხალი ვყო. თქვენშია ჩემი სიცოცხლე, არ შემარცხვინოთ, არ მიდარდით. განსოვდეთ, ქართველები ხართ და ჩემი შვილები, გენაცვალოთ დედა.

არის დღეები
არის დღეები -
ალესილი ხმალი
ტრიალებს,
სულს ატრიალებს
და სამუარო უქმად
ტრიალებს,
გული ფრთხილად
და ამოდ ნაპირს აწვდება,
კიდევ ცოტა და -

უსუსური მაფი გაწვდება...
ალი გეგება ...
თითქოს გული ცხელი თონეა,
სუნთქვა გვესება,
გიღამდება თვალწინ, გგონია,
ფეხქვეშ გეცლება დასაურდენი,
რაც კი გეგონია,
ვით გამაცვული ხმელი ხეები...
არის დღეები -
დაკარგული კატის

ბრჭყალებით,
ლაკოკინებით დალორწილი,
დაწვლულულებული,
გამოფიქრებული თავის ქალა,
მშრალი თვალებით,
სული, სიმშვიდეს
მოწვეურებულები...
არის დღეები -
მარჯალიტის თეთრი მძივები,
ვარდის ფურცელზე ცვარი,

მისიგან ნაცემციმები,
ვით ახილული ცამეგ
კლდეები,
ანდა ფუნადი ორქვიდები,
ვით მომრიალე მხეში ტუეები,
ანდა ნანატრი სამოთხეები...
არის დღეები...
... და რადგან ეს დღე
მეორეს არ ჰგავს,
დღეს ნუ გადაწვევტ
ხვალინდელ ამბავს.

1968 წელს რეჟისორმა ვანტანგ ტაბლიაშვილმა კონსტანტინე გამსახურდიას რომანის „დიდოსტატის მარჯვენას“ მიხედვით ორსერიანი მხატვრული ფილმი გადაიღო. ფილმში, ძირითადად, მარჯანიშვილის თეატრის მსახიობები მიიწვია — ოთარ მეღვინეთუხუცესი, თენგიზ არჩვაძე, ვერა ანაფორიძე, ვასო გომიაშვილი, აკაკი ვასაძე. დიდოსტატ კონსტანტინე არსაკიძის როლი 30 წლის მსახიობმა თანგიზ არჩვაძემ შეასრულა, რომელიც მანამდე გადაღებული იყო კინოფილმებში — „კეთილი ადამიანები“, „ხევსურული ბაღადა“. შორენას როლზე რეჟისორმა მიიწვია უმშვენიერესი ლალი ბაღურაშვილი, რომელიც მაშინ 28 წლისა გახლდათ. ამ ფილმის გადაღებიდან 37 წელი გავიდა.

თანგიზ არჩვაძე - კონსტანტინე გამსახურდიის კომუნისტების მიქებაში არ ყოფილა, მათთვის ის სასურველ მწერლად არ ითვლებოდა, ამიტომ დიდი საოცრება იყო იმ დროს „დიდოსტატის მარჯვენას“ დაბეჭდვა. არსაკიძის როლზე ვანტანგ ტაბლიაშვილმა მიიწვია მანამდე კინოფილმებში („კეთილი ადამიანები“, „ხევსურული ბაღადა“) უკვე შესრულებული მქონდა მთავარი როლები, გმურმა მარჯანიშვილის თეატრში.

- თქვენ გარდა არსაკიძის როლზე სხვა მსახიობები თუ იყვნენ მიწვეულნი?
- 2-3 კაცი უნდა გადაეღო, მაგრამ სინჯების წინააღმდეგი ვიყავი. ბატონ ვანტანგს ვუთხარი, - თუ გნებავთ, აიყვანეთ, თუ არა და სხვის გვერდით სადღეც ცხენივით გასასინჯად არ დავდებები-მეთქი. როლზე სინჯი არასდროს გადავიღე. ერთხელ რეჟისორმა ჩხეიძემ - ჩაიცი, ტანსაცმელი გაეცინათო, - მითხრა. მიწვიანა და წამოვედი გადაღებიდან.

- ამ ფილმში რამდენი წლის ბრძანდებით?
- 30 წლის ვარ, ალბათ, 37 წელი გავიდა გადაღებიდან.
- რამდენად რთული იყო ამ პერსონაჟის სახის შექმნა?
- რთული არ ყოფილა, ამ გმირის ხასიათი ჩემს თვისებებთან ახლოს იყო. საერთოდ, როლი თუ არ მოვიგე, მის სულსა და სიღრმეს თუ არ ჩავეჭდი, ხელს არ მოვიკიდებ. ზერეულად ანდერს ვეკიდებ, მანჭვასა და ტაკი-მასხარაობას პატის არ ვეკვი. ბევრია ბუნებრივად მოწოდებული ამ საქმისთვის და ღმერთმა კარგად ამყოფოთ. მუშაობის პროცესში საკუთარი თავის მიმართ დაუნდობელი ვარ, სასტიკი.

- კოსტიუმებზე ვინ იმუშავა?
- მხატვარმა მამია მაღალაშვილი. ჩემი კოსტიუმი, ძირითადად, ტყავის მასალისგან იყო შეკერილი. ესკიზზე ერთობლივად ვიმუშავებთ. ისიც გავაფრთხილე, - თუ ისეთი არ გვაკეთებ, როგორც მომწონს, არ ჩავიცვამ-მეთქი. თუ ტანისამოსში თავს ცუდად გგრძნობ, ის ტანსაცმელი განწყობას მიფუჭებს, ხელს მიშლის მუშაობისას.

- გადაღებები სად მიმდინარეობდა?
- მცხეთაში, მუხრანთან ახლოს, წილკნის ველზე აშენდა სვეტიცხოვლის დეკორაციისა. ჯვრის უღელტეხილზე... ხომ გახსოვთ, მე და შორენა ცხენებს მივაჭყენებთ. ცხენს რაიმე წაბორძიკებოდა, უფსკრულში გადავიჩხებოდავით, ვერავენ მოგვანახავდა. რა თქმა უნდა, პავლიოვსკის ვიდეობდით. ახლა ეს პავლიოვნი, სამწუხაროდ, უფსკრულია.

- შორენა - იგივე ლალი ბაღურაშვილი, გადაღების დროს გაიცანით?
- ლალის ბავშვობაში ვიცნობდი - ერთ უბანში ვიზრდებოდი, ვორთკოვზე, ვიცნობდი მის მეუღლეს - თემო ბაღურაშვილს (ლალი თვითონ მაღალაშვილის ქალია). პიონერთა სასახლეში ერთად დავდიოდით.

- როგორი ცხენოსანი იყო ლალი?
- ცხენზე ჯირითი კარგად აითვისა, თუმცა, ერთხელ გადამიხედავდა. სოფელ გორისციხეში მიმდინარეობდა გადაღება. ერთმანეთს გავეჭობრეთ - ლალის ცხენი ჩემს ცხენს გამოედევნა. ლალი ცხენიდან გადმოვარდა, რაიმე რომ მოსვლოდა, ხომ დავიღუპებოდავით.

შამზე გვეპატიებოდა ხოლმე ხან აქ - სახლში ჭავჭავაძის ქუჩაზე, ხან აბჯანზე - მისაქციელოში.

- თქვენ მიერ განსაზღვრულ გმირებს კრიტიკის თვალთუყურებთ?
- თქვენ გგონიათ, ხშირად ვუყურებ? არა. ამ ყველაფერში სისხლი მაქვს ჩაქცეული. ჩემი გმირების ცქერისას ყველაფერი მასხენდება, მთელი პროცესი, ვანალიზებ ებიზოდებს... მერე

მწერალს ასე მივმართე, - ბატონო კოწია, თქვენი შორენა ქერა და ცისფერთვალია, მე ხომ სრულიად საწინააღმდეგო არეგნობა მაქვს... მიპასუხა, - მე კოწია არ ვარ, - კონსტანტინე ვარ, ფილმი კი შავ-თეთრია და ფერები არ გამოჩნდება. ჩემი ასაკის გამო, ალბათ, მეტირობად არ ჩამეთვლება, თუ ვიტყვი, რა შეფასება მივიღე ამ კლასიკოსისაგან - მასში არის ის, რაც

- თქვენი საყვარელი ებიზოლი...
- შორენას და გიორგის დუეტით - როდესაც მეფე სიყვარულს უხსნის შორენას... ასევე ჩემი და უტას გაქცევა.
- თქვენს ცხოვრებაშიც თუ იყო განსაკუთრებით მიძიმე და კრიზისული პერიოდი, ისეთი, რომლის გადალახვაც თქვენს პერსონაჟს მოუხდა...
- შორენა ძლიერი ქალია, ბე-



თანგიზ არჩვაძე: ქალი მშვენიერი უნდა იყოს, კაცი — მამაკაცური. მე კაცური კაცი ვიყავი და მორჩა!

- რომელი ებიზოლია შთაბეჭდავი?
- სიკვდილის სცენა მომწონს - სვეტიცხოვლის ეზოში რომ მივხვებოდი მკლავმოჭრილი... სხვათაშორის, თავიდან ცოტა უკმაყოფილო ვიყავი ჩემი შესრულებით, კიდევ ბევრის ვაგებებამ შემეძლო, მაგრამ შემდეგ, წლები რომ გავიდა, ფილმი მომეწონა.

- რას იტყვით გიორგი მეფის, ფარსმან სპარსის, მეღვინეთუხუცეს კათალიკოსის შესახებ?
- ოთარ მეღვინეთუხუცესის მეფე გიორგი ბრწყინვალეა. მაღალი რანგის ხელოვანია, უხდება ეს როლი. მე და ოთარი ინსტიტუტიდან ვმეგობრობდით, ჩემზე რამდენიმე თვით არის უფროსი, მე 1932 წლის აგვისტოში დავიბადე, ის - იანვარში. კათალიკოსის ვასო გომიაშვილი თამაშობდა. ცუდი ის იყო, რომ სხვას გაახმოვანებინეს. აკაკი ვასაძემ არაჩვეულებრივად შეასრულა ფარსმანის როლი. დიდოსტატების ფარსმანისა და



ლალი ბაღურაშვილი: ბატონა კონსტანტინე ჩიხუა თქვა, - მასში არის ის, რაც მთავარია შორენას პიროვნებაში... ის მთლიანად ბიბლიური.



ლალი ბაღურაშვილი: ეს შეველი მართლაც ბატონი კონსტანტინეს ნებიერაა; „კოლხურ კომედი“ ორი კვირა დავდიოდი, რათა მომეწვია.



თანგიზ არჩვაძე: სალოვა სხანივით სინჯი არასოდეს გალაქილია!

არსაკიძის საუბრის ებიზოლი მცხეთაშია გადაღებული.
- კინომოყვარულები ულამაზეს ქართველ მსახიობ მაქვს, ჩემი მსახიობები, ამ ფილმში თქვენთან ერთად ასევე ულამაზესი ქალბატონები მოწოდებულნი...
- ლამაზი არაფერი მიყვარს - ქალიც კი. ქალი მშვენიერი უნდა იყოს, კაცი - მამაკაცური. მე კაცური კაცი ვიყავი და მორჩა! დიან, ჩემ გვერდით იყვნენ უმშვენიერესი ლალი ბაღურაშვილი, ლიან ასათიანი, ლიან ელიაშვილი, სიტყვა „ლამაზი“ სულეღერს გამოორიციანებს, „მშვენიერ“ კი მრავლისმომცველია.
- კონსტანტინე გამსახურდიის მკაცრი შემფასებელი იყო?
- მოეწონა. სანამ გადაღებას დავიწყებდით, მე, ოთარი და ლალი კოლხურ კომედი ბატონ კონსტანტინეს ვეწვიეთ. ფოტოკორესპონდენტი გვასხდა. შემდეგ ფოტო ჟურნალ „დროის“ გარეკანზე დაიბეჭდა.
- ფილმში მონაწილე მსახიობები დღეს თუ სხედებით ერთმანეთს?
- მაშინ ვიკრიბებით, როცა ჩვენი მეგობარი ჟუნა დემეტრაშვილი ჩამოდის მოსკოვიდან. ვახ-



ლალი ბაღურაშვილი: ეს შეველი მართლაც ბატონი კონსტანტინეს ნებიერაა; „კოლხურ კომედი“ ორი კვირა დავდიოდი, რათა მომეწვია.

მთავარია შორენას პიროვნებაში... ის მთლიანად ბიბლიური. მიუხედავად ასეთი შეფასებისა, ბატონმა ვანტანგმა უამრავ გონივრულად გადაიღო სინჯი ამ როლისთვის. შემდეგ თქვა: - „ქეთო და კოტეს“ შემდეგ ჩემი ცხოვრება სასწორზე დავდე, როდესაც „დიდოსტატის მარჯვენას“ შევეჭიდე. ვფიქრობდი, იქნებ ვინმე სხვა გამოირჩეოდა შორენას როლზე, ვინც ისე გამოიტაცებს, როგორც ლალი, უნდა დავრწმუნებულიყავი.
გადაღებაზე ჩემს მეგობარ ლალა ურუშაძე-დოლიძესთან ერთად მივედი. ლილა აბაშიძის გარშემო უკეთებდნენ - ვარდისა-ხარის როლისთვის სინჯები უნდა გადაეღოთ. ნერვიულობდა. მისი შემხედვარი აღარ ველოავდი. ვიფიქრე, თავიდან შეიძლება რაღაც არც მე გამოვიყენებ-მეთქი. ვადაიღეს სინჯები. იქ ნატო განაშის ფოტოგრაფი პალაიდელიც იყო, მან მითხრა, „Вы играете так, как будто за вами десять фильмов!“ ბატონმა ვანტანგმა სინჯები აკაკი ვასაძეს და ვასო გომიაშვილს აჩვენა. აკაკის ჩემზე უტყვევია, - ის ნერვიუა აქვს, რაც შორენას პიროვნებაშია. ვასოს კი დაუმახავდა ჩემთვის მოულოდნელი იყო. ჩემდა სამარცხვინოდ, დიდ

დავს და XI საუკუნეში მეფეს უწყობს აჯანყებას. მისი ამოსავალი წერტილია „თავად პეაგზის ხლგას“. ე.ი. მართო ლამაზი კი არ არის, არამედ მღელვარე სულის. მასში თავმოყრილია ქართველი ქალის სიძლიერე, ერთ-ერთი ცხოვრება სასწორზე დავდე, როდესაც „დიდოსტატის მარჯვენას“ შევეჭიდე. ვფიქრობდი, იქნებ ვინმე სხვა გამოირჩეოდა შორენას როლზე, ვინც ისე გამოიტაცებს, როგორც ლალი, უნდა დავრწმუნებულიყავი.
გადაღებაზე ჩემს მეგობარ ლალა ურუშაძე-დოლიძესთან ერთად მივედი. ლილა აბაშიძის გარშემო უკეთებდნენ - ვარდისა-ხარის როლისთვის სინჯები უნდა გადაეღოთ. ნერვიულობდა. მისი შემხედვარი აღარ ველოავდი. ვიფიქრე, თავიდან შეიძლება რაღაც არც მე გამოვიყენებ-მეთქი. ვადაიღეს სინჯები. იქ ნატო განაშის ფოტოგრაფი პალაიდელიც იყო, მან მითხრა, „Вы играете так, как будто за вами десять фильмов!“ ბატონმა ვანტანგმა სინჯები აკაკი ვასაძეს და ვასო გომიაშვილს აჩვენა. აკაკის ჩემზე უტყვევია, - ის ნერვიუა აქვს, რაც შორენას პიროვნებაშია. ვასოს კი დაუმახავდა ჩემთვის მოულოდნელი იყო. ჩემდა სამარცხვინოდ, დიდ

დავს და XI საუკუნეში მეფეს უწყობს აჯანყებას. მისი ამოსავალი წერტილია „თავად პეაგზის ხლგას“. ე.ი. მართო ლამაზი კი არ არის, არამედ მღელვარე სულის. მასში თავმოყრილია ქართველი ქალის სიძლიერე, ერთ-ერთი ცხოვრება სასწორზე დავდე, როდესაც „დიდოსტატის მარჯვენას“ შევეჭიდე. ვფიქრობდი, იქნებ ვინმე სხვა გამოირჩეოდა შორენას როლზე, ვინც ისე გამოიტაცებს, როგორც ლალი, უნდა დავრწმუნებულიყავი.
გადაღებაზე ჩემს მეგობარ ლალა ურუშაძე-დოლიძესთან ერთად მივედი. ლილა აბაშიძის გარშემო უკეთებდნენ - ვარდისა-ხარის როლისთვის სინჯები უნდა გადაეღოთ. ნერვიულობდა. მისი შემხედვარი აღარ ველოავდი. ვიფიქრე, თავიდან შეიძლება რაღაც არც მე გამოვიყენებ-მეთქი. ვადაიღეს სინჯები. იქ ნატო განაშის ფოტოგრაფი პალაიდელიც იყო, მან მითხრა, „Вы играете так, как будто за вами десять фильмов!“ ბატონმა ვანტანგმა სინჯები აკაკი ვასაძეს და ვასო გომიაშვილს აჩვენა. აკაკის ჩემზე უტყვევია, - ის ნერვიუა აქვს, რაც შორენას პიროვნებაშია. ვასოს კი დაუმახავდა ჩემთვის მოულოდნელი იყო. ჩემდა სამარცხვინოდ, დიდ

- ფილმში რამდენი წლის ბრძანდებით?
- 28 წლის, ორი ვაჟის დედა გახლავართ.

- ცხენზე ჯირითი სად ისწავლეთ?
- იპოდრომზე მასწავლეს, იოსებ თარხნიშვილი გვაგარკიშებდა. ორჯერ გადმოვვარდი ცხენიდან - ერთხელ ნაღობის სცენის გადაღებისას, როდესაც ჩემი, გიორგის და გირაშვილის ცხენები ერთად დგანან (გიორგის ცხენი ჩემს ცხენს საკბენად

დასწავდა). ყალბზე შემდგარს ფედარში წაყვავლე ხელი, თავი ძლიერ შევიკავე, ცხენმა მინდვრიდან გაზატყვევოსკენ აიღო გეზი, საბედნიეროდ, წინ გადაგვედობნენ, ცხენი გვერდით გადახტა, მე კი ძირს აღმოვჩნდი... მეორედ - მე და თემო ბაღურაშვილი ვეჭიბებოდით ერთმანეთს, ცხენი ბორცვზე ახტა და მეც გადავფრინდი (იკინის).
- ფილმთან გადაღებას როგორ გაინსტრუქტორები?
- ვეფხვების მოყვანისას ყველა ავტობუსში ვისხედით, გვემინოდა ძირს ჩამოსვლის. ჩემ მაგვრად ვეფხვებთან მათი მწვრთნელი ნაზაროვა უნდა გადაეღოთ, მაგრამ მის სიარულსა და მანერებში ის ვანწყობა ვერ დაინახეს, რაც შორენას ხასიათისთვის იყო საჭირო. ერთ დღესაც ნაზაროვა ავად გახდა. ბატონი ვანტანგი ნერვიულობდა, კადრი რომ არ გამოდიოდა. სურვილი გამოთქვი - ვეფხვებთან თავად მივალ-მეთქი. ნაზაროვას ქმარმა ჯერ უარი მითხრა, - თქვენ გამოცხენი ვერ წავალი, მაგრამ შემდეგ დამთანხმდა. დამარიგეს, როგორ მოვეტყუელებოდი - მკვეთრი მოძრაობა არ გამეკეთებინა, არ გავეტყუელებოდი, სუნამოს სურვილი არ უნდა ვგრძნობ ცხოველს. ვეფხვს ჩემი ხელიდან ხორცი ვაჭამე. უცებ სახე ახლოს მომიტანა, თათი ფეხზე დამაღო. - ხომ აჭამეთ, ახლა სურს, ვაგვიცნოსო, - ამისსენს. ნელა შემოვტრიალდი და წამოვედი. ამ სცენას ბევრი უყურებდა, როცა შემოვბრუნდი, ტაში დასცხეს. ხმაურზე ვეფხვმა ჩემკენ ნახტომი გააკეთა, მწვრთნელმა იმარჯვა, დაუძახა: - იულა, ავღოზე! ამას ჩემი მეუღლეც უყურებდა. შევინუნე მისი გაშეშებული სახე. როცა ყველაფერი დამთავრდა, რეჟისორმა თქვა - ლალის წყალი მიაწოდეთო. - წყალი მე კი არა, თემურს მიუტანეთ-მეთქი, - ვუპასუხე. თემურმა დედაჩემს დედას გამოუგზავნა - ქეთო, შეგიძლია თქვა, ერთი შვილი მაინც გავზარდევ ვეფხვებთან მეომარიაო (იკინის). გურანდა ხუმრობდა, - ის გაუკვირდათ, ლალი ვეფხვს თავზე ხელის დადებით რომ მიუალერსა, მე 10 წელია, ოთარს ვუძღვებ და თავზე ხელს ვადებ - ვეფხვზე უარესიაო... ორი კადრი გადავიღეთ. მეორე კადრში ვეფხვი გამეთამაშა, უკანა თაბებზე დადგა, მაგრამ ის ებიზოლი ფილმში არ შევიდა.

- შველი ნებიერა საიდან მოიყვანეს?
- ბატონი კონსტანტინეს შველი გახლდათ. იმის გამო, რომ შემეფეოდა, ორი კვირის განმავლობაში „კოლხურ კომედი“ დავდიოდი, ჩემი ხელით ვაჭმევდი.
- ფილმებში გადაღება რატომ არ გააგრძელებთ?
- თემური თავის მეგობარ რეჟისორებს ეუბნებოდა, - მსახიობი ცოლი რომ მწლომოდო, მსახიობს მოვიყვანდიო. გიგა ლორთქიფანიძემ გადამიღო ფილმში „წიგნი ფიცისა“, ჩემმა შვილმა - ერეკლე ბაღურაშვილმა - ერთ-ერთ სერიალში. ფრანგული ენის სპეციალისტი ვარ, რამდენიმე წელი უნივერსიტეტში დავყავი, შემდეგ კი კინოსტუდიაში დავიწყე მუშაობა. დღემდე სტუდიის კინომუშეუშის ხელმძღვანელი ვახლავართ. მასსოვს მარჩელო მასტროიანის, რობერტ რედფორდის, რობერტ დე ნიროს სტუმრობა მუშეუშში. ნაბახუსეც მასტროიანზე ვთქვი, რომელსაც შევაცხე, არ მისმენდა, - ეს კაცი დეგენერატი ხომ არ არის-მეთქი? („დეგენერატი“ - ხომ საერთაშორისო სიტყვაა). - ნო, სინიორა, - ხელები დამიკლანა... ბატონმა რეჟისორმა ჩხეიძემ მითხრა, - ერთი სული აქვს, წავიდეს და „პანმელაზე“ გამოვიდესო (იკინის).
- დღემდე მეგობრობთ ფილმში მონაწილე მსახიობებთან?
- დიან, ისინი ჩემი და ჩემი მეუღლის მეგობრები არიან. ჩვენი ურთიერთობა დღემდე გრძელდება. ვეფხვებთან გურანდასთან - ოთარის მეუღლესთან, ლიანას ასათიანთან, რომელიც ამ ფილმში დედაჩემის - გურანდუხტის როლს ასრულებს. ყოველ მათგანს პატივს ვცემ და ძალიან მიყვარს.

1959 წელს რეჟისორ ლელიკო ხოტევაშვილის მიერ გადაღებული კომედიის „უდიდლომო სასიძო“ არსებული წარმატება ხვდა წილად. თბილისის კინოთეატრების სალონებთან კინომოყვარულები საათობით იდგნენ ბილეთის რიგში. ფილმში მონაწილე მხანობთა უმრავლესობა დღეს გარდაცვლილია — ბელა მირიანაშვილი, დუდუხანა შეროძე, აკაკი კვანტალიანი, სანდრო ჟორჯიანი, ვახტანგ ნინუა, დოდო აბაშიძე. ჩვენი სტუმარი „უდიდლომო სასიძოს“ მთავარი გმირი — ბიჭოკო, იგივე კონსტანტინე მგალობლიშვილი, რომელმაც კინოში მოღვაწეობა ამ ფილმში დაამთავრა, დღეს კი მესამე მოწვევის პარლამენტის დეპუტატი გახლავთ.



კობა მგალობლიშვილი ფილმ „უდიდლომო სასიძო“ მთავარი გმირი — ბიჭოკო, იგივე კონსტანტინე მგალობლიშვილი, რომელმაც კინოში მოღვაწეობა ამ ფილმში დაამთავრა, დღეს კი მესამე მოწვევის პარლამენტის დეპუტატი გახლავთ.

კობა მგალობლიშვილი 19 წლის ასაკში

კობა მგალობლიშვილი. ბელა მირიანაშვილი იყო უურადღებო, დამრთველი, უწესიერები გოგო...

კონსტანტინე მგალობლიშვილი: მესამე მოწვევის ორდინალური დეპუტატი ვარ!

- პროფესიით ინჟინერ-ტექნოლოგი ვარ, წლების განმავლობაში ვმუშაობდი შოკოლადის ფაბრიკაში, ვიყავი მთავარი ინჟინერი, დირექტორი. 1994 წლიდან პოლიტიკაში ვმოღვაწეობ, გავწევრიანდი „ქოქალაქეთა კავშირში“, შემდეგ - „დემოკრატებში“, ჟვანიას გუნდის წევრად ვითვლებოდი. უკვე მესამე მოწვევის დეპუტატი ვარ. სამუშაო ადგილი აქ მაქვს (იკინის).

„უდიდლომო სასიძოში“ ბიჭოკოს როლზე ვინ მიგიწვიათ?

- 14 წლისა ვიყავი, როცა რეჟისორმა ჩემი დადილი ფილმში „ჩვენი ვაჟი“ - თუ გახსოვთ გოგო აბაშიძე, ჯარში რომ მიდის... ამის შემდეგ კიდევ ბევრ ფილმში მიმიწვიეს, მაგრამ დაუფინანსებლობის გამო ვერ გადაიღეს. ამასობაში სკოლაც დავამთავრე და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში სტუდენტად ჩავაბარე. უკვე მეორე კურსის სტუდენტმა პარალელურად საბუთები შევიტანე თეატრალურ ინსტიტუტში. გამოცდების შემდეგ მეგობრებთან ერთად დასასვენებლად ვაგარაში ვავემგზავრე. თვის ბოლოს, როდესაც დედაჩემთან ვავერეკე, მითხრა, - კინოსტუდიიდან დაგირეკეს, კინოში როგორ ვთავაზობენო. მაგრამ ზღვას როგორ შევლოვდი, თან ვიფიქრე, როლზე რამდენჯერაც ვამსიხვავებ, არაფერი გამოვიდა რატომ ვიქნარო-მეთქი. თბილისში ავგისტოს ბოლომდე არ ჩამოვსულვარ. 1 სექტემბერს, დღით ინსტიტუტში გამოვცხადდი, ლექციების შემდეგ კი კინოსტუდიაში წავიყვანი. პავლიონის კართან ტრადიციულად ეკლავ „მოტაცება“ - გადაღებულ ჯგუფი (ფილმში მაშინ „მოტაცება“ ერქვა). იქვე იჯდა სათვალის სიმპათიური მამაკაცი, რომელიც თავაჩინდრული კითხვობდა წიგნს. ეს იყო ფილმის რეჟისორი, ბრწყინვალე პიროვნება ლელიკო ხოტევაშვილი. მივესალმე, კოტე მგალობლიშვილი გახლავართ-მეთქი. - შენ ხარ, ბიჭო? - გურულ კილოზე გამეხუტა. - „საროჩკა“ ჩააცვით, ხეზე აუშვით და გადაიღეთ. მართლაც, გიტართზე ხელში იქვე, პავლიონში, შემსვენებ ალვის ხეზე. 15 წუთში გადაიღეს სინჯები. ჩემამდე ერთი 100 კაცი მაინც გადავლო, შემდეგ, ალბათ, მოხერხდათ და ვინც ბოლოს შევჩი, დამტოვეს (იკინის). მეორე დღეს დაამბარეს - ხვალ საღამოს მივემგზავნებო. სწავლა ორი დღის დაწყებული იყო, ინსტიტუტიდან არავინ გამომიშვედა (რექტორი ილია თავაძე გახლდათ). დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, გურიამი მაინც გავემგზავრეთ. გადაღებები მიმდინარეობდა ჩემს შობილურ მხარეში - ჩოხატაურში, ოზურგეთში, ორი თვე - ბათუმში, ჩაისუბანში. იქ იყო მანდარინის პლანტაცია, სადაც განსაკუთრებული ჯიშის ჰქონდათ გამო-

ვანილი. ჩიტი ვერ შეფრინდებოდა, ისეთი კონტროლი იყო დაწესებული. იქ მოწვეული მანდარინი მოსკოვში, კრემლში იგზავნებოდა. ფილმს თითქმის 2 წელი იღებდნენ - 1959 წელს დაიწყეს, 1960 წლის ბოლოს კი გვრანებზე გამოვიდა. ლელიკო ხოტევაშვილი მიფრთხილდებოდა - არაფერი მოგივიდეს, ბიჭო, ფილმში მილიონია გადახდილი... კინოთეატრებში ფილმის გამოვსვლისთანავე სალონებთან გრძელი რიგი იდგა, ბილეთები არ იშოვებოდა.

როგორ გახსენდებოდა ცნობილ მხანობებთან ერთად გადაღების პროცესი?

- ყველას დიდი მონატრებოდა და სინანულით ვიხსენებ. ცოცხალი თითქმის აღარავინ არის - მე და ზანდა იოსელიანი დაგროხით მხოლოდ. ჩემი პარტნიორი ბელა მირიანაშვილი არაჩვეულებრივი, თბილი, ყურადღებიანი გოგონა იყო, დამრთველი, უწესიერები. აკაკი კვანტალიანს სიცოცხლე და ხალისი შემოჰქონდა, იმდენი კომიკური კადრი გადაიღეს, სადაც ბატონი აკაკი იყო, ლელიკო ხოტევაშვილი ამბობდა, - ფილმი უდიდლომო სასიძოზეა, კადრში კი ყველგან სასიძოვრო ფიგურები (იკინის). საოცარი პიროვნება იყო ქალბატონი დუდუხანა შეროძე, ისეთივე თბილი ადამიანი, როგორც ფილმში ჩანს. მისი შეილება ჩემი მეგობრები იყვნენ... სანდრო ჟორჯიანი ანეკდოტების ოსტატი გახლდათ, ჩვენთან ერთად იყო ქართლის კასრადეც. ხომ წარმოგიდგენიათ, როგორი მხარულუბა იქნებოდა. გადაღების შემდეგ სოფლებში გვეპატივებოდნენ, იმართებოდა ქეიფი და დროსტარება. ის ოდაც ერთ-ერთი გლენისა იყო, სადაც ბიჭოკო და დედამისი ცხოვრობდნენ. ამ სახლის გაჭირვებამ იმდენი შემოსავალი მოუტანა პატრონს, რომ გადაღების დამთავრების შემდეგ ოდა აიღო და ბლოკის სახლი ააშენა. თხუთხუთ და ძროხებსაც გლენებისგან ვკითხოვდით. ის თხა, ფილმში რომ დამდევს, სამეგრელოდან ჩამოყვანეს. შარვალი უკან ბალახი მივიმარე და სადაც წავიდოდით, თან მომყვებოდა. ერთ-ერთი კადრი ფილმიდან ამოღებულია (გამოცდების ჩასაბარებლად თბილისში მივიღე და თხა თან მიმყავს. შემდეგ ის თხა ინსტიტუტის მესამე სართულზე ადის, ძირს ვარდება).

იმ სოფლებში შემდეგაც ყოფილხართ?

- არა, მაგრამ რამდენიმე წლის წინათ ერთ სუფრაზე მიმიწვი-



აკაკი კვანტალიანის პარტიზანი - ქეთევანი და პარტიზანი - ვახარსი აკაკი კვანტალიანი

ქეთევან კვანტალიანი: კალრი, სლას ვარდენი ქვრივ ქესარიას სოლად შერთვას აპირებს, ფილმიდან ამოღებულია...



მულ-ჰაჯი - აკაკი და მამია. აკაკი კვანტალიანი გაჯარჯი მიღის

ეს. აქეთ-იქიდან შემომისხდნენ უცნობები - გახსოვთ, სოფელ შემოქმედში ფეხბურთის ერთად რომ ვთამაშობდითო (იკინის). როგორ ვიცნობდი, თითქმის 45 წელი გავიდა მას შემდეგ.

იმ დროს უკვე დაოჯახებული იყავით?

- არა, ცოლი უდიდლომო შევიყვით. სამეგრელოდ, ახლა ორი დიდობი მაქვს.

როგორ ფიქრობთ, დიდობი მაინც აუცილებელია?

- კვანტალიანისა არ იყოს, ყველაფერი კარგია, მაგრამ დიდ-

ობი მაინც საჭიროა. უსწავლელი კი არა, ხშირად ნასწავლი კაციც თავის ადგილს ვერ პოულობს ცხოვრებაში. ყველაფრის გასაღები ცოდნაა.

თქვენს გმირთან - ბიჭოკო ცერცვაძესთან რა გქონდათ საერთო?

- ალბათ, რაღაც საერთო მქონდა... (იკინის). ფილმში საოცარი ტექსტებია: - მთელი ქვეყანა თუ მუშაობს, ერთი კაცი დამასვენეთ... ერთი კაცი სოფელში ვერ უნდა შეინახოთო (იკინის). ან კიდევ: - კისელი მაჩაჩემს ჩემთვის არ დაუღვეინებია, ახლა თქვენ ღორებს ასმევთო (იკინის)... რას ვიზამთ, წარსულს ვერ დავიბრუნებთ, მომავლის იმედი უნდა გქონდეს. ტყუილად არ უნდა იცხოვრო ამქვეყნად, ნორმალურად უნდა დაბრუნდეთ...

გავგაცანით თქვენი ოჯახი...

- ჩემი მეუღლე გახლავთ ცინო მგალობლიშვილი, ინგ-

ლით, მხოლოდ დედა იყო მასთან ერთად 2 კვირის განმავლობაში. ცოტა უცნაური კაცი გახლდათ, არ უყვარდა ჩვენი ავიზირება, ცხოვრებაში სულ სხვაგვარი იყო, ხუმრობდა მაშინ, როდესაც სუფრასთან იჯდა მეგობრებთან ერთად. ფაქტობრივად, დღის განმავლობაში სახლში არ იყო, ძალიან დეტერთული სამუშაო დღე ჰქონდა - კინო, თეატრი, რადიო, გახმოვანება...

ბატონი აკაკის შობილებს თეატრალურ ხელოვნებასთან რა საერთო ჰქონდათ?

- მამა ადრე გარდაეცვალა, ხუთი შვილი მარტოდ დარჩენილი დედა - ბებიანებთან ანეტა ტორონჯაძემ გაზარდა. ხელოვნების დიდი მოყვარული იყო. სამტრედიიდან მოკამაგირეს ავზავინდა, თეატრის ბილეთი რომ აეღო და სპექტაკლს დასწრებოდა. ერთხელ, თურმე, მოკამაგირეს ბილეთის ფული დაუხარჯავს, ოპერის პარტერის

- კარგი ფილმია, მაგრამ თავის დროზე დიდი წინის ქვემოთყოფილი. მაგალითად, ბიჭოკო სასიძოდ იმით არ უნდა ვარდნენ, რომ თვითონ ფიქრობდა ქვრივი კესარიას ცოლად შერთვას, ერთ-ერთ კადრში (ვარდენი სოფლის მალაზიაში შესული) კესარიასთვის საკაბეს ყიდულობს. მეზობლები კითხულობდნენ, ნანის რად უნდა ეს საქვრივო „ატრეზიო“?!... თუ გახსოვთ გადაცემა „ილუზიონის“ წამყვანი ოთარ სეფიანოვი - ვახეთ „კომუნისტის“ ფურცლებიდან პირდაპირ „გადაუარა“ ამ ფილმს - იდეურად ჩვენი ქვეყნის მსოფლმხედველობას არ შეესაბამებოდა. ან როგორ არის წარმოჩენილი მეცნიერება... მერწმუნეთ, ისეთი მეცნიერი, როგორცაც განასახიერებს ვახტანგ ნინუას გმირი, მაშინაც ბევრი იყო და ახლაც მრავალადა. უბრალოდ, ოთარ სეფიანოვი კოჭი გაუფორა პარტიულ ბოცებს, ფილმის დაწყებით კარიერის გაკეთება უნდოდა. მასსოვს, მამამ როგორ ინერვიულა ამ ამბის გამო. საბასტო წერილი დაწერა, ყოველ ბრალდებას პასუხი ვასცა. ბევრმა ატკინა მამაჩემს გული. ნერვიულობის ნიადაგზე პიპირტონილი კრიზისი გადაიტანა. მასზე ყველაფერი მოქმედებდა - თეატრის დასის ორ ნაწილად გაყოფა... მისთვის მიუღებელი იყო თაობათა ბრძოლა, ბინძური წესები. მამა 59 წლის ასაკში გარდაიცვალა, მაშინ მე 20 წლის ვიყავი, ჩემი მამა - 22 წლის. მასსოვს, ბებიანებმა დაუმაღეს მამაჩემის გარდაცვალება. ხმაურზე უკითხავს, - რა ამბავიაო. უთხრეს, - კაკოს სტუმრები ჰყავსო. ეწვინა, - მე რატომ არ დამბატყაო... ბებიამ მაშინ 96 წლისა იყო, ისე გარდაიცვალა, არ იცოდა შვილის დაღუპვის შესახებ არაფერი.

როდის გარდაიცვალა?

- 1967 წლის 27 ივლისს. მასსოვს, მე და მამა (სადაც ახლა ცხოვრობ) ბინის სანახავად გახლდით. ჩემს დედებს თითოთათხანად ბინა ჰქონდათ. მამა დაეხმარა მათ ჩაბარებაში, შედარებით დიდი ფართის ერთი ბინა რომ მიეღოთ. დღის 12 საათზე შემოვიარეთ ბინის სანახავად. შემდეგ მამა წყნეთში - აგარაკზე ვავემგზავრე (სამტრედიის სახლის გაყიდვის შემდეგ მამამ წყნეთში აგარაკი შეიძინა). საღამოს 8 საათზე მოულოდნელად გარდაიცვალა... უცებ, დედაჩემის სახლის დახმარებაც ვერ მოასწრო. დიან, ასეა, ეკრანზე მისი უზრუნველი და ლალი ცხოვრება ჩანს, სინამდვილეში კი არ ეცხვებოდა, არ ეხუმრებოდა. უყვარდა სიმწიფე, სიწყნარე... აღეშფოთებული ვუსმენდი ამასწინათ კოლჯის 15 წლის მოსწავლის გამოვლას ტელევიზიით - „ცხოვრებას მივგრევეთ“... მან რა იცის, რა არის ცხოვრების დანერგვა... ყველაფერი ვერ იტყვის ადამიანი...


დედათქვენიც მხანობი იყო?

- არა. დედაჩემს - მამა ჰიბაშვილს რუსული სკოლა ჰქონდა დამთავრებული, რუსული სექტორის არასრუბობის გამო თეატრალურ ინსტიტუტში ვერ მოეწყო. ამიტომ მარჯანიშვილის თეატრში დაიწყო მუშაობა, ქართული ენას ავითვისებო. იქ შეხვედრები ღელა და მამა ერთმანეთს. მამა 17 წლით უფროსი იყო. გვიან დაქორწინდა. მანამდე თბილისში მამაჩემთან ცხოვრობდა მისი მძიმევილი გვიკვანტალიანი, სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი. დოჯახება ამიტომაც დაავიანა - გვიკვანტალიანი, ბავშვს ხელი შეეშობოდა... მამაჩემის გარდაცვალების შემდეგ დოდო ალექსიძემ მიიღო დედა თეატრის მუშაურობა. 1994 წლამდე იქ მუშაობდა. 7 წელი ივანეძემოვდა, ლოგინად იყო ჩავარდნილი... 4 წელია, რაც გარდაიცვალა...

ესაუბრა ქეთევან ხამიძე-მგალობლი



ქეთევან კვანტალიანი: ისეთი მეცნიერი, როგორსაც განასახიერებს ვახტანგ ნინუას გმირი, მაშინაც ბევრი იყო და ახლაც მრავალადა...



„მამა დიდი სინანულითა და გულისტყვილით წავიდა ამ ქვეყნიდან...“



მეთვინე კვანტალიანის ქალიშვილი: მამა „უდიდლომო სასიძოში“ 52 წლისაა, მე იმ დროს 12 წლისა ვიყავი. გადაღებებზე შვილები არ დავყავ-

ნაცვლად იარუსის ბილეთი აუღია. ჩინტიკოვით დამშვენებული ანეტა ფაიკოვით ჩამოსვლის ბაბუა ვარ. უყვარდა ეს ფილმი - ხშირად უყურებენ, იკინიან... მეც ვუყურებ და ახლა, 45 წლის შემდეგ, ვიტყვი - ისევე ისე მიყვარს ყველა, როგორც მაშინ...

მეთვინე კვანტალიანი: 52 წლისაა, მე იმ დროს 12 წლისა ვიყავი. გადაღებებზე შვილები არ დავყავ-

მოზარდ მაყურებელთა თეატრის მსახიობი, გეგა კობახიძის (ლაზარე ფილმიდან „ლაზარე“) დედა, ქალბატონი ნათელა მატყალიძის თვისებები

ყოფილ მეუღლესთან — ცნობილ კინორეჟისორ მიშა კობახიძესთან თანაცხოვრების პერიოდზე გვესაუბრება.



ნათელა მატყალიძე: პერ ნარმოვიდგენდი, რომ მე და მიშა ერთმანეთს დავპოვებოდით!

**ნათელა მატყალიძე
ქობა-შვილთან —
მიშა და გეგა
კობახიძეებთან ერთად**


- მე და მიშა სკოლის პერიოდის ვიცნობდით ერთმანეთს. ვსწავლობდით მეხუთე ქალთა სკოლაში, რომელიც გერაზე - პეტრიაშვილის ქუჩაზე მდებარეობდა. მიშა კი მერვე ვაჟთა სკოლაში სწავლობდა. ჩვენი დაახლოება ბაკურიაშვილის მოხდა, არადა დედას დროს. ორი წლის განმავლობაში ვხვდებოდით ერთმანეთს. 1960 წელს შევუღლდით. მაშინ უკვე თეატრალური ინსტიტუტის მეთრე კურსის სტუდენტი ვიყავი, მიშა კი მოსკოვში საკავშირო კინემატოგრაფიის ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტზე სწავლობდა. გათხოვების შემდეგ იტულებული ვაგხდით, სწავლისთვის თავი დამეხებებინა და მოსკოვში მეუღლესთან ერთად ვაგემგზავრებულყავი (ინსტიტუტში მოგვიანებით აღვიდგინე თავი, მაშინ ჩემი შვილი - გეგა 3 წლის იყო). ქორწილი გვქონდა რესტორან „თბილისში“. ჯვარი არ დავკარგეთ, რადგან ჯვრისწერა აკრძალული იყო. მასსოვს, მოსკოვში მატყალიძეებთან ბაქოს გავვით წავიდით, რადგან აფხაზეთში საარქივო მანქანებზე ზვავი იყო ჩამოწოლილი. მოსკოვში ნაჭირავებ ბინაში ცხოვრობდით - „ГЛОШАДЬ ВОССТАНИЯ“ - სთან ახლოს სამოთახიანი ბინის ერთ ოთახში დავბინავდით. მატყალიძეებთან არ ვიყავით. მიშას სტიპენდიაც ჰქონდა, მშობლებიც გვეხმარებოდნენ.

კი მიშა ძალიან თბილი, მოსიყვარულე და ყურადღებიანი იყო. ჰქონდა იუმორის საოცარი გრძნობა. ძალიან საინტერესო პიროვნება იყო. ერთად მხოლოდ 8 წელი ვიცხოვრეთ.

- რატომ დაშორდით ერთმანეთს?


- ყველაფერი ხდება ცხოვრებაში, თუმცა, ვერაფრით წარმოვიდგენდი, რომ მე და მიშა ერთმანეთს დავშორდებოდით. ცოლ-ქმრის გაყრის ერთ-ერთი მიზეზი ნაადრევი ქორწინებაა - როცა ძალიან ახალგაზრდები ხართ. მიშას ოჯახს... ჩვენც ასე დავგვემართა. მიშას სხვა ქალი შე-

უყვარდა... ერთ ზაფხულს მე და გეგა ქვიშეში ვისვენებდით. მიშა გორში „ქოლგას“ იღებდა. როცა ქვიშეშიდან სახლში ვბრუნდებოდით, მიშამ გორში გამოგვატარა. იქ აღმინისტრატორი და გადამღები ჯგუფის წევრები ვაგვიცანია... ორი დღის შემდეგ კი ის აღმინისტრატორი ქალი მირეკავს და მეუბნება - მე გონა, რომ მიშას უშნო ცოლი ჰყავდა და იმითმ იყო აქ ერთ მსახიობ ქალთან ასე ახლოს, მიშა ერთ თქვენს ქმარს ყურადღებდა. არ დავიჯერე, თუმცა, მიშას მაინც ვუთხარი. რა სისულელეა, - იუარა.



- თქვენი ვაჟი გეგა მოსკოვში დაიბადა?

- არა. ფეხმძიმედ ვიყავი, როცა თბილისში დავბრუნდი. მიშა მოსკოვში დარჩა. მასსოვს, დილის 9 საათზე მიშას დაეღუპა და შუა საუბარში მუცელი ამტკივდა. მიშას თვეები გამოთვლილი ჰქონდა და ბატარა კალენდარზე 7 ივნისი წითლად ჰქონდა შემოხაზული - სწორედ იმ დღეს დაიბადა გეგა - 1961 წლის 7 ივნისს. მაშინ მე და მიშა 23 წლისანი ვიყავით. მიშას იმ დროს საგანგებო სესიები ჰქონდა და თბილისში ჩამოსვლა ვერ მოახერხა. როცა ვაგებინეს - ბიჭი შეგეძინაო, ДНХ-ზე წასულა და პირდაპირ ტანსაცმლიანად ჩამხტარა აუზში. ბავშვს მამამთილის სახელი - გერმანე დავარქვით. ბატარას გეგას ვეძახდით და ასე შერჩა სახელი - გეგა... არაჩვეულებრივი დამოკიდებულება მქონდა დედამთილ-მამამთილთან. დღემდე მათ დანატოვარ ბინაში ვცხოვრობ.




გეგა კობახიძე და მისი ძმები - თინა და გარინა კობახიძეებთან ერთად



მარცხნიდან: მამა და დედა, გეგა კობახიძე, დედო და დედა, ნათელა მატყალიძე. ნაღვარი, 1975 წელი




ნათელა მატყალიძე და მისი პირველი შვილი



მამა-შვილი - მიშა და გეგა კობახიძეები

- ვინ იყო ის ქალი?

- ის ქალი აღმოჩნდა ლიტველი გოგონა ჯანა პეტრაიდი, რომელიც უნდა გადაეღოთ „ქოლგაში“. კინოსტუდიაში მიშასთვის სასინჯ გადამღებზე მიუყვანია ვილას - სწორედ მაშინ დავიღუპე (იღიმება)... გარკვეული დროის შემდეგ ის გოგონა უკვე ფეხმძიმედ დავინახე. მიშამ ისე იუარა, - მოგეჩვენაო. ამის გამო, რა თქმა უნდა, ოჯახში უსიამოვნებაც გვქონდა, მაგრამ შემდეგ ორივე შევთანხმდით - ასე ცხოვრებას ისევე დაშორება სჯობდა და დავშორდით კიდევ. ჩემმა დედამთილმა და მამამთილმა მიშას უთხრა - ამ სახლში ვერავის მოიყვან, ეს სახლი გეგასი და ნათელასია, თუ ვინდა, შენ წაბრძანდიო... მიშამ და იმ გოგონამ ბინა ცალკე იქირავეს. მე კი მთელი ცხოვრება ჩემი მეუღლის მშობლებ-



თან ვაგატარე. ძალიან კარგი დამოკიდებულება გვქონდა ერთმანეთთან. მიშას მერვე მეუღლისგან შეგეძინა ორი ქალიშვილი. ნელ-ნელა შეგვეუთე ყველაფერს, მიშას ჩვენიან ხშირად მოჰყავდა თავისი გოგონები.

- გეგა როგორ შეეგუა მშობლების დაშორებას?

- სხვათაშორის, ვაგებთ მოეკიდა ყველაფერს. მამასთან ურთიერთობა არ გაუწყვეტია. ნელ-ნელა მიცვლიდა, რომ მამა დავეკარგე. როცა წამოიზარდა, ხშირად დადიოდა მათთან, უყვარდა თავისი დები. თუ რამეს იშოვებდა, იტყოდა, - თინიკოს და მარინას მივუტანო. ყოველთვის მათ იფიცებდა. თუ მიშას მისამართით საყვედურს გამოვთქვამდი, განიცდიდა. - დედა, ყველაფერი ძალიან კარგად ვიცი, ვიცი, როგორი დედაც ხარ, მაგრამ მამას მიმართ საყვედურ-

რი არ თქვია... მოგვიანებით მიშა იმ ცოლსაც ვაგყარა, შეერთო მეოთხე ცოლიც, რომელთანაც ქალიშვილი შეგეძინა. მიშას ყველა მეუღლესთან კარგი დამოკიდებულება მქონდა. ყოველი ახალი მეუღლე გეგას დაბადების დღეზე მოჰყავდა და მაცნობდა ხოლმე. ბოლოს ვუთხარი - ბიჭო, მერაღმენე ცოლი უნდა გამაცნო-მეთქი... არაფერს დავუქმბდი, ოღონდ გეგა კარგად მყოლოდა და თუნდაც მეთუდელ დაქორწინებულყო, თანახმა ვიყავი.

- როდის წავიდა ბატონი მიშა საფრანგეთში?

- ზუსტად არ ვიცი. ალბათ, 6-7 წლის წინ. წასვლის მიზეზების შესახებ საუბარი არ გვექონია. აქ არაფერს იღებენ, კინოწარმოება თითქმის გაჩერებულია, რამდენადაც ვიცი, იქაც არ არის დასხინებული, თუმცა, ბოლო დროს მის მიერ გადაღებული მოკლემეტრაჟიანი სურათმა ჯილდო დაიმსახურა.

- კინოფილმ „ლაზარეში“ გეგას გადაღების დროს მეუღლესთან უკვე დაშორებული იყავით?

- დიხ, ვაცილებული ვიყავით, მაგრამ მიშას შვილისათვის ყურადღება არ მოუკლია, ალტაცებული იყო მისი ნიჭიერებით. როცა თვითმფრინავის გატაცებასთან დაკავშირებით ცნობილი მოკლემეტრაჟიანი და გეგა დაიჭირეს, მიშა მოსკოვს გაემგზავრა, ყველა ნაცნობი ადამიანი შეაწუხა...

- როდის შექმენით მეორე ოჯახი?

- გეგა უკვე დიდი იყო - 16 წლის, როცა მეორედ ვავთხოვ. ბედის მადლობელი ვარ, რომ მეუღლედ არაჩვეულებრივი პიროვნება შემხვდა - რობიკო დალიანი. გეგა მას დიდ პატივს სცემდა. რობიკოს მეუღლე გარდაცვლილი ჰყავდა. სამი შვილი - მაკა, ლევანი და დუდუ თვითონ გაზარდა. მაკა უკვე გათხოვილი იყო, ხოლო ბიჭებს ერთად ვზრდიდით. მაშინ ძალიან ბედნიერი ვიყავი. რობიკო არის ის პიროვნება, რომელმაც გეგას ტრაგედია გადაამატინა, ყოველთვის გვერდში მედგა. მოგვიანებით დუდუს დაღუპვამ კიდევ უფრო დაამძიმა ჩვენი ცხოვრება...




- როგორ შეეგუა ბატონი მიშა თქვენს გათხოვებას?

- დედამთილი და მამამთილი უკვე გარდაცვლილები იყვნენ, ხოლო მიშას ამის შესახებ რეაქცია არ ჰქონია.

- დიდი ხანია, ყოფილი მეუღლე აღარ გინახავთ?

- მიშა პარიზიდან 4 წლის წინ სპეციალურად ჩამოვიდა, მაშინ, როცა ჩვენი შვილის საფლავი უნდა მოგვეძებნა. გვითხრეს, „თვითმფრინავის ბიჭები“ რუსთავის იქით, აზერბაიჯანელებით დასახლებულ ერთ-ერთ სოფელთან ახლოს, ტრიალ მინდორზე არიან დასაფლავებული. წავიდით მე, ჩემი მეუღლე, დუდუ, ლევანი, მიშა, წავიდეთ ნიჩბები, ვეძებთ, მაგრამ ამაოდ. იქ მხოლოდ სოლო წერეთლის საფლავი აღმოჩნდა...

**ესაუბრა
ქეთევან
ხაინძაშვილი**



ნიკო ყიფიანი სოფელ ხაშში ცხოვრობდა, მასწავლებლად მუშაობდა. ამ ბოლო დროს რეზერვისტებში არჩია სამსახური. ერთ საღამოს (ამ ორიოდე თვის წინ) შინ მობრუნებულმა ტყუია დაინახა გულში. არავინ იცის, რა მოხდა. 29 წლის უნიჭიერესმა კაცმა თვითმკვლელობით დაამთავრა სიცოცხლე.

აღმიახებთ გვიან მიხვდებიან ხოლმე, რომ ბედნიერება თავიანთ წარსულში უნდა ეძიონ, ეს სიმონამ მხოლოდ ალათის სიკვდილის შემდეგ შეიგნო. ჩასვენეს ცივ სამარეში გარდაცვლილი და სულ მარტო დაშთა ბერიკაცი. სამაროვნიდან ჩამოსულ დაქვრივებულს მოხუცებულ მეზობელ პელაგისთან ერთად ღმრთის უსამართლობა მოხვდა თვალში.

- მაშ, ეს უნდა ცოცხალი იყვეს, უბედურთა ალათი კი შავ მიწაში იწვეს?

პელაგია სიმონას უახლოესი მეზობელია. ქმარი კარგა ხნის წინათ მოუტყდა. ქალაქს წასული მისი შვილები იშვიათად ამოდიან სოფელში. მოკუზულა, თმა გაურეცხავ თეთრი ცხვრის მატყლს მიუჯავს, ორი ემეი თითქოს იმად შერჩენია ზედა და ქვედა ყბებზე, სხვადასხვა მხარეს, რომ მისმა შვილოცამ ძალა არ დაკარგოს. ამასთან შედარებით ალათი მთლად ახალგაზრდა იყო, ღმერთმა კი მაინც ის წაიყვანა.

ეს ყოფილა ღმრთის სამართალი. ჯეილები მიჰყავს და ხნიერებს ტოვებს. ვიღაც შეიძლება შეედავოს სიმონას და უთხრას. სიკვდილს მიჰყავსო ადამიანები იმ ქვეყანად და არა ღმერთს, მაგრამ უღმრთოდ გაბედავდა მიქელ-გაბრიელი ვისიმე წაყვანას? რა ხანია დარწმუნდა სიმონა ღმრთის უსამართლობაში და შეუბრალებლობაში. ცოდვებისთვის გვასისო. მხოლოდ ერთი არიან ცოდვილები? ეშმაკი გვაცდუნებსო, როცა ეშმაკს ქმნიდა, არ იცოდა, რასაც ჩაიდენდა შექმნილი? როდის აჩვენა საიქიო ცოცხალ ადამიანს, რომ დაერწმუნებინა მის არსებობაში? გააჩნია კაცი და ისე გადმოჰყურებს, როგორც ხე ალვისა ქარისაგან წარტაცებულ ფოთოლს.


უსუარი ყმაწვილი იყო სიმონა, როდესაც დედამისმა ჯვარცმასთან მიიყვანა ეკლესიაში და უთხრა, ეს არისო ღმერთი. ჯერ ჯვარზე გაკრული ლამაზი ახალგაზრდა კაცი შეებრა, მერე კი საკუთარი თავი, რადგან მიხვდა, მას ვერ დაიცავდა ხელბმელურსმული ეს საცოდავი არსება და შექმნიდა, შექმნიდა ქვეყნის, სადაც არ უნდა ჰქონოდა არავის იმედი. მერე გუმბათი დაუწერეს იმ ეკლესიას და კედლები გაუმურეს, სხვა ხატებთან ერთად დალექსეს ის ჯვარცმა და სიმონამ დასცინა სიწმიდებს, რომლებმაც თავიც ვერ დაიცვეს. პელაგია კი იცავს თავის თავს. იქნებ მართლა ჯადომაზია ბებერი?

სიმონას ასხენდებდა: ღობესთან მისულიყო პატარა ანზორა და ქვებს ესროდა ბოხვერას. იყევებოდა უშველდებელი ნაგაზი და ამაოდ ლამობდა ჯაჭვის გაწყვეტას. გამოვიდა სახლიდან პელაგია და დაინახა ამაღლებულ ადგილზე შემდგარი ყმაწვილი. „რა გინდა ამ ძაღლისგან? შენ მოუკვდი შენს დედას“. ყური მოჰკრა ალათიმ წყევლას და პელაგიას ყვედრება დაუწყო. „არ გრცხენია, დედაკაცი? უსუარი უნდა მოკვდეს და ჩვენ ცოცხლები უნდა ვიყოთ?“ პელაგიამ ერთი სიტყვაც ვერ გაიგო, მაგრამ მიხვდა, რომ ალათი ანზორას უჭერდა მხარს. „ყველას თვალში ეჩხირება ეს ძაღლი. მიწამ შეჭამოს ყველა!“ იმ დღის შემდეგ მოკვდა დასნეულდა და არავინ უშველა. პელაგია და დაიყარეს მიწა. სიმონას ახლაც ყურებში უდგას სასახლეზე დაცემული გორახების ხმა.

თუ ის ღმერთი სამართლიანია, ალათისებერ ადამიანს პელაგიასებრი მზაკვრის ხელს შეახებდა? ალბათ, იმად უსურვავ მიწისგან შეჭმა ყველას პელაგიამ, რომ ჰგონია, ასე ამოიგებს ყველა საფლავი და თვითონ სამუდამოდ იბოგინებს ამქვეყანაზე. იქნებ ამიტომაც გაძლო ამდენ ხანს? სხვებს ისტუმბებს საიქიოს და ამით იხანგრძლივებს სიცოცხლეს. ალათი კი უშველად ამან მოინარჩუნა. ამაში სიმონა მაშინ დარწმუნდა, როცა გაიგო, რომ პატარა ანზორასაც შემთხვევით დათვრავდა. ყველსე კიბე ყოფილა მიყუდებული, ზედ ასულა პატარა ანზორა, კიბე უკან გადადგომდნოდა, თავი დაუბრუნებდა ყმაწვილს და შერყვია ტვინი. სიმონას მტკვი არ ეპარებდა, რომ მოკვდებოდა ანზორა. ახალგაზრდებს ღუპავს ბებერი.

სოლო არავს ხდებდა. იმასთან იყო სიმონა. ანზორას პაპაც სოლოსთან იყო, იმისგან გაიგო ანზორას ამბავი სიმონამ. უკვე ბნელოდა, რა შინ წამოვიდა. მოდიოდა და ჯადომაზებზე მოიგინებოდა. უფრო და უფრო ეკიდებოდა არაყი. ბარბაცით მოაღვა საკუთარ ჭიშკარს. ეზოში ღორის გეჯას წამოვიდა და ძირს გაიშხლართა. წამოღობა სცადა. წელი ვერ ათორია. მაშინ ცას ახედა და ღმერთს დაუწყო ლაპარაკი.

- თუ გააჩინე ადამიანი, ბედნიერიც ამყოფე, თუ არადა, ჩამოიქეცი, ღმერთო! ამას ელაპარაკებოდა ღმერთს. მერე გეჯა სასთუმლად დაიღო და დაეძინა. ეს ხნობა, ვითომ ცოცხლზე ამხედრებულმა პელაგიამ გადაუფრინა მის ეზოს. არ შეეცადო, გაიფიქრა სიმონას დაინტერესდა პელაგიის მარტოშობილად. „ნეტავ სად მიფრინავს კუდიანი?“ თითქოს ვიღაცამ ჩასწორებულა, გეჯას გადააქეციო, გადააქდა გე-



ნიკო ყიფიანი ჯადო

ჯას და განკვირდა: გეჯა აფრინდა და პელაგიას ცოცხს მიჰყვა. თავიდან სიმონას შეეშინდა, არ ჩამოვარდებოდა, მთელი ძალით ჩაეჭრა გეჯას. მერე ისე გაიმართა წელში, როგორც ჯვარანაზე ჯდომისას გაიმართებოდა ხოლმე. დიდებული ცხენი იყო ჯვარა. წისქვილიდან უცებ ამოაფრინა სიმონა, მიწისებრა რომ მოხდა, წისქვილში სვამდნენ კაცები. სოლოც იქ იყო, ძველი მძაქვები არიან სიმონა და ის. კედლის მხარეს მესწიქვილი იჯდა, როცა იძრა მიწა და შეაქანა კედლები, პირველი ის გაავარდა გარეთ. ყველანი გამოკვივდნენ წისქვილიდან. სანამ მიწისებრა არ დამთავრდა, მანამ მაინც ვერ მოვასწარითო გამოსვლა, შევიდეთ და გავავარქვოთო სმა, იცინოდა სოლო. სიმონას აღარავინ და აღარაფერი ახსოვდა ალათის მეტი. „ახლა უნდა ვიყოთ ერთად!“ მოველო ჯვარანას და ვააქუნა. ალათი ფოლორცში დახვდა. მთელი უბანი გარეთ გამოსულ იყო. ჯამ-ჭურჭელი დაუშტვრიათ მიწისებრამ. დარდი გატყდა, დაიშვიდა თავი ცოლ-ქმარმა. ცხენზე უკეთ ირჯებოდა ღორთა ტრაპეზი, უფრო ჰკვიანებოდა სიმონაც ვერ მოიქცეოდნენ მიყოლს. არც ძალიან უახლოვდებოდა ცოცხს, არც აკარგვინებდა მხედველობის არედან ბებერს. სიმონას თან ეშინოდა, უკან არ მოიხედოს და არ დამინახოსო, თანაც აინტერესებოდა, სად მიდიოდა ჯადომაზი. პელაგია უკან არ იხედებოდა. გასცდნენ სახლების სახურავებს, ტყით დაფარულ მთას გადაუფრინეს, მას იქით ქაჩაღი გორა იდგა. პელაგია იმ გორის ძირას დაეშვა. თავისი ცოცხი იქ დატოვა და თვითონ გორის კალთას აუყვა. სიმონას გეჯა ცოტა მოშორებით დაფრინდა. წამოღვა სიმონა და გორის ძირას მივიდა, რა გინდოდა, სულ და გული, იქ რომ არ წყობილიყო: ცოცხები, ფოცხები, ნიჩბები, თოხები, ბარები, ფიწვლები და მწწნისის ქილები. სიმონამ ცოტა დაიცადა და მერე ისიც აუყვა გორის კალთას. ამ დროს ერთმა ფიწვალმა მალა აიშვირა თავისი თითები და დაიჭიხინა. სიმონა გაიტრუნა. ტარზე დამდგარმა ფიწვალმა შეიკუმშა თითები და ვითომ დასაძგერებლად მოემზადა, რა დაინახა, სხვა მფრინავები არ აპყენენ, ისეც ვაშალა, დაწვა და სიმონამ განაგრო გორაზე ასვლა. გორის თავზე საფარძელი იდგა. საფარძელში როკაბი იჯდა. თვლები დაეხუტა. მოკაუჭებული ცხვირი კიდევ უფრო უწმინოებდა დანაოჭებულ სახეს. კლანჭისებრი ფრჩხილები მტაცებელი ფრინველის ფეხებს ამსგავსებდა მის ხელებს. საფარ-

ლის ზურგზე ესხდნენ ბუ და მღამიობი. წინ ედგა ტანდაკუნთული წვერიანი მამაკაცი, რომელსაც ტანთ ქალის კაბა ეცვა, თითქოს ომფალეს ემზით დამწვარი ჰერკული იყო. ირგვლივ დამისპერანგა ჯადომაზებს მოეყარათ თავი. უმრავლესობას ობობას საცეცხეს მიუჯავდა კიდურები. უწმინდურთა შორის ნაკეთარგი ქალებიც ერევნენ. ამათ უტიფრად ჩქმეტდნენ. რაღაც მანქანებით სიმონა სუყველას ხედავდა, მას კი ვერ ხედავდნენ. პელაგია წვერიანთან მივიდა და უთხრა: „აუწყე დედოფალს ჩემი მოსვლა“. წვერიანი დაინახა და როკაპას ჩასწურჩულა, პელაგია მოვიდაო, სიმონას ყველაფერი ესმოდა. როკაპამ მგლის თვლები გაახილა და მეგლივით დაიღმუჯლა: „მომიხველ, ჩემო პელაგია? რა ამბავი მომიტანე?“ „ის, რომ ჩემ მეზობელ ალათის წინათ ერთადერთი ვაჟიშვილი მოგუკალი. ახლა თვითონაც ამოვიჭამე და ესეც არ ვაქმარე: დამამოძობთ საფლავიდან ამოვთხრი ხოლმე და წვერებით გვემ მის გვემს“. მიუგო პელაგია: „შაბამ, შაბამ, ჩემო პელაგია! მისი ქმარიც ამოიჭამე და მაგ მეზობლის ეზო-ყურე შენთვის მიიქეცია!“ ალალო როკაპამ პირი და ღრჭოლები გამოაჩინა, მერე ირგვლივ თავმოყრილი ჯადომაზებს მიუტრიალდა და იკითხა: „რას მეტყით, ჩემო კულრატებო, ართმევთ თავს დაკისრებულ მოვალეობას?“ დაიღრიალეს ჯადომაზებმა: „გაიხანო და იამაყე, ჩვენი დედოფალი, რადგან ფხიანად ვასრულებთ დაკისრებულ საქმეს! ვანგრეთ, ვაქცევთ და მოკლე ხანში ეს ქვეყანა სულაც აღარ იქნება!“ ცეკვა დაიწყეს უწმინდურებმა ქაჩაღ გორაზე და წვერიანი მღეროდა:

ოქრო ვიყავ, მოზვერსა ვგავდო,
ურიასტანში ქრისტეს თან ვგავდო,
იმის ცოდვითა მეც სისხლსა ვღვრიდი,
თხემის ადგილსა მეც ცრემლით ვრწყავდი,
განიერ ვხას კულითა ვგვიდი.
დამის პერანგების ფრიალით დახტოდა ჯოჯოსუარესების ხროვა, თავბრუდამხვევი სისწრაფით იკლავებოდა და მართლაც ძროხის კულს ჰგავდა ქოსისათვის მათრახივით დატრიალებულს. სიმონას გამოეფიქრა. ვარსკვლავები დაჰყურებდნენ მალლიდან. ოდესღაც მოციმციმე ვარსკვლავები დამძებდა მიაჩნდა გულუბრყვილი ქართველს, მერე გაიგო, რომ ისინი მთავრის უღიდესნი იყვნენ. შემოდგომის ცივი ღამე იყო. კანკალედა ბერიკაცი. სიცივისგან თუ შინისგან?

- ოპ, ღმერთო!..
სიმონას აგონდება, როგორ წამოასვენა რკინის ჩხირით მუცელდაცხრილული შვილი ციხიდან. იქნებ მართლა პელაგიამ დატოვა უმტოო ხესავით? ერთხელაც გააკეთებს ჯადოს და დაეპატრონება მეზობლის ეზო-ყურეს, ხოლო, როდესაც ისიც მოკვდება, ქალაქიდან ამოვლენ მისი შვილები, გაყიდონ თავიანთ სახლ-კარს და სიმონასასაც ზედ მიაყოლებენ. ვერ ეღიროება! ბერიკაცს დედაბრის მოკვლის ჯოჯოხეთური სურვილი უჩნდება. დგება და ვადის თავისი ეზოდან, უახლოვდება პელაგიას ჭიშკარს, ბოხვერას ნაბიჯების ხმა ესმის და ყფვას ტყეს. კარი დაკეტულია. სიმონა გადაძრომის ცდილობს.
გონს მოდი, მოხუციო! განა ალათი ამოავსებს პელაგიას საფლავს? განა პელაგიას ქმარი ალათიზე ახალგაზრდა არ იყო, როცა გარდაიცვალა? განა სიმონამ არ ნახე ქაჩაღი გორა? განა ვერ უნდა გადაგორის სიზმარმა? განა შენი თავლით არ ნახე, რა საშინელი სიკვდილით მოკვდა იმ გუმბათის დამანგრეველი? განა შეიძლება, ეჭვი შეგეპაროს ღმრთის ძლიერებაში? განა შენ უფლება გაქვს, ღმერთს უსამართლობა და შეუბრალებლობა დასწამო ან ბედნიერება მოსთხოვო იმან, ვინც ჩამოქცევას უსურვებ? განა ადამიანი საკუთარმა უგუნურებამ არ აქცია ქარისაგან წარტაცებულ ფოთლად? განა პელაგიას შენ ეზო-ყურეზე უჭირავს თვალი? როდის გვეროდა სიზმრის, ახლა რომ დაიჭრე? აღარ გახსოვს, როგორ ტირიდა პელაგია, როცა ერთადერთი ვაჟი ჩადე საფლავში? ჭიშკარზე გადამჯდარა განჯგონებული ბერიკაცი და ბოხვერა ყეფით თავს იკლავს.
პელაგია ყრუა. წვეს ლოგინში და მშვიდად სძინავს. სიმონამ მერე ვეხვც ცადაიტანა ჭიშკარზე. უნდა ნელ-ნელა ჩაცოდეს, მაგრამ კუნთები დიდებოდა, ხელები ეშვება და ბრაგვანს აღდნს მიწაზე. ქვეს პოულობს, იღებს და ესვრის ბოხვერას.
- ჰაიტ!

პელაგიას სახლი ერთსართულიანია და კრამიტით გადახურული. ორი ოთახი აქვს. წინიდან დერეფანია მიღებული. სიმონამ იცის, რომ ოთახშიც სძინავს პელაგიას და მიემართება იმის კარისკენ. უცერად შიში იპყრობს, შიში იმისა, რომ ჯადო დაამარცხებს. მზადაა, უკანვე გადაიჭრეს. მერე თავს იმხნევებს. „უნდა დაისაჯოს კუდიანი!“ შეაღებს კარს და შედის იმ ოთახში, სადაც დედაბერს სძინავს. ჩერდება, რათა სიბნელეს თვალი შეაჩვიოს და რატომღაც ის ზღაპარი აგონდება, ალათიმ რომ უამბო ბავშვებს და ისეთი მშვენიერი იყო, სიმონამაც დიჭერა: ერთხელ ვენახში იყო სიმონა. რწყავდა, შარვლის ტოტები მოხლებამდე ჰქონდა აკაბიწვებული. მხარზე თოხი გაედო და ფეხშიშველა ვენახს გარს უვლიდა. ამოწმებდა, წყალი სადამდე იყო ჩასული. შუალამე გადასული იყო, უცერად საოცრად გულწამტანი მუსიკა ესმა. ხმა მალეღიან ჩამოვლიდა. აიხვდა და დაინახა გახსნილი ცა. თვლისმოჭურალი სინათლით განათებული ღიობიდან გაუჭმავად გაბმული ჯაჭვი იყო ჩამოშვებული, მსხელი, ოქროსი, ზედ თეთროსანი გოგო და ბიჭო ისხდნენ და ისეთი ლამაზები იყვნენ, ენა ვერ აღწერს. ალათის უნდა დავანახო, გაიფიქრა სიმონამ. მოველო ჯვარანას და ვენახიდან ამოაქუნა. ქარის უძაღვლად მოჭროდა ჯვარანა, მაგრამ, სოფელში რომ ამოვიდნენ, აიხვდა სიმონამ მალა და ქალ-ვაჟი აღარსად ჩანდა.

ამ დროს მოდის შუქი და, რადგან ელექტრობა ანთებული დარჩენია პელაგიას, ოთახს ანათებს. სიმონა შეშვდება. გაქცევასაც ვეღარ ახერხებს. პელაგია თვლებს ახელს და დგება, რათა ჩააქროს ელექტრობა. ხედავს შემოღებულ კარს და მობუზულ სიმონას.

- შენა ხარ, სიმონ? - ეკითხება. - ამ შუალამისას აქ რას აკეთებ?

სიმონას ძალა უბრუნდება იმის ხმის გაგონებაზე.

- ჯადო! ჯადო! - უყვირს - იქაც არ ასვენებ? თუმცა სიმონა ყვირის, პელაგიას ერთი სიტყვაც არ ესმის.

- ღვირო დაგლივია და გაცეტებულხარ! - უცაცხანებს და თან იღიმება. როგორც სუსტ მოხუცებს სჩვევიათ, - ისე უნდა დათვრე, რომ შენ სახლს ვეღარ მიაგნო?

ის ღმილი სიმონას სულ აგოყებს. ჰგონია, პელაგია თავს იკატუნებს.

- რატომ? რატომ არ ანებებ თავს? - ღრიალებს.

მივარდება, წააქცევს, გადააქვდა და ორივე ხელს ყელში წაუჭერს.
ბოხვერა ყეფდა და სახლისკენ მიიწევდა, ვინ გაიგებდა მის ყეფას? ან, თუ გაიგებდა, ვინ ვამოიხედავდა? ზაფხული კარგა ხნის გასული იყო და უბანში ორიოდე მოხუციდა იყო დამთოძილი. უცებ ჯაჭვი გაწყდა და ნაგაზი წინ გაიჭრა. ელექტრობით განათებულ ოთახში შევარდა და დაინახა, რომ იმ დედულ მამოქუნს, მას რომ აქმევედა ხოლმე, გადასჯდომოდა მამალი მაიმუნი, რომელმაც ქვა ესროლა და ახრჩობდა. ნაგაზმა დაიღმუჯლა და სიმონას ყელში ეცა. თუმცა ბოხვერას კარგად ცნობდა, სიმონამ მაინც იმაში დარწმუნებულმა დალია სული, რომ მგლაღქცეულმა პელაგიამ მოუღო ბოლო.




გელა ჩხვანავას ახალი მოთხრობა, რომელსაც დღეს ჩვენი გაზეთის მკითხველი გაეცნობა, მის მარადიულ სატკივარს — სონუმს, აფხაზეთს, იქ გამართულ ძმათამკვლელ ომს ეხება. ნაწარმოების ღირსებასა თუ ნაკლზე არაფერს ვიტყვი — მისი შეფასება, როგორც ყოველთვის, ახლაც მკითხველისთვის მივგინდია.

ორი დღე წვიმა, მესამე დღეს კი, როცა მთავარ საქმეს უკვე მოვრჩით, გადაიღო. დავიღალეთ. ორი დღე ლუკმა არ ჩავსვლია პირში. ვიბრძოლეთ, რაც შეგვეძლო, თავი არ დაგვიზოგავს - თან ოფლი გვდიოდა, თან კიდევ წვიმა გვიშხაბუნებდა. მესამე დღეს „სტრანოვკაზე“ დაგვაცყენეს - ჩვენს მიერვე მთაზე მთავარ ბატალიონის ალყაში შერევილთაგან გამოპარულები უნდა აგვეყვანა. მიტოვებული კირის კარიერი დავიკავეთ. ყველაზე მხნედ კოტე გამოიყურებოდა, ჩვენი მეტყვიამფრქვევე, მაგრამ, კირის კარიერში განვთავსდით თუ არა, მაშინვე მოიწყინა იმიტომ, რომ კირის მტვერზე ალერგია ეწვებოდა. ისიც მეტყვიამფრქვევე იყო - ის ყაბარდოელი ტყვე, ჩვენ რომ ავიყვანეთ და კოტემ დახვრიტა. ტყვეც დაღლილი იყო. როგორც კი მიხვდა, რომ ვერ გაგვექცეოდა, მაშინვე შეწყვიტა სროლა. ორმოში იწვა. კოტეს კიდევ წამდა-უწყუმ აცემინებდა, თუმცა რომ ნაწვიმარზე მტერის სასახიც არსად იყო - ასე თქვა, დიდი ხნის წინათ, ბავშვობისას ვიყავი ამ კარიერზე, მაშინ აქაურობა სულ მტვერში იყო გახვეული და, ისეთი ალერგია მომცა, კინაღამ ფეხები გავეშვიკე, ახლა ის დღე მაგონდება და იმიტომ მაკვირდება. მე ვუთხარი, გაცივდი, ალბათ, და იმიტომ აცემინებ-მეთქი, მაგრამ კოტე მაინც თავისაზე იდგა. „ზორომ“ გაიხუმრა, მოგონებით ალერგია ეტაკაო და კორკელის გაპკრა იდაყვი (გვერდგვერდ იწვნენ). კორკელია ხუმრობაში არ აპყოლია. სხვა დროს ისეთ რამეს დაახეთქებდა, ბიჭებს სიცილით გვხოცავდა, მაგრამ იმ დღეს ვერ იყო გუნებაზე - სიკვდილს გრძობდა, ალბათ.

კოტემ, ცემინება ყელში რომ ამოუვიდა, ორმოში ჩარჩინოს უყვია, დაგნებდი, თორემ ხელყუმბარებს ჩავიგდებდი ორმოში, კაცურ სიტყვას გაძლევთ, ხელს არ გახლებთ; ჩვენ ნაღდი ბოევიკები ვართ და ტყვეებს კარგად ვეპყრობითო. იმან რაღაცა იყვირა თავის ენაზე - ყაბარდოულად. მის უკან მთას უყვიროდა, უფრო სწორად, იმ მთის წვერზე ალყაში მოქცეულ თავისიანებს. მთა დღემდა. იქ ჩვენს მიერ წინა ორი დღის განმავლობაში განადგურებული მტრის გაფანტული რაზმები არაორგანიზებულად, მაგრამ მაინც უწყვეტად წინააღმდეგობას მეორებატლიონელებს. ჰოდა, იმ ყაბარდოელს მთამ რომ არაფერი უბასუხა, გნებდებოდა, დაგვიძახა. ამოდი ორმოდანო, ვეუბნებოდით და არ ამოდიოდა. იჭდა თავისთვის ჩუმად და არ ამოდიოდა. ერთი ამის დედაცო, თქვა უცებ კორკელიამ, გაბრაზდა და ერთმანეთს მატარებლის ვაგონებით ვით გადამბული წარბები ლამის თვალზე ჩამოიფხაბა ქუდივით, ადგა და პირდაპირ ორმოკენ დადიოდა. მე მის ტალახში მოსვრილ საჯღომს და ოფლის მარილებით წყებდა მოხატულ ზურგს შევცქეროდი და თავი სიზმარში მეგონა. მერე კორკელიამ ავტომატის ღვედი სალულეს ჩაიღებულ მარცხენა ხელზე დაიხვია (ყოველთვის ასე აკეთებდა, რომ დაჭრის შემთხვევაში ავტომატი არ გაეფარდნოდა ხელიდან). მე თავი ისევ სიზმარში მეგონა და ვერ ვიჭერებდი, რომ კორკელია ასეთ სისულელეს სჩადიოდა. არადა, ბალახის წვენიდან ოდნავ შემწვანებული მისი ახალი თეთრი „ნაიკის“ ბოტასები აღარ ჩერდებოდა - თითქოს იმით მიყავდა პატრონი ორმოკენ. კორკელის ოფლით დალაქული ზურგი უთრთოდა დაძაბულობისგან, ხმაც დაძაბული გაუხდა, როცა ორმოში ჩარჩინოს ესიტყვებოდა - უყვავებდა. ლანჩებიც თეთრ-მწვანე ჰქონდა მის ბოტასებს. ერთიანად ტალახსა და ჭუჭყსაში ამოვლებული, ბოტასები კი რა სულთა აქვს-მეთქი, გავიფიქრე.

ეს რა ხდება, მე ამის დედაცო, იყვირა კოტემაც. ტრაქტორის დაყვანულ ძრავს იყო ამოფარებული. ძრავი ჯერ კიდევ ომამდე მიტოვებული მუხლუხებიანი ტრაქტორის გვერდით ეგდო. მუხლუხებს შორის ბალახი ამოზრდილიყო და ის ბალახი, სხვა ბალახებისგან განსხვავებით, ჩრდილში გაზრდილივით მოთეთრო ფერისა იყო, კორკელის ბოტასების ფერი ჰქონდა თითქოს. ჰოდა, დაჭრა კოტემ ფეხი, ჯერ ძრავს მოეწვლო თავზე, მერე იქიდან ტრაქტორის ცხვირზე დასკუბდა და სახურავზეც აძვრა. შევხედეთ თუ არა, მაშინვე მივხვდით, რომ მალლიდან ორმოში მყოფს ხედავდა. ყაბარდოელი კოტეს მიერ ატეხილმა ბრახაბრუხმა დააფრთხოდა იმიტომ ესროლა კორკელის. მერე, ეტყობა, კოტეც ნახა და მიხვდა, რომ სროლას ვერ დაასწრებდა და მაშინვე ხელები ასწია.

კორკელია უცებ მოკვდა, არც ფეხები უსავსავებია და არც მიწა უფხოქნია ხელებით. ისე უცებ მოკვდა, რომ ისიც კი გავიფიქრე, შეიძლება თავი მომიკვდარუნა-მეთქი. არაბუნებრივს ჰგავდა ასე უცებ სიკვდილი.



ეტყობა, ეს სხვებსაც ვერ დაეჭვებინათ და იმიტომ არ ესროდნენ ტყვეს. არც კოტე ესროდა. რატომ არ ესროდა, არ ვიცი - ტრაქტორის ცხვირზე დახტა, მერე მიწაზე ისკუბა ისე, რომ ტყვესთვის დამინებელი ტყვიამფრქვევი არც შეტოვებია და სამიზნისთვის არ მოუშორებია. ტყვე მუხლუხზე დადგა და შუბლი მიწას დაატო, თითქოს ლოკულობის. კოტე კორკელიასთან არც შეჩერებულა - ალბათ, იცოდა, რომ მკვდარი იყო; შეიძლება, მაღლიდან უფრო დამაჭერებლად ჩანდა მისი სიკვდილი. ჩვენ კორკელიასთან მივედით. მე მის ბოტასებს ვუყურებდი, ამას კიდევ ავტომატის ღვედადგვეული ხელი არაბუნებრივად გადმოეგდო უკან - მკერდში მოხვედრილმა ტყვიებმა რომ გადმოაქნეს, მაშინ უკან გადვარდნილმა ავტომატმა მარცხენა ხელიც აიყოლია. არაბუნებრივად მოქცეული ხელი, თითქოს ბუდიდან ამოვარდნილა.

კორკელის ხუმრობა უყვარდა. თუ კარგად არ იცნობდი, ცინიკოსიაო, იფიქრებდი. იმიტომ, რომ, როცა ვინმეს ამაყობდა, მედიდურ გამოიმეტყველებას იღებდა და თითქოს იგესლებოდა. გამაყობებელი რომ გაბრაზდებოდა, თვითონ გულიანად გაიციუნებდა, ისე გულიანად, რომ გაბრაზებულს სიბრაზე გადაუღვდა ხოლმე. ამ დროს კორკელის შემხედვარეს გვეგონებოდა, რომ გესლიანი მზერა მხოლოდ გათამაშება იყო. სიცილს რომ მოჩვენებდა ისევ მედიდურს დაიჭერდა (წარბებიც ხელს უწყობდა: მედიდურად აქდა, აქიპოლოსივით ჰქონდა) და, გესლიანი მზერა კი არა, ალალი სიცილი გაითამაშაო, იფიქრებდი. შაყის რომ მოჩვენებდა, ამოიხრებდა და შენც ხედებოდი, რომ ბოროტი არ იყო.

კორკელის ნაღლის ბუშტი აწუხებდა, შარღის შეუკავებლობა სჭირდა. თბილ წინდებსა და ფეხსაცმელებს პრინციპულად არ იცვამდა ბოლო დროს. წინათ იცვამდა და შევიდა. მერე კოტემ ისევ შეხედა კორკელის სველ ლაქებზე და ამ დროს მთაზე სროლა ატყდა. ალყაში მოქცეულებმა შეაწყვეს, რომ ველოდით, იმაზე მეტი წინააღმდეგობა გაუწიეს. ყველანი გავექით ყოველი შემთხვევისთვის, მხოლოდ კოტე დარჩა ფეხზე. ზოროც წამოაღდა - თუ არ გავწვები, მეც ასე ვიღებები შენთან ერთადო, უთხრა.

მე რომ ხმაური არ ამეტყვია, ის ნაბიჭვარი კორკელის არ ესროდა. ხმაურმა შეაშინა და იმიტომ ისროლა... დარწმუნებული ვარ ამაში! - ისეთი ტონით თქვა კოტემ, თითქოს მის გარდა ამას ვერაფერს ვხედვოდით.

კორკელისთან ახლოს ვიწვი, მისი შემელოტებული თავიდან ორ ნაბიჭვარს. ჩაღისფერი თმა ჰქონდა. უკან გაეწიდა და შევიკვნი, მერე მთელი ტანი მოვტრიალდი და ტრაქტორისკენ წავიდი. ტრაქტორის მუხლუხები მოუხერხებელი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ზურგივით მივწოლოდი და ისე დამესვენა. რატომღაც მეგონა, ზურგივით თუ მივაწვები კედლის ან ხეს, დავისვენებ - დალილობა და შიში მომეხსენება-მეთქი. ხშირად მემართებოდა ასე და კორკელია სულ დამცინოდა - თავის მთავარ ტვინს - ზურგის ტვინს ასვენებს. როგორც ძალი ვერ მოფრსამს კედლის ან ხის გარეშე, ისეა ესეცო. ტრაქტორის მოვშორდი და ძრავისკენ გადავიხარე. იმ ადგილამდე მივხიზდი, სადაც წყდან კოტე იყო ჩასაფრებული. იქ სიორღია დამხვდა. კარგი ბიჭი იყო სიორღია, ოღონდ ერთი უცნაურობა სჭირდა - ყველას, ვინც თვალში არ მო-

გელა ჩხვანავა წვივის შუბლი

უვიდოდა, სატანას ეძახდა: „Он сатана, дьяву“ -ო, იტყოდა და ბარაქიანად გადააბურჭყებდა. კორკელიამ ამასთან დაკავშირებით ერთი ასეთი ხუმრობაც დაამკვიდრა ბატალიონში: შენზე გადააფურთხა სიორღიაო.

სიორღია ტიროდა. რატომღაც სხვას არავის გვიტრია.

- ეს რა მოგვივიდა! - თქვა და ცრემლები შეიშრა.

სიორღიას ტიტლიკანაქალებდახატული კარტი დაჭკონდა ჯიბით და კიდევ ცეკვა უყვარდა. დათვრებოდა თუ არა, ავტომატს მხრებზე გაიდებდა ჯიბით, ზედ ხელებს შემოაწყობდა და მაშინვე ცეკვა იწყებდა. ერთხელ უგრძობლად დავათვრეთ, ჯიბი ავიღეთ, კურტაკის სახელოვანში გაუყარეთ, კურტაკი შევუკარით, ხელების განთავისუფლება და ჯიბის გამოღება რომ არ შეძლებოდა, და ისე ვაცეკვეთ.

- არ მჭერა! - თქვა ისევ სიორღიამ.

მე ამოვიხრე. სიორღიამ კიდევ დააპირა რაღაცის თქმა, მაგრამ გადაიფიქრა - ეგონა, რომ ისევ ამოვიხრებდი და მაცალა. წუხილი რაღაცნაირად ყალბი გამოუვიდა თითქოს. არ იყო ყალბი ბიჭი, მაგრამ ასეთ დროს „არ მჭერა“ ყოველთვის ყალბად ყურს.

ნახევარი საათი მე და სიორღია ძრავთან ვისხედით. ერთი კინო გამახსენდა. იმ კინოში გამხდარი, მაგრამ ძუძუებმა, მდიდარი სტუდენტი გოგო ველოსიპედით განგებ უფარდება ფუნთუშების დამტარებელ ფურგონის მძღოლს, იმიტომ, რომ უყვარს და უნდა გაიციუნოს და თავი შეაყვაროს. მძღოლი მთელი ოცი წლით მაინც უფროსია გოგონა და თანაც წინგამოწეული ქვედა ყბით ჰყავს გამიხნს დაჯილდოებული. კინო საინტერესო სულაც არ არის, მხოლოდ იმიტომ გაყურებინებს თავს, რომ ვერ იჭერებ, სიფრიფანა და ძუძუებმა გოგოს უშოყობიანი კაცი თავდავიწყებით უყვარდება და მზად არის, ლოგინში ჩაუწვეს, ის კინო იმიტომ გამახსენდა, რომ კოტეს მიერ დახვრეტილი ყაბარდოელი ფურგონის მძღოლს ჰგავდა რაღაცით.

სროლა გრძელდებოდა. კიდევ სამი ჩვენგანი ტრაქტორის ამოფარა, დანარჩენები კირის გამოსაწვავი ქარხნის შენობისკენ დაიძრნენ ხოხვით, კოტეც მათ გაჰყვა. ცოტა ხნის შემდეგ რომ გავიხედე, ვნახე, რომ კორკელისთვის ხელები გაესწორებინათ, მისი ავტომატი წაედოთ. ყაბარდოელი ორმოსთან ესვენა.

- ის რეზინის ყური ვის აქვს? - გვითხე სიორღიას. მხრები აიჩნა და თავისი ჯიბის საათის ძეწვეთ მოჰყვა თამაშს - ხან დაიხვევდა თითზე, ხან კიდევ გაშლიდა ხელისგაწაფული მოძრაობით. ახლა თუ საათის ხუფითაც მოჰყვა თამაშს, როგორც სხევი ხოლმე, და წკაპაწყუბი ატეხა, გააჩერეთ-მეთქი, ვეტყვი - გავიფიქრე, მაგრამ სიორღიას საათის ხუფი არ აუწყაპუნებია - მიხვდა, რომ გამაღიზიანებდა.

- ჩელენტანოს ვავს ის ყაბარდოელი! - თქვა უცებ სიორღიამ.

- ჩელენტანოს კი არა, იმას კიდევ... - გავბრაზდი მე. ბავშვობისას ჩელენტანო ჩემი კუმი იყო და ორნელაზე ვოცნებობდი. „შირველლის მორჩულება“ გამახსენდა და გავიფიქრე, შეიძლება მოგვეცემა ორნელა კიდევ ცოცხალი დარჩება, არადა, როგორ მინდა მასთან დავწვი-მეთქი.

მერე შენობიდან კოტე და ზორო გამოვიდნენ. ზოროს, როგორც ყოველთვის, მკაცრი და საზურუნავით გამოტენილი კაცის გამომეტყველება ჰქონდა - თითქოს ის იყო მეთაური და არა კოტე. როცა კოტეს გვერდით იყო, ყოველთვის ასეთ გამომეტყველებას ღებულობდა.

კოტეს პირში სიგარეტი გაეჩუპო. თავიც არ დაუღუწიათ, ისე წავიდნენ კორკელისკენ.

ზორომ საბუთები ამოუღო კორკელის ჯიბიდან.

- ერთი ტყვიაც არა აქვს მოხვედრილი! - თქვა მან და პირჯვარი გადაიწერა. - მთელი მკერდი დაცხრილილი აქვს საწყალს, საბუთები კი მთელია. ხომ არის სასწაული? - უმისამართოდ იკითხა და კიდევ ერთხელ გადაიწერა პირჯვარი.

კოტე ცხედარს ფეხებში დასწვდა, ზორო მხრებიდან შეუღდა და შენობისკენ დაიძრნენ.

- მივემელოთ! - თქვა ტრაქტორის ამოფარებული რამხმა.

- ეგდეთ მანდ! - გვიყვირა ზორომ და კოტეს შეხედა, მოხმარება ხომ არ უნდაო. - ჩვენც ვყოფით!

რამაზი მაინც მათკენ წავიდა. მერე ტრაქტორთან მყოფი დანარჩენი ორიც შეუერთდა. მე და სიორღია დავრჩით. სიორღიამ კოტეს გასძახა, ჩვენ აქ ვიქნებით, შენობიდან მთელი პე-

წინა გვერდიდან

რიმეტრი არ ჩანს და აქედან დაგზავრავთო. მოგვჩვენა, რომ მსროლელები უკვე მთის შუაწველს გამოსცდნენ და ჩვენკენ მოიწვედნენ. - შეიძლება, კიდევ გამოეპარათ ვინმე იმ ყაბარდოელივით, - თქვა სიორდიამ. მე ტრაქტორისკენ გადავედი, სიორდია ადგილზე დარჩა. სიორდიას ვუთხარი, შენ ხელმარჯვნივ ათვლიერე ტერიტორია, მე ხელმარცხნივ დაგზავრავ-მეთქი. სიორდიას ეგონა, ხელმარჯვნივ ტერიტორიის თვალთვალის იმიტომ დაგვავლე, რომ იქ მოკლული ყაბარდოელი იწვა და მისი ყურებით გამოწვეული უსიამოვნება ავიცილე თავიდან. ამიტომ ცოტა ხნის მერე გავძახე, დროდრო სათვალთვალე სექტორები გავცვალეთ, თვალი რომ არ შეეჩვიოს გარემოს და რაიმე რომ არ გამოგვეპაროს-მეთქი. სიორდიამ მალე შეწყდა. სიორდიამ იყვირა და შეიგინა. - ბაყაყი ყოფილა აქ, გამოძეო... ხელზე დამაფსა, მე მაგის დედაც!... - მოთხრა, - რა უნდოდა აქ ბაყაყს! - რა და, შენთვის უნდა დაეფსა იმ შენს ცოდვილ ხელზე! - კიდევ უფრო გავაბრაზე სიორდიან. - ღვთის სასჯელია იმისთვის, რომ ხელებს არასწორად ასაქმებ! - ნუ ხარ სატანა! - რომ მოველოდი, იმაზე უფრო გაბრაზდა სიორდია და ჩემთან გადმოვიდა. - ამომივა ხელზე მიჭეჭი? - მკითხა ცოტა ხნის შემდეგ. - შეიძლება ამოვივინდე, შეიძლება - არა. სიორდიამ ხელი ბალახზე შეიწმინდა და შეიგინა. - გამშრალა ბალახი და მიწაც... როდის მოასწრო მაინც? - ზოგჯერ ბავშვივით იყო - ჩვეულებრივი რადიკები უყვირდა. - მიწა სველია, შენ ხარ ცხელი და იმიტომ გეჩვენება მშრალიაო. ხომ არ გაცივდი? - გკითხე მე. - შენისთანა რახიტები ამაყირე! - მომიგო გაბრაზებულმა. მის ხელს ზურგზე პასტით ამოკაწრულ ჯვარს შევხედე. - ეგ ჯვარი რისია, კარტის ამოღება და ხელის დასაქმება რომ არ დაგაფიქრდეს, იმისი? - გკითხე მე. - ეგა?.. გუშინწინისწინდელია, - სერიოზულად მიპასუხა. - დისშვილმა დურბინი დამაბარა და, რომ არ დამეფიქრდა, თავისი ხელით დამაბარა ჯვარი... ერთხელ მოვატყუე, ოღონდ წამალი დიდი და დურბინის მოგატან-მეთქი, მას მერე სულ დურბინის მთხოვე. დურბინი სათამაშოდ კი არა, საქმისთვის არ გვაქვს-მეთქი, რომ ვუთხრა, გაიკვებ? მთას გავხედეთ. ბინდებოდა. დურბინი რომ გვეჭონოდა, მართლა კარგი იქნებოდა-მეთქი, გავიფიქრე. - დისშვილს ის რეზინის ყური მიუტანე, ყაბარდოელს რომ ჰქონდა, - ვუთხარი სიორდიას. - აი, ასე მოგატყუე ყურს, თუ წამალს არ დალევ-მეთქი, უთხარი და დალევს. - საქმე წამლის დაღვრაზე კი არ არის, გული წყდება, დანაპირებს რომ ვერ ვუსრულებ! - ისევ სერიოზულად მიპასუხა სიორდიამ. ძალიან უყვარდა დისშვილი. - ჰო, გავიგე. მაგდენი კი მესმის. უბრალოდ, გეხუმრე, - ვუთხარი მე. ცოტა ხანში მოალეუთვან ორი კაცი მოვიდა, დედუნა გია და კიდევ ერთი, ახალწვეული, და გვითხრეს, რომ ალყაში მოქცეულები დანებებას არ აპირებდნენ. დედუნა გიას მართლა დედუნა ხმა ჰქონდა, მაგრამ ამჯერად მისი ხმა რატომღაც არ მალიზიანებდა - პირიქით, მამშვიდებდა თითქოს. ყაბარდოელის გვამი ვუჩვენეთ. - კაცი მოკლულა? - გვკითხა დედუნა გიამ. - რა იცი? - გაუკვირდა სიორდიას. - ძალიან სადისტურად არის მოკლული, - აგვიხსნა გიამ. სამხარეთლოების ტარება უყვარდა და ამიტომ სულ კაზაკს ვამგვანებდი. ძალიან უყვარდა კაზაკებს სამხარეთლოების ტარება. ახალწვეული ძალიან დადლილი იყო, დადლილობისგან ხელედი უკანკალბდა. დაბინდებულზე უკვე არ ვფრთხილობდით, წელგამართლები დავდიოდით. - თფუ-თფუ! - თქვა გიამ, ტრაქტორთან რომ დაგბრუნდით და დასაკაკუნებლად ხის ძებნა დაიწყო, კინაღამ მუნღლუნებს მიაღწა. - ავტომატის კონდასზე ქენი! - შევაშველე მე. - პლასტმასისკონდასიან ავტომატი აქვს, ვერ ხედავ? - გავცინა სიორდიას. - ჩვენთან შუალისის მერე არავინ მოუკლავთ... - სიორდიას შენიშვნაზე ცოტათი ამბრია დედუნა გია. - აი, ჩვენი მეკავშირე რომ მოვიდა თქვენთან, იმის მერე... - ვინ მეკავშირე? - გავოცდი მე. დედუნა გიამ და ახალწვეულმა არ დაიჭერეს, რომ ჩვენთან მეკავშირე არ მოსულა. - კარგი ახლა, ნუ ბავშვობთ კორკლიასავით! - დაგვიცაცხანა დედუნა გიამ. - თქვენ ყველანი ავადმყოფები ხართ, კორკლიამ დაგაავადმყოფათ... ყველაფერზე კარგი როგორ შეიძლება! - კორკლია ტრუბაია, - უთხრა სიორდიამ. - იმ ყაბარდოელმა მოკლა. - რას ამბობ!.. ისეთი გამოცდილი იყო. მთელ ორდღიან „მისარუბკას“ გადაურჩა და აქ დაიბ-

რიდა, კაცო ზურგში?! - შეწუხდა დედუნა გია და ისევ თავის გასაჭირს დაუბრუნდა. - აქ თუ არ მოსულა, აბა, სად ფეხებში წავიდა ის მეკავშირე?.. ელგუჯას ხომ იცნობდი, კაცო, მაღალი რომ იყო. ის გამოვლევით. მე და სიორდიამ მაღალი ელგუჯა ვერ გავიხსენეთ. სიორდიამ თქვა, არც ისეთი მაღალი იყო, ალბათ, თორემ გავგახსენებოდაო. ხუმრობასავით გამოუვიდა ნათქვამი და დედუნა გია, ლამის იყო, გაცოფდა. - ავადმყოფები ხართ, კორკლიამ დაგაავადმყოფათ, აცხონოს ღმერთმა! - თქვა და ნაჩქარევად გადაიწერა პირჯვარი. - სად უნდა წასულიყო მაინც? - მეკავშირეზე თქვა. - გზა აებნა, ალბათ, - თქვა სიორდიამ. - რა გზა აებნა, ამ ჩემს იმასავით წამოშტრიკინებულა ამისმალე ტრუბა, მთიდან კი არა, იქიდანაც გამოჩნდება, რა ქვია მაგას... - სიტყვებს ვერ პოულობდა გაბრაზებული დედუნა გია. - ბარდინ! - შეაშველა სიორდიამ. - გაჩერდი-მეთქი! - განწირული ხმით უყვირა დედუნა გიამ. ჩვენ კირის საწვავი ქარხნის მიღს შევხედეთ. - მივალდი ხომ არ აიყვანეს? - თქვა ახალმა და მთას ახედა. ცოტა ხანს ჩუმად ვიყავით. დედუნა გია მაღალ ელგუჯას გლოვობდა. ახალწვეული კი ისე იყო დადლილი, რომ ყველაფერი ფეხებზე ეკიდა. - მივალ, ერთი, კორკლიას დავტირებ, - თქვა დედუნა გიამ, ცოტა რომ დაწყნარდა. - ერთ იმათ ტრუბას კიდევ პლასტმასის ყური ედო ჯიბეში. ნამდვილს ჰგავდა, - თქვა ახალმა და ამოიხრბა. - პლასტმასის კი არა, რეზინისა იქნებოდა, - ვუთხარი. - არ იქნებოდა რეზინისა, - შემიწინააღმდეგა სიორდიამ. - ჩვენი ტრუბის ყურიც პლასტმასისა იყო და არა რეზინისა. - რეზინისა იყო, თუ გინდა, დავნიღვავებო, ოღონდ ბაყაყმა რომ დაგაფსა, იმ ხელს ნუ ჩამომართმე! - შევთავაზე მე. მოკლული ყაბარდოელის ჯიბეში ნაპოვნი ყური ხელში არ მჭერია, მაგრამ, დარწმუნებული ვიყავი, რომ რეზინისა იყო და არა პლასტმასის. - თქვენ ისევ კაიფობთ? - განწირულის ხმით გვკითხა დედუნა გიამ. - ამ ყაბარდოელსაც ედო ჯიბეში რეზინის ყური, ძმები იქნებოდნენ, ალბათ, თქვენი და ჩვენი ტრუბები, - იგარაუდა სიორდიამ. - ან მხაკცები, - შევაშველე მე. - დავაფურთხე შენს ლოკისას!.. მე და „ხამკამბატას“, იმ ჩათლახს, ერთნაირი საათები გვაქვს. რა გქნთ ახლა, ძმები ვართ თუ ბიძაშვილები? - გვეკითხებოდა? - კიდევ უფრო განწირული ხმით იკითხა დედუნა გიამ. ჩვენ ძლივს დავარწმუნეთ, რომ არ ვხუმრობდით. - შეიძლება, მართლა ძმები იყვენ... ამის სახე არ გაიჩნება, იმას კი საბუთები არ ჰქონდა, შებოლილი სულუგუნე ედო ზურგჩანთაში, - თქვა ახალმა და ისევ მაღალ ელგუჯაზე დადარდიანებულ ამხანაგს შეხედა. - მოკმი იყო ის ჩემი ცოდვით სავსე... დადლილი ტყვია მონვდა ლავიწზე, საძილე არტერიასთან. კანი გაგლიჯა და, შეიძლება, ძვალაც გაბზარაო, ბიჭებმა თქვეს. წადი, ბარემ, მკავშირედ „სტრახოვმიკებთან“, იქ დარჩი დილაამდ და ჰრილობას მიხედო, ვუთხარიო. თურმე სად ვაგზავნიდით!.. პატრივი ვეცით, ჩვენი ჭკუით, და პირიქით კი გამოვიდა! - ლამის იყო მოთქვამდა დედუნა გია. ახალი მიწაზე გაწვა და მაშინვე წამოღდა. - აქ როგორი სველია მიწა!.. ტყემი უფრო მშრალია! - თქვა მან. მე გამეღებოდა და სიორდიას გადავხედე ნიშნის მოგებით. იმანაც გაიღებოდა და შუათითი ამიწია ამერიკული მანერით. დედუნა გიას ეგონა, რომ ისევ მის გასაბამულეზლად ვემზადებოდით. მინდოდა, ტრაქტორს ზურგით მივწოლოდი, მაგრამ მოხერხებული ადგილი ვერ შევარჩიე. უცებ ძრავს იქიდან გომბეშომ დაიკრუალა, თანაც ისე მშვიდად, თითქოს გვაჯავრებოდა. - რას გააჯანვლეთ მაინც ასე საქმე, ხონით მოგართვით ეს კონფედერანტები, დადვითი ლუქმა ჩავიდეთ პირში და ისიც ვერ გადავიცლაბი-ათ! - თქვა სიორდიამ. - მოიცა თუ კაცი ხარ, - თქვა დედუნა გიამ. - ნუ იცი ხომლე გავიანებდა. ხომ არ გგონია, ვთამაშობთ! - მალე მორჩით. დასვენება გვინდა! - ისევ შეუტია სიორდიამ. - თუ ვერ ერევით, პირდაპირ თქვით და ისევ ჩვენ მივალთ... ჩადებული ვერ შეგირვიათ. - ნუ უზრდელობ! - მკაცრად გამოსცრა დედუნა გიამ, ისევ მაღალ ელგუჯაზე ჯავრობდა. - თუ ბედი აქვს, გადარჩება, არ დაიკარგება, - უთხრა სიორდიამ. - აი, კორკლიას კი მართლა სიკვდილი ეწერა, პირდაპირ ტყვიას შეუშვია შუბლი, თითქოს ეშმაკი შეუჩნდაო... ბედია ყველაფერი! - დავტყურო მაინც, - თქვა დედუნა გიამ, მაგრამ კორკლიასზე უფრო მეტად მაღალ ელგუჯაზე დარდობდა. ყველა ჩვენსა ვდარდობდით. მერე სიონზე ჩამოწვა. გავიგონეთ, როგორ დააცემინა კოტეტი. - დასრობა შენ და არგადარჩენა! - თქვა სიორდიამ და თითქოს გულზე მოეშვა. გვეგონებოდა, მთელი დღე ემზადებოდა ამის სათქმელად.

ნიგნ, რომელსაც ველოდით ჩემს ლექსებს, როგორს ძვირფას ღვინოებს...

ქართველი მკითხველის ძალიან მცირე ნაწილმა საუკუნო საუკუნო მიიღო - ბათუმში, გამომცემლობა „აჭარის“ გრიფით, ქართულ ენაზე გამოვიდა მარინა ცვეკაევის ლექსები. ეს გახლავთ პოეტ ქუქუნა ხაჯიშვილის მიერ რუსულიდან ნამდვილი ქალური ინგლისური, მგრძობიარობით, დედანთან მაქსიმალური მიახლოებით თარგმნილი, უღამამესი ლირიკა. მარინა ცვეკაევა - გენიალურ პოეტს და გრაფიკულ ბედის პიროვნებას - მაიაკოვსკისთან და პასტერნაკთან ერთად, რუსული ლექსის ერთ-ერთ რეფორმატორად თვლიან. ევგენი ევგუშენკოს აზრით: „ისეთი შესანიშნავი პოეტის, როგორც ახმაგოვაა, გრადიცილი ლექსის მიმდევარია. ამ თვალსაზრისით, ცვეკაევა ახმაგოვაზე მაღლა დგას.“ ასეთი პოეტის ქართულად ამეგველებმა, ბუნებრივად, ფრიალ სარისკო საქმეა და, თუ ეს ქუქუნა ხაჯიშვილმა შეძლო, უპირველესად, პოეტის სულში ღრმა წვლამით. თუ თარგმანში ლექსის ფორმისმიერი ნოვატორობა არ ჩანს, სამაგიეროდ, ძალიან სათუთად და ფაქობად იკითხება ცვეკაევის პოეტური ინდივიდუალიზმი, მისეული მსოფლგანცდის ნერვიული სილამაზე. წიგნი პოლიგრაფიულად კარგადაა გამოცემული: საინტერესო დიზაინი, ფოტოსურათები, რუსული ლექსის ვერსიები დაბეჭდილი ქართული თარგმანით (რაც განსაკუთრებით მრდის მთარგმნელის პასუხისმგებლობას და მისი შრომის შედეგს ღამის გამაღიებელი ლუქის აწვდის მკითხველს განსასჯელად). მთარგმნელის საკმაოდ ვრცელ წინასიტყვაობაში ვაღმომცემელია მარინა ცვეკაევის მიერ განვლილი შემოქმედებითი გზა, განკვირვითა და გვივილით სახეს მისი პირადი ცხოვრება. პოეტმა, საბჭოური რეჟიმის მსხვერპლმა, მამაშვილსა და ვაჟაშვილს პირობებში გაატარა სიცოცხლის მთელი მეორე ნახევარი. „შემონახულია განცხადება, სადაც ცვეკაევა იხსნის ჩინოვნიკის მწერადას სასადადოში ჭურჭლის მრეცხავის ადგილს: „გთხოვთ, მიმიღოთ სამუშაოდ ჭურჭლის მრეცხავად, თუკი გაიხსნება ლიგონდის სასადადო.“ ჭურჭლის მრეცხავის ადგილი ერთი, მოთხოვნები კი - მრავალი! - ასეთი ყოფილა პასუხი.“



მთარგმნელი განგრძობს თხრობას: „უღამამესი პოეტის წინადადებას ვაგზავნი ჩემი მისი ჩემოდანი პირის პასტერნაკის თოკით შეუკრავს, თან უხუმრია: თოკი ისეთი გამძლეა, თავის ჩამოსაქვივლად გამოდგებაო. ამ წინასიტყვაობის შემდეგ სიცოცხლის ბოლომდე ნანობდა პოეტი. თოკი მართლაც გამძლე გამოდგა... იაკაკიან არც ისე მაღლა ეკიდა ცვეკაევის უსიცოცხლო სხეულს. მაგიდაზე სამი გამოსახილვითა წერილი და დასაკრძალავი ფული - 150 მანეთი იდო, ელექტროლუმზე კი, დიდი გოფით, შემწვარი თევზი - პოეტის ხელით მომზადებული ჭირის სუფრის სადელი.“

სასიკავად გრაფიკული აღმოჩნდა მარინა ცვეკაევის ოჯახის წევრების ბედი: კუნცევის ბავშვთა თავმჯდომარეში, შიმშილით ვარდაიყვალა სამი წლის ვოლონა - ირინა, მოსკოვის ციხეში დახვრიტეს მეუღლე - სერგეი ვერონი, 1944 წელს ვიგნისკთან დაიღუპა ვაჟი - 19 წლის გიორგი ვერონი, უფროსმა ქალიშვილმა არიანამ კი 16 წელი გაატარა გულაგის ციხეებში. ამ უმძიმესი, სულისშემძვრელი ბოტრავის თავზე, თითქოს სიცოცხლის მარადიულ სხივებზე ირეკლავს თავის ხელთუქმნელ მშვენიერებას მარინა ცვეკაევის უკვდავი პოეზია: Моим стихам, как драгоценным винам, Настанет свой черед.

მადლობა მთარგმნელს, ვისი გულწრფელი მოწოდებით ჩვენამდე მოშრიალდა ცვეკაევის უნაგოფის ლექსი. იქნებ, 300 ეგზემპლარად გამოცემული ამ საინტერესო წიგნის გირაკი როგორმე გაიზარდოს და ჩოლოქს გამოვლამ მკითხველმა შეძლოს ქუქუნა ხაჯიშვილის დიდი და უანგარო შრომის შეფასება.

ნაწილი სხვილიანი

მომწონს, რომ ავად არა ხართ ჩემით, მომწონს, რომ თქვენით არა ვარ ავად, რომ ფეხებზე მიწა მძიმე და სველი არ გაგოკებდათ სულის შემძრადად. რომ სასაცილოდ თავისუფალი არ ვთამაშობდეთ ყალბი სიკვებებით და არ გავწითლდეთ, როცა უნარალოდ ერთუთოს თითები ვუღაცეობთ. და კიდევ მომწონს, გიქცერთ როცა, ცხვევით ვინმეს მოურდებელივ და არ მიგზავნით ვენას კოცონს, მეც საკონცელოდ რომ არ მინდებოთ. რომ ჩემს სხეულს სათუთად თქვენში არც დლით, არც ღამით არ გაუფლავ, რომ დიდი გაძრის სიმეუღროვეში არავინ გვეგვეის ალილეისა. მადლობას გიხდით გულით და ხელით, გულით და სულით მადლობას გიხდით. მადლობას გიხდით - ვიყვარდით ისე, რომ თქვენ თავადაც ვერაფერს მხვდით. მადლობას გიხდით ამ სიმშვიდისთვის და იშვიათი შეხვედრებისთვის, მიფარინ ღამით, დაბინდებისას ჯერ არშემდგარი პაემებისთვის. რომ თავს არ გვადგას ვერგვისის დარად ჩვენ შარავნის ცხელი და მწველი, ვწუხვარ, რომ ჩემით არა ხართ ავად, ვწუხვარ, რომ ავად არა ვარ თქვენით!

Мне нравится, что вы больны не мной.
Мне нравится, что я больна не вами,
Что никогда тяжелый шар земной
Не уплывает под нашими ногами.
Мне нравится, что можно быть смешной-
Распущенной- и не играть словами,
И не краснеть удушливой волной,
Слегка соприкоснувшись рукавами.
Мне нравится еще, что вы при мне
Спокойно обнимаете другую,
Не прочтите мне в адовом огне
Гореть за то, что я не вас целую.
Что имя нежное мое, мой нежный, не
Упоминаете ни днем, ни ночью-всуе...
Что никогда в церковной тишине
Не пропойт над нами: аλληлуйя!
Спасибо вам и сердцем и рукой
За то, что вы меня- не зная сами!-
Так любите: за мой ночной покой,
За редкость встреч закатными часами,
За наши негулянья под луной,
За солнце, не у нас над головами,-
За то, что вы больны - увьи! - не мной,
За то, что я больна - увьи! - не вами!

თარგმანა მუქუნა ხაჯიშვილია

ამოთხვეულს შვიასხანხაბო, რომ ეს მარინა ცვეკაევის სწორად ის ლექსია, რომელსაც ზიტარაზა მელიქი სწოხილი ქინოზილის „ბედის ირონი. ანუ ბაჰომო“ ბიჩირი.

ღლა პირველი

ქინჯლოვად. ტროლიბუსიდან ოციოდე წლის გოგონა ჩამოვიდა და არეული ნაბიჯით გადაკვეთა ქალაქის ერთ-ერთი ცენტრალური მაგისტრალი. აღმართს შეუღდა. შეკრთა. ტროტუარზე შავი ძაღლი იწვა და ამომავალს თვალმოწყურული შეჰყურებდა. ძაღლმა ძაღლური გამჭრიახობით იახრა, გოგონას მისი შექმნილი ბოლო და, მართლაც, ვარაუდმა გაუმართლა. გოგონამ უკან დაიხია, მეორე მხარეს გადაწყვიტა გადასვლა. ძაღლმა მისდამი გამოცხადებული უნდობლობა იუკადრისა; ტანი ასწია, უკანა ფეხებზე დადგა. შექმრთალობა გოგონამ დაუყვავა: ჩემო კოკროჭინა. ძაღლს გული დასწყდა: ჰამ, ჰამ, ჰამ... ერთი ამ ლაწირაკს დამისხედეთ... ჰამ... ჰამ... ჰამ... განა მართლა კოკროჭინა ვარ?!... ჰამ... ჰამ... ჰამ... - ძაღლი მთელი სიმაღლით აღიმართა.

გოგონა ერთ ადგილზე გაშეშდა. იგუმანა, ძაღლს მისგან რაღაც ეწყინა. უცებ გონება გაუნათდა და საკბენად თუ საჩხუბრად გამზადებულ ძაღლს მიესიყვარულა: ჩემო ბომბორა, ჩემო ბომბორა. ძაღლს გაუხარდა. დაჭიშული სხეული მოუშვა, დაწვა, თავი წინა ფეხებზე დადო და ნარნარად მიმავალ გოგონას თვალი სვედანიად გააყოლა.

გოგონა ერთ-ერთი შენობის სადარბაზოში გაუჩინარდა. შუქიანმა თვალებმა პირველ სართულზე ლიფტიდან ხელმძრეცხვივ კარის გასწვრივ გაკეთებული წარწერა წაიკითხა: კმბ-ს ოფისი. მხრები აიჩეჩა და სუნთქვა შეკრულმა თითები ზარს დააჭირა.

- ახლავე! - მოესმა შინიდან. კარი უცნაურად შეღებულმა ქალმა გაულო, გაუღიმა და ცისფრად შეფერადებულ კარამდე მიაცილა.

- გამდლობთ! - უფრო თავისთვის ჩაიბურტყუნა გოგონამ.

ოფისის ხელმძღვანელი (ასე უწოდა კაცს ფიქრში თავად გოგონამ) გაფართოებული თვალებით მიაჩერდა შემოსულს.

- დაბრძანდით! - მიახალა უზუნაქსმა არსებამ უნაზეს არსებას.

- თეკლა! - თქვა გოგონამ და მითითებულ სკამზე დაჯდა.

- გისმენთ, თეკლა!
- მე... მე... მე... უფროსო, - გოგონამ სიტყვებს თავი ვერ მოუყარა.

უფროსი წამოდგა, მაგიდას შემოუარა, გოგონას მხრებზე ხელი მოხვია და სთხოვა: დამშვიდდი, ლამაზო! მერე ფანჯარაში გაიხედა, მობრუნდა, მაგიდას მიუახლოვდა და ხერხელს ჩასძახა:

- ვიკა, გეთაყვა, ორი ყავა!
- ახლავე, ბატონო! - გაისმა ნაზი ხმა.

გოგონამ თვალეტი უაზროდ მიმოატარა. კარი გაიღო. თეკლამ ვიკა კრიტიკულად შეათვალიერა და დაასკვნა: გაურკვეველი წარსულის მქონე ქალი. თეკლას არც ის გამოჰპარვია, რომ ვიკამ უფროსს საეჭვოდ გაუღიმა.

- მდა! - ორზარონად ჩაილაპარაკა უფროსმა. ტელეფონი აწკრილა. ბატონი უფროსი ყურმილს დასწვდა, ღიმილადქცეულმა ყურმილს მხოლოდ ერთი სიტყვა ჩასძახა ომანიანად: ო კეი!

- მაშ, ასე, - მოუტრიალდა სახეგაბადრული უფროსი თეკლას, - ალბათ, თქვენთვის ცნობილია ჩვენი ორგანიზაციის დანიშნულება.

გოგონამ უარყოფის ნიშნად თავი გადაიქნია.

- არა უშავს, აგისხნით. მოგესხენებათ, ჩვენთან როგორი გაუსაძლისი და აუტანელი მდგომარეობაა. ხალხი დამიშა, ხალხი დაიბოლმა. ამას დამატა, ჩემო ბატონო, ქვეყნის ბიუჯეტის ათასჯერ სეკვისტრი, მასობრივი უმუშევრობა, გაყინული პენსიები. მოკლედ, ჩვენი პროექტიც ამ საკითხებს ეხება. სწორედ რომ ეგზისტენციური ზმის დრო დაგვიდგა. ისიც კარგად მოგესხენებათ, ჩემო ძვირფასო, ხალხი ბრბოა, რასაც ჩასძახებ, იმას ამოცახებ. დღევანდელი ვითარება ჩვენს სასარგებლოდ მოქმედებს. ჩვენ წინ დიდი ასპარეზია. მორჩა, ამიერიდან ქვეყნის ბედ-იღბალი ახალგაზრდობის ხელშია. ერთი სიტყვით... თქვენი მოვალეობაა...

- წყალი! - ითხოვა გოგონამ.

კაცმა ჭიქა გაუწოდა. აუტანელი სიჩუმე ჩამოვარდა.

- რაც აქამდე ვილაპარაკე, თქვენთვის გასაგებია? - დუმული ისევ კაცმა დაარღვია.


- იცით, ბატონო უფროსო, - დაბნეული გოგონა კაცს უმწეო თვალებით მიაჩერდა.

- კახაბერი მქვია, მაგრამ თქვენ შეგიძლიათ კახა დამიძახოთ და, საერთოდაც, ჩვენი ორგანიზაციის შორს მიმავალი გეგმების თანახმად, უკეთესია, ხალხმაც ასე მომმართოს: კა-ხა!.. კა-ხა!.. კა-ხა!.. - და აღგზნებულთვალებიანი უფროსი წამომიშრია.

- ბატონო კახა, მერიდებ, მაგრამ, უნდა გამოიტყუდეთ, ჩემთვის სრულიად გაუგებარია სიტყვები: ეგზისტენციური ზმი, სეკვი...

- მით უმჯობესი, მით უმჯობესი! - სიხარულისგან იყვირა ბატონმა კახამ, - ჩვენი მიზანია, ხალხი გაგაბრუოთ უცხო და გაუგებარი სიტყვებით და ნელ-ნელა მოგახდინოთ გრადაცია. ჩვენი ორგანიზაციის, კმბ-ს, ანუ „კარნახით მცხოვრებთა ბიუროს“ მთავარი მიზანია ხალხისათვის ჩვენი იდეების შეპარვით მიწოდება.

ღლა ნაშობი ღლისაგან ნამდვილი ამბავი — ჩასაფიქრებლად



მათი სურვილების, მისწრაფებების, ამოცანების დაწინაურებისა და მივიწყების ხარჯზე საკუთარი მიზან-მიმართულებების განხორციელება.

- ბატონო კახა, მე თქვენი ამ დიდი საქმის ფრთების შესასხმელად ვერ გამოვდგები, - ამოიკნაველა თეკლამ.

- ო, არა, არა, რას ბრძანებთ. სწორედ ის ხართ, ვინც ჩვენ გვჭირდება. თქვენ, თქვენი მეგობრები... მთელი ყმაწვილქალობა... ყმაწვილკაცობა...

- თინეიჯერები? - მორცხვად იკითხა გოგონამ.

- ბრავისიმო! ბრავისიმო! ნომ ხელავთ, უკვე ერთმანეთს გავუგეთ! - იქუხა ბატონმა კახამ, - ახალგაზრდებს მახვილი თვალი და გამჭრიახი გონება გვაქვს, ამიტომ შეუძლებელია, შევცდეთ ადამიანების გამოცნობაში... მე ვარ ექსპანსიური პიროვნება, რომელიც თავის გრძობებს ვერ ფარავს და ადვილად ამქლავნებს... მე ვარ კაცი...

- უკაცრავად, დროა, წავიდე! - წაილულულა თეკლამ.

- კარგი, გოგონა, მაგრამ დაიმხსოვრეთ: რაც გიწერია, ის არ აცდება. ყველა ადამიანს ისე უნდა შეგხედოთ, როგორც წარმავალსა და დროებითს. ის, რაც გუშინ ჯერ კიდევ ჩანასახში იყო, ხვალ მუშაობს და ფერფლად იქცევა. დროის თითოეული წუთი გაატარე სამყაროს-

თან თანხმობაში, შემდეგ კი ცხოვრებას ისეთივე სიმსუბუქით დამორდი, როგორც ხეს სწყდება მწიფე ზეთისხილი. მარკუს აგრელიუსი, რომელი ფილოსოფოსია... აბა, რა?!

გოგონა კარისაკენ გაემართა.

- თეკლა, შეჩერდი! ეს ჩვენი ურთიერთობის დასაწყისისთვის, - და ბატონმა კახაბერმა გოგონას გამოსამშვიდობებლად გამოწვილ ხელისუფლში ორმოცდაათი დოლარი ჩაუღო.

თეკლა მოულოდნელობისგან შეცბა.

ღლა მეორე

თეკლას გვიან ჩაეძინა და გვიანაც გამოეღვიძა. ფანჯარა გამოაღო. ოთახში სასიამოვნო სიგრილე შემოიჭრა.


- ღმერთო, რა გქნა, რა გავაკეთო?!
- თეკლა, ტელეფონზე! - ოჯახის დიასახლისის ხმამ გოგონა გამოაფხიზლა.

- თეკლა, კახაბერი ვარ. ზეგ აქტივისტებს ვხვდებით და შენი დასწრებაც აუცილებელია. გელოდებით! - გააფრთხილა გოგონა მამაკაცის ხმამ.

- რა გქნა, ღმერთო, საიდან და როგორ დავიწყეთ?! - ფიქრობდა კბეზე ჩამომავალი თეკლა.

- ჯერ ბაზარში, ჯერ ბაზარში! - მოსვენებას არ აძლევდა შინაგანი ხმა.

თეკლაც შინაგან ძახილს მიჰყვა. ასე გულია-



...ასე თითრად, გულუბრყვილოდ ჰყვავის ჩვენში იმეართში ცყემლის ხეზე გაზაფხული...

ნად, კარგა ხანია, არ უვარია. ბაზრიდან მობრუნებულმა ცოტა სული მოითქვა. მერე მეგობრებს დაუჩქა და სულ მალე ოთახი გამოაცხვდა.

- თეკლა, ფული საიდან? - არ მოასვენეს მეგობრებმა.

მეგობრებს ყველაფერი დაწვრილებით უამბო.

- ორმოცდაათი დოლარი?... მიშველეთ, დაგვიცი... შევიძალე... დანას ვლესავ ენის წვერით და ადამიანებს ვერ დავგვლაპარაკებ, აუ... - ხელები აიქნია ლაღიმ.

- არც მე მაწყენდა. თეკლა, ჩათვალე, შენთან ვარ, - თქვა თათიამ.

- შენ რაღას იტყვი? - მიუბრუნდნენ მირანდას.

- ვნახოთ, - უპასუხა დაბნეულმა გოგონამ.

- შეეშეთ გოგოს, შეეყვარებულა და დაფრინავს. - იბოვა გამოსავალი თათიამ.

- სიყვარულო, ძალსა შენსა... მიუხედავად იმისა, რომ სიყვარულს თან ახლავს ლოდინი, ტყვივლი, ხაფანგი, გამოცდა, სულწასულობა, სევდა, მაინც მუდმივად ვილაცას ვეტრფით, ვილაცა გვიყვარს, ვილაცას ვაღმერთებთ, ჰოდა, მოდით, ჩვენს სიყვარულს გაუმარჯოს, გოგოებო!

- ენად გაიკრიფა თინეიკო.

- თქვენს სიყვარულს გაუმარჯოს... იცით, რა, გოგოებო, ბრძანებით და ვილაცის კარნახით ცხოვრებას ვერ ვიგუებ, - თქვა მირანდამ.

- გეთანხმები. ერთიკაა, სიციხულე თავისი სილამაზითა და სისუფთავით უნდა შევიფეროთ, - ხმა ამოიღო აქამდე გაუყურსულმა ანეტამ.

... და სხვა ღვაწი

ხალხი გრძობდა, ჰაერში ცუდად შენიღბული სიძულვილის სუნი ტრიალებდა. სივრცე ძაგძაგებდა. ზოგს ასე ეჩვენებოდა, გადაწყვეტილებების მიღების დრო დათავარდა და ქვეყნის აწყვეტილობის ჟამი დაუდგაო.

- რევოლუციური პათოსი რომ არ გავგვექცეს, დიდი ძალისხმევა გვჭირდება. მთავარია, ხალხის ყურადღება გადაიტანოთ არა ბრძოლის მომავალ შედეგზე, არამედ ბრძოლის დღევანდელ მიზეზზე. მიზეზი ყველასთვის ცნობილია. ხალხს ასე ცხოვრება მოეზრდა... რაც შეიძლება საფუძვლიანად და ძირგამომთხრელად ვაგონოთ ხელისუფლებას, - მოძღვრავდა თეკლა და მისი ჯგუფი ადამიანთა გარკვეულ ნაწილს.

- მოხვდი, ბებია შემოგველოს?! - ბოლო დროს შენი დაგვიანება არ მომწონს. ახლანდელს ჩემგან არ გესწავლებათ, მაგრამ მაინც შეგახსენებთ: ხალხი ყოველთვის ძალას მიჰკერძავს ხოლმე და თანაც ძალიან ენერჯება, თუკი ამით მას არაფერი ცუდი არ ემართება, ის ცდილობს, ყიას ძალა დაატანოს და წამოიყვაროს: ძირს ნაძირალები! გამყიდველები!.. ამ დროს მხოლოდ ღმერთმა უწყის, რომელია მათ შორის სუფთა, წმინდა და მართალი.

- შემიფი, ერთი, ბებია, ჩემი საქმისა მე ვიცი, - ნერვებმა უმტყუნა მირანდას.

- ვის შეგიფი, ვის? - მირანდას მოულოდნელი შეპასუხებისგან ლამის თვალეტი გადმოუცვივდა ნათელა ბებიას.

- დიახ, მე! კონკრეტულად მე და, საერთოდაც...

- ხმა ჩაიწყვიტე, ვის უბედავ! ვინ ოხერმა გამოვაცალა ტვინი, ვინ? - მოხუცი საგარძელში ჩაესვენა.

ზარის ხმა გაისმა. მირანდა კარისკენ გაემართა. ოთახში ანეტასთან ერთად შემობრუნდა.

ანეტამ ნათელა ბებია გადააკოცა. მირანდამ აუნხსა, მე და ბებია შეგვაბათდითო.

- ეგრე იყო... თქვენ ჰკვიანი გოგოები ხართ და არ მინდა, ეს დღეები სანანებლად გექცეთ. შეიღებო, ყოველგვარი უსამართლობა დედამიწაზე სიმაართლის სახელით ხდება. ყველა ცოდვით დაცემის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანს უჩნდება სურვილი, მხოლოდ საკუთარ თავზე დაყრდნობით მიადწიოს სისრულეს და ამ დროს ვერ აცნობიერებს, როგორ ემსგავსება ეშმაკს. ამპარტავება სწორედ დაცემა. სატანას არ სურს, საკუთარ თავში იყოლოს ღმერთი. ჰოდა, ამიტომაც გაუბრბის მას, უგმანავს კარს. ის თვითდაჯერებულია და დარწმუნებული, რომ თავად შეძლებს საკუთარი თავის გადარჩენას... არ ვიცი, ვინ როგორ გამოიგებს, მაგრამ ჩემს თვალეებს არ სურთ, იმათ რიგებში ვიხილონ, ვისაც უფროს-უმცროსის პატივისცემა და მორიდება დავიწყებია, ვისთვისაც მშობლიური ტრადიცია უცხოა და ყოველივე მშობლიური უცხო გამხდარა... გესმით, დგებუძისა და ლორთქიფანიძის ქალიშვილებო! - მკაცრად ბრძანა დადიანის ქალმა.

ქუჩიდან შემოსულ ხმაურზე ლაპარაკი შეწყვიტა, მირანდა და ანეტა ფანჯარას მიაწყუნენ.

- ღმერთო, მოხედე ჩემს მამულს! - პირვეარი გადაიწერა ბებია.

ხალხი მიჰყვებოდა გზას, რომელიც ანგრევედა ყოველგვარ კანონებსა და ყოველგვარ მორალს. კარნახით მცხოვრებთა საზოგადოების მესვეურთ სიმაართლისა და გამარჯვების წყურვილით ანთებული ადამიანები იმ სამყაროსკენ მიჰყავდათ, რომელიც, არავინ იცოდა, რას ჰპირდებოდა.

სივრცე ძაგძაგებდა.

ახალი მანქანი

მარკა კურაპეილი

სული ცად წავა სახეტილოდ, მას ვალი არ აქვს ცოდვილი მიწის, მო, შენი თვალით ნახე, ტილო, ამ მკერდში გული რაჩივად იწვის!

ჭერ ნახე, მერე ნაცრად ქცეული ქარს გაატანე, მე გაძლევ ნებას; სული ცად მიდის, ხოლო სხეული მიწაში ლბება ან მზეზე დნება...

სული ცად წავა, სული ცად წავა — ცა არის მისი თავი და ბოლო — და, რომ ამოვა ხორციდან ლავად, ლექსები უნდა ამოვაყოლო...

ჩახუტება არაგვი არაგვს, აუხდენია ოცნება ძველი... თუ ხვალინდელის იმედი არ აქვს, შენს სულს, მითხარი, მაშ, რაღას ელი?

წარმოდგინო, გსურს, გელათებად თითოეული ნატენი ლოდის, იმდენად გინდა, რომ გელანდება, ერწევი ამ ლანდებს და იწეებ ლოდინს...

და ელოდები ასე ჯიუტად, ხანაც ჩახედავ უძველეს მითებს, (შარაზე ისევ მოდის იუდა და ოცდაათ ვერცხლს ჯიბეში იღებს).

... მერე გინდება მღერა გედური და თაიგული ია-ვარდების, არც გასუვედურობ და არც გემდური, მართლაც გედვიით ძირს რომ ვარდები.

თუ სულს სულ მცირე იმედიც არ აქვს, აბა, რა დარჩა, აბა, რას ელის? ... გადახვევია არაგვი არაგვს, — აუხდენია ოცნება ძველი...

ბათნებიდან დაღამებამდე...

დაღვარე ცრემლი წმინდათაწმინდა, გრძობა-გონება ერთმანეთს ანდე. ტირილი მინდა, ქვეთინი მინდა გათენებიდან დაღამებამდე...

იყავი თბილი, იყავი ურჩი, მზეო, მარადის რომ გამეხარდე... გადავიღლები ცქერით ცის, ლურჯის, გათენებიდან დაღამებამდე...

დღევანდელია იქცევა მითად, გულში ჩავიკრავ ტიტებს და ვარდებს; ლექსები მინდა, სიმღერა მინდა გათენებიდან დაღამებამდე...

და აკვნესდება გიტარა როცა, მაშინ ავყვები მეც მროკავ ლანდებს და მომწუხრდება შენს კართან ლოცვა გათენებიდან დაღამებამდე...

ლელა არაბული

რა ვერაგულად მიმატოვეს ნაზმა მუწებმა... ვიცი, ღირსი ვარ, დავიმსახურე, არ დავაფასე მათი ღირსება. მაგრამ წასვლის წინ ის მაინც ეთქვათ, ახალი ლექსი თუ შედირსება...

გული მერევა, სევდა მერევა, ფენი მერევა. ვნება მერევა, წლები მერევა, ვილაც მერევა. მაგრამ სამშობლო სხვა სამშობლოში არ ამერევა...

გადაშიარა, გადმოშიარა, თითქოს ვარ კორდი. მაინც ავიღე ჩემი აკორდი...

ცრემლით სახეზე პეშვები, თავდაღმართზე ვეშვები... უფსკრულს გადავშვები, რაკი ველარ ვეშვები.

ვერ მოვიშორე შენი სიშორე. რისთვის და რატომ? იქნებ ამიხსნათ, ამ სასჯელისგან მალე დამიხსნათ.

ჩემსას არ ვიშლი... მკლავებს გაგიშლი. ნაწნავს ჩავიშლი, თუ არ დამიშლი...

განწეობა არუის... სახეში მაყრის დარდებს და ფიქრებს, რა თავგნედა?! არადა, გარეთ საოცარი ლურჯი ხედა.

ცა დაიკიდებს მთვარეს მძივივით. მივექანები სადღაც ტივივით. გზადგუნა ტალღა, ნისლი, ლოდები. არასდროს გეტყვი: დაგელოდები.



ღარიჯან სუმბაკი

ნის ჩამქრალ ფოთლებს სევდად ვერევი. რაკი მზის სულიც ცაში მინავლდა, სამყარო იქცა მრუმე მორევად, მე კი მორევის ფერმკრთალ ბინადრად. ცა მტრედისგვარი სიჩუმეს კენკავს, დავიწყება ძველი იერი... მე მოვდიოდი როდესაც შენკენ — ძილდამეული და ნებერი. ავსებულყო ზეცის მოღბერტით დღე — ჩემი სულის თეთრი სავანე — და შენს უოფაში მე შემოვდი, როგორც მაისში იასამანი. ჩვენ ვმადლდებოდით მზის აკლდამასთან, გაფერმკრთალება სურვილად გვექცა და მე შენს სულში ზეცა ვანათე, რადგან მანამდეც ცის კაბა მეცვა. მივბიჯებდით მზისკენ და მზისკენ, დრო გვბაცებდა სულის კონტურებს შენ საოცრება მიწისგან იხსენ და სიზმარარევე ზეცას აპკურე.

ასე ვიარეთ ცის ასავლამდე, ნმელმა ბილიკმა სულშიც დაგვეგრა, ცამ შეგვაშფოთა მშვიდნი მანამდე და აგვამღერა უკანასკნელად. დღეს შენი შფოთვა აკრთობს ცის რისხვას, ჩემი სიმღერა — ზეცის არილებს... მე ამღერება ხორცად მესხმება, სამყარო კვლავაც როს იყვავილებს. ჩვენ მივდიოდით ცად სხივის ხიდზე, ბევრი სხეული ბევრჯერ მინავლდა, რომ მათი სული სიმღერით გვეხსნა, სული ტანჯულთა და უძინართა.

შენ შეგიძლია

შენ შეგიძლია, მომიტანო უღვევი ცეცხლი. ამანთო. დამწვა. უკურნებელ დარდად გამწერიო და შეგიძლია, დაუნდობლად გამყიდო ვერცხლზე. რომ ჩემი ძვლები ტკივილებმა გაინაწილონ. შენ შეგიძლია, აღმაზევო სამყაროს პიკზე, რომ მეკუთვონდეს ყველა მდელოს სურნელი დილის

და ამავე დროს გადამკარგო ქვესკნელში ისე, არ გაღელვებდეს გაზაფხულის თითები თბილი. და, თუკი შეძლებ ან ვერ შეძლებ ველარასოდეს, გზები ივლიან და, ოდესმე თუ მოვლენ სულთან, შენ შეგიძლია, ვიდრე ვფიქრობ, ვიდრე ვარსებობ, ვიდრე „სურვილის სამრეკლოზე შეკრავენ სუნთქვას“.

დაგილაგდება შეუმშრალი ძოწის სიმკვეთრე, როს ჰარამხანის სარკოფაგებს წალეკავს ვნება, ნიღბის ამოღმა უნიღბობის შარმს გაიკეთებ... და კეთროვანის სიფერმკრთალით საღამოვდება.

საღამოვდება, რომ ილოცო წარმართის ლოცვით, რომ მონატრების გამოუტყდე საკუთარ სურვილს და შენ შეიგრძნობ ჭერარანაგრძნობ სიმშვიდეს როცა და შენ ისუნთქავ მზედქცეული სინათლის სურნელს...

სული შეიშრობს სიყვარულის უფერო ლაქებს, ჭრილობა მძაფრი განცდა და აღარ მოიბან და თაკარა მზით გათანგულ ბრბოს აალაქლაქებ, რომელიც ბილწად გდარაჯობდა წინა დროიდან.

მარინა სვეტაევა ახალი თარგმანები

მომწონს, რომ ავად არა ვარ თქვენით, მომწონს, რომ თქვენს გულს სულაც არ ვსურვარ, რომ დედამიწა ათასი ფერით ჰგავს გახუნებულ და ფერმკრთალ სურათს. მომწონს, რომ ზოგჯერ დიმილსაც ვგავდი, სიტყვებს თამაშით რომ არ ვეხები, რომ არ ვწითლდები უეცარ ტალღით თქვენს სახელოსთან ოდნავ შეხებით.

მე კიდევ მომწონს, რომ ჩემთან ერთად ასე გულცივად სხვას ეფერებით, როცა სხვას ვკოცნი, არ გიბყრობთ სევდა და არ მუქდებით ბნელი ფერებით. რომ არ წარმოთქვამთ ჩემს ლამაზ სახელს, რომ იგი თქვენგან განწირულია, რომ ღმერთის სახლში არ მეტყვით სათქმელს, არც გაიფიქრებთ ალილუიას. მე შემოგწირავთ მადლობას გულით, რომ არ ინებეთ ჩემი გაცნობა,

რომ არ დამატკბებ ზღვა სიყვარულით, რომ არ გვექონია ტკბილი ანცობა. რომ არ ვხარობდით სხივთა შეხებით, რომ ის მწველი მზე დარჩა წარსულად, ვწუხვარ, რომ ავად არა ვარ თქვენით, ვწუხვარ, რომ თქვენს გულს სულაც არ ვსურვარ.

ეჭვიანობის მცდელობა

სხვასთან როგორ გეცხოვრებათ?! თუ იოლად ეჩვევით, იქნებ, სულ არ გეშორებათ თქვენ წარსულის მუხებში. მე მცურავი კუნძული ვარ, გზას ზეცისკენ გავკვალავ, მოდი, ვიყოთ ახლოობებად მაგრამ არა საყვარლად. როგორ ცხოვრობთ ჩვეულებრივ ქალთან ან რას მოელოთ,

თქვენ ხომ დიდი ბატონი ხართ, ტანტრევიანის მფლობელი. როგორ ცხოვრობთ, იქნებ, გრჩებათ, წარსულისკენ თვალბი, როგორ უნდა გაისტუმროთ სამუდამო ვალები.

იქნებ, კრუნჩხვით სულიც წანდა და ის ცხოვრობს სხეულთან, ბრძანეთ, როგორ ცხოვრობთ მასთან, მასთან, თქვენს არჩეულთან.

არ მოგბეზრდათ ნუთუ ჭერაც, იქნებ, სულაც თამაშობთ, ვერ გაუძლებთ, ასე მჭერა, ჩვეულებრივ ქალბატონს.

როგორ ცხოვრობთ სისადავით, ირვკლივ თუა სიჭრელე და სირცხვილი მწველ სადავით ნუთუ შუბლს არ გიჭრელებთ.

როგორ ცხოვრობთ, ხომ ჯანმრთელად?! მღერით?! გზიბლავთ სამყარო?! უკვდავ სინდისს — მაწამებელს — რას პასუხობთ, საწყალო?! როგორ ცხოვრობთ, ნეტავ, მასთან, დილას როგორ იბნელებთ, ხომ ხელთ გეპყრათ მარმარილო, ყალბი რაღად ინებეთ. თამაშობთ (განა ლოდის), ქანდაკია მთლიანი, როგორ უძლებთ უტყვე მოლოდინს სილაფვარდის ტრფიალი. ალბათ, მისით მაძლარი ხართ, თვრებით ღვინის გარეშე, როგორ ცხოვრობთ ასეთ ქალთან, ლატანების გარეშე. გიყვართ?! ხართ კი ბედნიერი?! თუ ბალახიც გეხვებათ, როგორ ცხოვრობთ?! ალბათ, მძიმედ, ისე, როგორც მე სხვასთან.

თარგმან

აი, ახლა ამ მოთხრობის წერასაც ძია საშა მბებრებებს, იგი სულეთის ქვეყნიდან გამოძეურებს და თითქოს მაქეზებს:

- დაწერე! დაწერე!

მანამდე კი, სანამ ძია საშა გახდებოდა ჩემთვის, ბატონი საშა იყო, ყველასათვის მკაცრი და წესრიგის მოყვარე ბატონი საშა, რუსთაველის პროსპექტზე მდებარე, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სასწავლო ნაწილის გამგე, რომელიმე სულ ზეპირად იცოდა, რომელ ვაჟუფში რამდენი სტუდენტი ვიყავით და ვინ როდის, რამდენი წუთით დავაგვიანეთ ამა თუ იმ ლექციასზე. დაირეკებოდა თუ არა ლექციის დაწყების ზარი, ბატონი საშა შემოივლიდა ინსტიტუტს, ყველა აუდიტორიის კარს შეაღებდა, კარში გაჩერდებოდა და დაითვლიდა: ერთი, ორი, სამი... სად არის მემვიდე? სად არის მერვე? და ა.შ. იმის მიხედვით, რამდენი სტუდენტი ვაკლდით ლექციას. მე რაკი მთიდან ვიყავი ჩამოსული, მეცხვარეს მეძახდა. ხშირად მაგვიანდებოდა, განსაკუთრებით პირველ ლექციასზე და ბევრჯერ მიმისწრია იმ დროს, როცა ჩემი მისამართით ხმამაღლა ყვიროდა ბატონი საშა:

- სად არის მერვე? მე თქვენ გეტყობოდა, სად არის მეცხვარე?

- მოვა პატივცემული, ხომ იცით, შორს ცხოვრობს, - იმხანად ნათესავთან ვცხოვრობდი ლოტინის გორაზე.

- აგე, აგე მოვიდა, - ეუბნებოდნენ ჩემი თანაკურსელები და მეც დანაშაულში დაჭერილი, თავჩაღუნული ვერდებოდი კართან.

- რატომ აგვიანებ, პა! - მერამდენედ მივივლიდა ბატონი საშა.

- ავტობუსს დაავიანდა, ბატონო საშა და მეც ვეღარ მოვედი დროზე.

- ავტობუსი არ ვიცი მე, ავტობუსი არ სწავლობს ამ ინსტიტუტში და რა ჩემი საქმეა, სად დაავიანდა, შენ რატომ აგვიანებ, შენ, შე მეცხვარე შენა, რას მოეთხოვები მთიდან, თუ ინსტიტუტში დროზე მოსვლა არ შეგიძლია, ყოფილიყავი ცხვარში.

- მამატიო, პატივცემული, მეტს აღარ დავაგვიანებ.

- დაავიანებ და დაემშვიდობე, მოგიხსნი სტიპენდიას! - მემუქრებოდა ბატონი საშა. მაშინ სტუდენტისათვის სტიპენდია, განსაკუთრებით რაიონებიდან ჩამოსულთათვის, ყოფნა-არყოფნის ტოლფასი იყო და ყველა ცდილობდა, როგორმე არ დაეგვივიანა, რომ ბატონი საშას თავისი მუქარა მართლა არ შეესრულებინა. მასხვებს, ერთხელ ერთ ქუთაისელს როგორ დაემუქრა:

- ქუთაისი, მოგიხსნი სტიპენდიას! - არ მაქვს, პატივცემული! - ნიშნისმოგებები და ღმიძლით შეეპასუხა ქუთაისელი.

- დავინიშნავ და მოგიხსნი! - თავისი პრინციპიდან არ გადაუხვია ბატონი საშა და რაც შეეძლო, მართლა შეასრულა.

ქუთაისელმა ბატონი საშასათვის სამაგიეროს გადახდა მონიშნულ და თავისი თანაკურსელი აიყოლია. ბუტაფორიული სამაგიეროდან თავისი სპექტაკლისათვის გამზადებული კუბო, სასახლეს რომ ეძახიან (ზოგისთვის მართლა რომ სასახლეა და ზოგისთვის მართლა კუბო) თავიანთ აუდიტორიაში შეიტანეს, შიგ ქუთაისელი სტუდენტი ჩაწვა, გულზე ხელები დაიკრიფა და ასე დაელოდნენ ლექციის დაწყებას. დაირეკა ზარი, იმათ აუდი-

ტორის კარი ჩვეულებრივად შეაღო ბატონმა საშამ, დათვალია სტუდენტები და იკითხა:


- სადაა, ქუთაისი?

- მოკვდა, პატივცემული! - ტირილი მორთეს ქუთაისის თანაკურსელებმა.

ბატონი საშა შეცბა:

- როდის?! როგორ?! რა დემართა?! - კითხულობდა შემოვლით.

- ლადიის წყლის დასაღვად იყო შესვენებაზე გადასული, რუსთაველის პროსპექტი გადმოიბინა და მანქანამ დაარტყა. იქვე დალია სული და ეს-ესა ჩავსვენეთ - ფარდის უკან სასახლში ჩასვენებული ქუთაისი აჩვენეს სტუდენტებმა და



ხმა, კინო მოიტანეს, ამ საღამოს უჩვენებენო, აუარება ხალხი შეგროვდა სკოლის შენობასთან, რომლის ერთ კედელზეც თეთრ ზეწერეს კიდებდნენ ეკრანის სანაცვლოდ. დაამბეას ელოდებოდნენ, სიბნელეში უფრო კარგად გამოჩნდებოდა. ერთმა ჩვენებურმა კაცმა შეგვამინა, კინოს კი ნახეთ, მაგრამ თავიდან ფრთხილად თუ არ იყავით, კინოს ისეთი მჭახე ხმა აქვს, შეიძლება ყურის ბარაბნები დაგიხეთქოთ და დაყრუდდეთ.

ჩვენ შევმინდით.

- ნუ გეშინიათ, მე წინ დავდგები, ყურებში თითებს გავიკეთებ და თქვენც გაიკეთეთ, მერე მომენტს შე-

ვიცოდდი, აუცილებლად იქნებოდა აღდგომა

ერთხანს ტირილი შეწყვიტეს; ყველას აინტერესებდა შემდეგი სცენა. ბატონი საშა თავზე დაადგა ქუთაისის და ეჭვით მიმოიხედა. მერე დაბალ ხმაზე წამოიწყო:

- ქუთაისი!

ქუთაისი წევს, არ ინძრევია, არც სუნთქავს, გულზე ხელები აქვს დაკრეფილი.

- ქუთაისი, ადექი ზეზე! - ცოტა ხმას აუწია ბატონმა საშამ. ქუთაისმა უფრო შეიკრა სუნთქვა.

- ქუთაისი ადექი ზეზე! - ქუთაისი არ ინძრევია.

- ქუთაისი, ადექი თორემ ისევ დავინიშნავ და ისევ მოგიხსნი სტიპენდიას. ქუთაისი არ ჩუჩუნებს.

ბატონმა საშამ ჩაიმუხლა, სასახლეში მწოლიარეს გულზე ყური დაადო, ჯერ თავზეწამოძვარა სტუდენტებს ახედა, მტეფ ქუთაისის ყურში უჩურჩულა:

- ადექი, შე ღვთის უბედურო, თორემ ემანდ მართლა არ გაიგულო და მერე მე კი არა, ღმერთიც ვეღარ დავინიშნავს სტიპენდიას.

„მკვდარი“ სასწრაფოდ წამოხტა ფეხზე.

ბატონი საშა მშვიდად გავიდა აუდიტორიიდან. იგი ჩია ტანის კაცი იყო, ასაკი არ ეტყობოდა, მე მგონი, თეატრალური ინსტიტუტის დაარსების დღიდან აქ იყო და მთელი ამ ხნის მანძილზე რუსთაველის პროსპექტზე მოსიერნი ხალხი ხშირად გაკვირვებულნი უყურებდნენ, სასტუმრო „თბილისს“ ქვეშ მდებარე სახინკლედან როგორ ფაცხავდნენ მიპყავდა ქუჩაზე გოლიათები: ხან ბატონი დოლო აბაშიძე, ხან ზურა ქაფიანიძე და რა ვიცი, სავსე იყო გოლიათებით ინსტიტუტი. ვინც არ იცოდა, ვინ იყო ბატონი საშა, გაკვირვებული იყო ამ სანახაობით, ვერაფერი გაეგოთ, რატომ ემინოდნენ ამ გოლიათებს ასეთი ჩია ტანის კაცისა, მაგრამ ათეული წლების მანძილზე მეთოდებოდა ასეთი სცენები და ბევრმა უკვე იცოდა, რაც ხდებოდა.

ერთხელ, ის-ის იყო გავცდი ოპერის შენობას, რომ ჩემი თანაკურსელი, კარგად მოსული, თეატრიანი გოგო წამომეწია, შემინებულმა ხელკავი გამომდო და წამჩურჩულა: ჩქარა, ზარი უკვე დაირეკა, საშა მოგვლევს უკან.

ფეხს ავუჩქარეთ.

უნიდან გვემისი ბატონი საშას კომენტარები:

- მეცხვარე, ისევ დაავიანებ, არა?

- არ მიიხელო, ვითომ ვერ ვხედავთ, - წამჩურჩულა გოგომ.

- ვითომ არ ესმით. ეს კიდევ, ნახე,

ნახე, როგორ მაქანავებს! - გვეწვევა ბატონი საშა. ჩემი თანაკურსელი აღშფოთებული სახით მიუბრუნდა და წინ გაუჩერდა.

- ჩანთას, გოგო, ჩანთას, - დაუყვავა ბატონმა საშამ და მერე სამივემ ერთად აუჩქარეთ ნაბიჯს.

იმ დღეს გადავჩინე, რომ სტიპენდია არ მომიხსნა, მაგრამ ერთი კვირის მერე, ისევ ოპერის თეატრთან მომესმა ჩვენი ინსტიტუტიდან ზარის ხმა.

- მეცხვარე ისევ არ იშლი დავიანებებს, არა?! - უნიდან ბატონი საშას ხმა გავიგონე.

მივიხედე. მართლა ისაა. რა ვიცი, ამ ბოლო დროს თვითონ რატომ აგვიანებს. ეტყობა ავადა და მანც დადის სამსახურში, თავს არ უტყდება. ელდანაცემი გაიქცევი ინსტიტუტისაკენ. ძირს არ ვიხედები, მემინია, არ დამეწიოს და აუდიტორიაში მინდა დავხედე შემოწმების დროს. ის-ის იყო, მივალწი ინსტიტუტის შესასვლელს, რომ უცებ ასფალტი ჩაინგრა და მიწაში ჩავვარდი. ეტყობა, ამ ადგილას გამდინარე წყლებია და რუსთაველის თეატრის შენობაც, რომელიც ჩვენს ინსტიტუტს ეკვრის, იმან დააზიანა. ცოტა ხნით გონება დავკარგე, მერე ბატონი საშას ხმა შემომესმა:

- მეცხვარე!

ავიხედე: ქვევრის პირვით პირმორღვეულ ასფალტს ზემოთ ბატონი საშა ჩამოძვრებოდა:

- რა გინდა მანდ?! მიწის ზემოთ არ გვეო გაცდენები და ახლა მიწაშიც მემცდები, არა?! ამოდი ზემოთ! ამოდი ჩქარა!

მე წამოვიწიე, მაგრამ ღონე არ მყოფნის, ისე ვარ გაოგნებული.

- არ ამოდიხარ, ხომ? დამაცა, მოგიხსნი სტიპენდიას და იჯექი მანდ მეორედ მოსვლამდე, აღდგომას დაელოდე. მე შენ გინჯებ, როგორ უნდა სტიპენდიის მოხსნა! - ორმოში მესმოდა ბატონი საშას მუქარა, რომელიც უკვე ინსტიტუტში შევიდა.

ვიჯექი ბნელ ორმოში და ვფიქრობდი, ეს რა იყო?!

რა დამემართა?!

ან ეს ორმო საიდან გაჩნდა, მაინცდამაინც ახლა... ბედი არა მაქვს და ვე არის... ახლა კი მართლა მომიხსნის სტიპენდიას და რა მემეცხვარე. სახლიდან ვინ რას გამომიგზავნის, თვითონაც უჭირთ. რას ავიტეხე ეს კინო და თეატრალური ინსტიტუტი, ყველაფერი მართლა მეცხვარე. ყველაფერი იმის ბრალია, ვინც პირველად კინო მოიტანა გუდამაყარში. მაშინ მესამე კლასში ვიყავი, მთელ სეზონში გავარდა

ვურჩევ, როცა დაბალ ხმაზე ილაპარაკებენ, ნელ-ნელა გამოვწევ თითებს და თქვენც ასე ქენით, ნელ-ნელა შეჩვეით.

ყველამ თითები გაიკეთეთ ყურებში. ჩამოხედა. დაიწყო კინო.

დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო, კინალამ გადავირე ამ არჩევლებრივი სანახაობით. ვხედავ, ჩვეულებრივად დადიან იმ უჩვეულო მეორე სამყაროში ადამიანები, ლაპარაკობენ... მივიხედ-მოვიხედე, ყველას გამოდებოდა აქვს ყურებიდან თითები და გულიანად იცინიან. მეც მინდა მოვიმინო, რას ლაპარაკობენ კინოში, მაგრამ დაყრუებისა მემინია. მერე ჩემთვის გადავწყვიტე, მოდი, რაც იქნება, იქნება, ჯანდაბას, ერთი ყურით დაყრუებული, ოღონდ მოვიმინო, რას ლაპარაკობენ, რაზე იცინის ეს ხალხი, მაგრამ კარგა ხანს იმას ვიფიქრებ, რომელი ყური გამეწიება, მარჯვენა თუ მარცხენა. ბეზაჩემის ნათქვამი გამახსენდა: კაცს რასაც მარცხენა ყურში ეშმაკი ჩასახეხს, მდი, ასე-ასე გააკეთე, ასე-ასე ქენი, მარჯვენაში კეთილი ანგელოზი ელაპარაკება და ჭკვალზე არივებს. რაკი ასეა, მარცხენა ყურიდან გამოვწვი თითი და ეკრანიდან მახილი გავიგონე: გოგერძი! გოგერძი, შეილო!

ვაი! მიცნო!

მე მეძახის! - გამოვივრდა მე, რა ვიცოდი, რომ ჯარისკაცის მამა თავის შეილს ეძახოდა. იმ დღიდან მოვიწამლე კინოთი და სხვა საქმეა, რა გადახდა და როგორ ჩავაბარე ინსტიტუტში, როგორ დავწერე კინოს გარჩევის ნაცვლად ლექსი, რაკი რუსული არ ვიცოდი და გამოცდაზე რუსული ფილმი ვგაჩვენე. ვერაფერი ვერ გავიგე და შემოცხვა, ცარიელ ფურცლებს ხომ არ ჩავაბარებდი, ლექსი დავწერე: ირემზე, რომელიც ბარად ჩამოვიდა და დაჭრეს, არწივზე და მგონი კიდევ შვლის ნუკრიც შევურიე შიგ - ყველა ამთავანში კი ჩემს თავს ვგულისხმობდი.

სწორედ ამ ლექსმა გადაწყვიტა ჩემი ბედი.

გამიყვანეს მეორე გამოცდაზე. მოდიოდნენ ჩემს სანახავად: მთიდან ვილაც პატარა ვაჟა-ფშაველა ჩამოსულა და კინოფილმების გარჩევას გამოცდაზე ლექსადა სწერსო. ერთი დარბაისელი კაცი შემოვიდა, გამომიკითხა, ვინა ვარ და საიდან ვარ, მოუყვებოდა, რატომ მიყვარს კინო. მერე იმ კაცმა მხარზე ხელი დამადო და მიხსრა: შელო, მიგლეზო, ოღონდ ჩემი თხოვნა იქნება, თბილისმა არ გაგაფუჭოს!

წავიდა ის კაცი. მერედა გავიგე, რომ ინსტიტუტის მამინდელი რექ-

ტორი იყო. აი ახლა, ინსტიტუტის წინ ფეხქვეშ ასფალტი ჩამენგრა, ვზოვარ იმ ორმოში და თან იმ კაცის ხმა მესმის, თან საშას მუქარა, რომ მომიხსნის სტიპენდიას.

რა ვქნა, პა?

ამოვფოხდი მალა და დარდიანი შევედი ინსტიტუტში.

მერეც დარდიანი დავდიოდი, ვიცოდი, შემოსრულდება ბატონი საშა დანაპირებს.

დადგა სტიპენდიების გაცემის დღე. მე, რა თქმა უნდა, სალაროსთან არ მივსულვარ, მაგრამ ჩემმა თანაკურსელმა მითხრა, მოლარე გეძახისო. გულში იმედი ჩამესახა. ორმოცი მანეთი მქონდა, რაკი ოთხები მეწერა საგამოცდო მატრიკულში. ხუთოსნებს ორმოცდაათ მანეთს აძლევდნენ. ახმეტელის სახელობის სტიპენდიანტებს - სამოცს, მარჯანიშვილისას - ოთხმოცს, ხოლო ლენინურ სტიპენდიანტებს - ას მანეთს.

- ჩოსლო, რატომ არ იღებს სტიპენდიას, პა? - გამოვიდა მოლარე.

- აღარა მაქვს, მომიხსნა ბატონმა საშამ.

- მოგიხსნა კი არა, მოგიმატა, აპა - მომაწოდა ფული მოლარემ.

დავიოვალე და ასი მანეთია. სამოცს უკან ვუბრუნებ, შეგეშალათ-მეთქი.

- არაფერიც არ შემეშალა, ბატონმა საშამ ლენინური სტიპენდია დაგინიშნაო - ისევ გამოდი-მა მოლარემ.

წამოვიდე განარებული. რუსტორან „თბილისში“ მაშინ კაცი ათი მანეთი ვდებოდა.

მერე გავიგე, როცა ბატონმა საშამ ჩემზე ითხოვა ლენინური სტიპენდია დაუნიშნოთო, პროფესორ-მასწავლებლებს გაკვირვებით უკითხავთ, კი მაგრამ რა დამსახურებისთვისო?!

- ამ ხნის კაცი ვარ და ჯერ არ მინახავს, რომ ამოდნა თბილისში, ამდენი ხალხი რომ მიღი-მოდის, ვინმეს ფეხქვეშ მიწა ჩანგროდეს და მიწაზე ჩავარდნილიყოს. მაინცდამაინც მაგ საწყალ მთის ბიჭს ჩანგრო ფეხქვეშ მიწა და ვინ იცის, რა შიში ჭამა. ეს ჩემი პირადი თხოვნაა თქვენდამი, რომ დაუნიშნოთ ლენინური სტიპენდია, - ასე უთხოვია მათთვის ბატონ საშას, ახლა უკვე ჩემს ძია საშას. კომპაგნიორის „ცეკვლებისაგანაც“ ძია საშამ დამიხსნა. რაკი ლენინური სტიპენდიანტი ვიყავი, უნდოდით დავალებოდა მოეცათ და ინსტიტუტში მომადგინენ წასაყვანად.

- ვერ გამოვუმეგებ! - მკაცრად განუცხადა ძია საშამ.

- რატომ?! - გაუკვირდათ იმათ.

- რეპეტიციები აქვს, როლს თამაშობს.

- რა როლს? - დაინტერესდნენ.

- მეცხვარის როლს! - არ დაიბნა ძია საშა.

- რა პიესაა?

- აღდგომა! - ეს სიტყვა რატომღაც დამრცხვით უთხრა ძია საშამ. ისინი ნაწევრი სახეებით წავიდნენ. ძია საშაც წავიდა ამ ქვენიდან - და ახლა, როცა ძალიან მომენტარება, სულეთის ქვეყნიდან მივაპყრობ ხოლმე გულისყურს და მაშინ, თითქოს ცხადში, ისე ვხედავ ძია საშას: თან მიღიმის, თან თითს მიქნევს და რაღაცას მეძახის მკაცრი ტონით იქიდან. აღბათ მაიმედებს - ყოჩაღად იყავი, ჩემო მეცხვარე ბიჭო, არ ჩაუბუხლო წუთისოფელს!

- და მისი შემხვედრავ, მეც იმწუთას ვმხედვები, აღარ შემიძინია, რომ კიდევ ჩამეგრევა ფეხქვეშ მიწა; ვიცი, თუ ასე მოხდა, ჩემი ძია საშა იმდენს შესძლებს, იქიდანაც მოახერხებს და მისი სულის ნათელი დამეხმარება აქ, თანაც მჯერა მთელი სულით და გულად, მთელი ჩემი არსებით მჯერა იქნება, იქნება, აუცილებლად კიდევ იქნება აღდგომა.

ჩიხორი, ახილარა იქნაოქა ალსოქა

მართლმადიდებელი ქრისტიანული საზოგადოება
23 აპრილს აღნიშნავს აღდგომას უფლისას ჩვენისა
ნიხორ ქრისტიანი.
სააღდგომოდ, ღვთაებულ მომარტი ჩვენი გაჯითი
ბთავაჯობით ორი მხარლის შესანიშნავ ნარკვევს.
ნაიქითხათ და ავაგი თავად დარგვინდებით!



ქრისტე აღსდგა, დედა!

- რას არ გავიღებდი, ამ
საღდგომოდ მილოცვაზე ერთ-
ხელაც რომ გამაგონა მისი
დასტური -
„ჭეშმარიტად, შეილო!“
ვინც წლებად აღდგო-
მას დედის გარეშე და ჩემსა-
ვით დაობლებული ხვდება,
დარწმუნებული ვარ ის მწუხარ-
ებას ჩემსას გაიგებს და იქნებ
ისიც მამატიოს, საკუთარ უბე-
ღურებაზე ხმადაღმა რომ მოე-
თქვამ!

დედაა!..
სიკვდილმა ჩამოიარა, ობო-
ლი დახვდა წინაო,
სიკვდილო, მე წამიყვანე, სი-
ცოცხლე მომეწინაო...
კეთილი მკითხველო!
კიდევ ერთხელ გიხდით ბო-
დიშს, ამ სოლიდურ გახეთში
ლობეს მომდგარი სოფელი
ბიჭვივით დედას რომ ვეძახი!
არადა, ჩვევა მქონდა ასეთი
- შინიდან გასულ დედას, ბავ-
შობიდანვე, ამ ერთადერთი
სიტყვით ვუხმობდი!
დედას კი, სახლიდან გასე-
ლის ათი თვის თავზე, პირვე-
ლი აღდგომა თენდება, ასე გამ-
წარებით რომ ვეძახი და ის
დალოცვილი აღარ მენიანება!
როგორც ჩანს, ეს ოხერი
სამარის ქვა ადამიანის ხმას
აღარ ატარებს!

ვიცი, მონატრებულ დედას-
თან შეხვედრას, აწი მხოლოდ
სიკვდილი თუ უშველის!
ამისთვის მზად ვარ, უფალო!
ალბათ, ამიტომაცაა, ამ ბო-
ლო დროს სიკვდილთან და-
მოკიდებულების ამსახველი
სტრიქონები რომ ამეკვიატა
და წამდაუწყებელი ვიქორებ:
„სიკვდილო, მე წამიყვანე,
სიცოცხლე მომეწინაო!“...
**„ვერ წამოვალ,
ფეხები მტკიავა!“**
მთელი კვირა - განსაკუთ-
რებით კი ბოლო ორი დღე -
დედა სიკვდილს ჩემს თვალ-
წინ ებრძოდა! - ასე საცოდა-
ვი და ასე უმწეო, მე ჯერ
თავი არ მასსოვს.
ხვდავდი, სიკვდილი დედას
როგორ მართმევდა და ვერა-
ფერს ვშველოდი!
ჩვენს უმწეობას რომ ხე-
დავდა, ავადმყოფი აქეთ გვამ-
შვიდებდა -
„დედა, ახლა თქვენ დიდე-
ბი ხართ და ჩემი სიკვდილის
აღარ უნდა შეგეშინდეთო!“...
ამასაც ჩვენს გასამხნეველ-
ად ამბობდა, თორემ, საწყალს

სიკვდილის თავადაც რომ შინე-
ბია - იმ ღამითვე გაირკვა!
ნათლად გავიგონე, ძილში ვი-
დაცას (ალბათ მიქელ-გაბრიელს)
ტირილით რომ ეხვეწებოდა - „ვერ
წამოვალ, ფეხები მტკიავა“-ო!
დილით, როცა ხუმრობა ვცა-
დეთ და ეს ამბავი შევახსენეთ,
გვითხრა: - „არა, დედა, ჩემი ხნის
ქალისთვის რა დროს სიკვი-
ლის შიშია - თუ ვინმეს იქ
წასვლაზე ვუძალიანდებოდი ეს
მხოლოდ იმიტომ, თქვენთან ყოფ-
ნა რომ მიხდაო!..“

**„შვილო შუბლი
გაქვს ცხელი!“**
იმ ლექსის ტექსტში, სადაც
ეს ფრაზა წერია, ასეთი სტრი-
ქონებიც არის:
ისე არ გავა დაძე,
რომ არ დამხედოს დედამ,
შვილო, შუბლი გაქვს ცხელი,
რა გემართება, ნეტავ!..
არადა, მთელი ცხოვრებაც მარ-
თლაც ასეა - „დედას ვახსო-
ვართ შვილები, დედა არ ვახს-
ოვს შვილებსა!“
თვით გარდაცვალების შემ-
დეგაც კი, ჯერ დაძე არ გასულა
- დედას არ დავეხედე!
სიხმარში მოდის, შუბლს მი-
ნახავს, თავს გაუფრთხილდით,
მეტყვის და, როგორც სიცოც-
ხლეში, მამამ რომ არ უსაყვედუ-
როს „ამდენხანს სად იყავიო“ -
მალე მიდის!

ერთხელ, მეც მოვიფიქრე და
კვითხე - შენ თავად იქ როგორ
ხარ-მეთქი!
„ვერ ვარ კარგად, შვილო, ფე-
ხები მტკიავა“-ო!
ამის თქმა და სიხმარში ჩემი
ხმადაღმა აზლუქუნება, ერთი ყო-
ფილა!
თურმე, სულ ამას გავიძახობდი
- ღმერთო, მიშველე, დედა საფ-
ლავეშიც ავად მყოფია-მეთქი!
რა დაგიშავე, ღმერთო!
ვიცი, ღმერთო, ცოდვილი რომ
ვარ და, ვინაზე!
მშია და, ვითმენ!
მცივა და, ვითმენ!
მოთმინების ფილა ამეგოს და,
მინც ვითმენ!
ერთადერთი, რაც დღეს ყვე-
ლას სამყოფად გვაქვს - ჰაერია!
ღმერთო, ამიტომ მწყდება შენ-
ზე გული - ისეთი რა დაგიშავე,
დედა ჰაერის უკმარისობით რომ
მომიკალი!..
აპრილი მოვიდა, დედა!
შენ ეს თვე იმიტომ გიყვარდა,
შინ და გარეთ ყველაფერი ერ-
თაზად რომ იღვიძებდა!
ქვაც რომ ქვაა, ამ დრომდე
თუ კვირტი არ გამოიტანა, გამ-

ხმარად ჩათვალეთო, - ბეგ-
რჯერ ვითქვამს. ახლა შუა
აპრილია და ყველაფერმა კვი-
რტი გამოისხა!
წელს ისე მოხდა, რიყზე
ქვებიც ყვავიან!
ეს რა გვიქენი, დედა, ან რო-
გორ მოგივიდა - შენს გარდა
ყველამ რომ გაიღვიძა!..
„მოხვედი, შვილო!“
დედა საფლავეში რომ ჩავას-
ვენეთ, ირგვლივ ყველაფერი
ჩამოღამდა და ვიფიქრე - სიხ-
მარია-მეთქი!
რადგან, აქამდე, დედის სიკ-
ვდილი მხოლოდ სიხმარში
განმეცადა!
ამ ერთადერთ იმედს ჩაბლა-
უჭებულნი, შინისკენ ბრმად გა-
მოვიქეცი!
დედის ოთახში შევარდ-
ნილს, რაღაც მოლოდინი კი-
დედ მქონდა, იქნებ ის ხმა გა-
ვიგონო, სახლში მოსვლისას
დედა რომ მეტყვოდა -
„მოხვედი, შვილო!“
რაკი ეს ვერ გავიგონე, აზ-
ლუქუნებული გარეთ გამოე-
ვარდი და, სიკვდილის რეალუ-
რობაში ცხადად დავრწმუნდი
- ათასმდე კაცი დედის გარ-
დაცვალებისადმი მიძღვნილ პირ-
ველ სადღეგრძელოს სვამდა!..

სასაფლაოზე
ჩემი სოფლის სასაფლაო
ხეთა ტვერშია გაშენებული.
კი, სასაფლაო ბაღივით უნ-
და გააშენოს სოფელმა.
როცა იქ მივდივარ, აუცი-
ლებლად დედასა და მამას შუა
ჩამოვჯდები.
და მათთან უხმო საუბარში,
სახლში წამოსვლა მავიწყდება.
ესეც, ალბათ, იმიტომ, იქაც
ჩემი სახლია.
მე ეს ადგილი საბუდამო გან-
სასვენებლად ავირჩიე და სიკ-
ვდილის მერე, მუდმივი მაც-
ხოვრების „სტატუსით“ აუ-
ცილებლად აქ დავსახლდები!..
აქ ყოველთვის ისეთი გან-
საცვიფრებელი სიმშვიდეა და
საფლაოზე ამოტვიფრული
მშობლების გადიდებული სუ-
რათებიც ისეთ შთაბეჭდილე-
ბას ქმნიან, თითქოს ქვაზე ან-
გელოზები მოფრენილან და
ვიდაცივის მოსვლას კიდევ
ელოდებიანო!..
ნეტავ ყველაფერი ჩემი აქ
მოსვლით დამთავრდებოდეს...
* * *

ქრისტე აღსდგა, ძვირფა-
სო თანამემამულენო!
ქრისტე აღსდგა, დედა!..
თამაჯ ფიჭვიშაძე

ბურამ პატრიარქილი ახილარა ქასი

ზღაჯარი

იყო ერთი კაცი.
ცუდს იმ კაცზე ვერაფერი იტყოდა ქა-
ლაქში, ოღონდ ეს იყო, ერთი ახირება
ქქონდა. არა, არც იმ ახირებით უმა-
გებდა ვინმეს რამეს, მაგრამ მაინც...
კაცს აჩემებულნი ქქონდა, გინდა თუ
არა, ვანათებო. რომ დაღამდებოდა, მი-
ვიდოდა რომელიმე ოჯახში და სთხოვ-
და, „შუქი ჩააქრეთო. ქალაქში უკვე ყვე-
ლამ იცოდა მისი ამბავი, ამიტომაც არ
ედავებოდნენ, გაიღიმებდნენ და ჩააქ-
რობდნენ შუქს.“

კაცი ერთხანს დადგებოდა ოთახის
შუაგულში და ელოდა, აი, ახლა გავა-
ნათებ სახლს დიდი სანთელივითო.
რომ არაფერი გამოვიდოდა, ამოიხ-
რებდა და იტყოდა, მამატივით, დღეს
რატომდაც ვერ ვანათებო.
სინანულით გააყოლებდნენ ხოლმე
თვალს და ამბობდნენ: ახირებული კია,
მაგრამ მაინც კარგი კაციაო...
თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ყვე-
ლა სახლში ასე მშვიდად არ უყურებდ-
ნენ კაცის უცნაურობას. ბევრჯერ მა-
ღალ კიბეზეც დაუგორებიათ, პანდო-
რეც მიუყურობიათ და ძალღებაც მიუ-
დევნებიათ „ეცი, ეცის“ ძახილით.
ხანდახან ნაცნობებიც ეტყობდნენ: რა
ძალა გადგას, თავს შარში რომ იგდებ,
სხვებთან რას დადიხარ, იჯექი სახლში
და ანათე შენთვისო.
- ჩემთვის? - გაიღიმებდა კაცი. - ვე-
რა, ჩემთვის ვერ აფენებო.
- ჰოდა, იყავი ვერეო, - ჩაიცინებდ-
ნენ და გაეცლებოდნენ.
ერთხელ კი ვილაქამ უთხრა, რახან
ანათებ, თავზე აბაჟურიც უნდა გეხუ-
როს, რომ ყველაფერი წესისა და რი-
გის მიხედვით იყოსო.

ამ ჩვენს კაცს ხუმრობა არ ესმოდა.
ამიტომაც ეს რჩევა არც სწყენია და
არც გაპყვირებია. პირიქით, ჭკუაში
დაუჭდა. გაყიდა, რაც სახლში ჰქონდა
და უამრავი აბაჟურიც იყიდა. ამის შემ-
დეგ გასანათებლად წავლას რომ დაა-
პირებდა, ამორჩევედა ხოლმე რომელიმე
აბაჟურს და დაიხურავდა თავზე.
ქალაქის თითქმის ყველა სახლში
იყო მისული კაცი, მხოლოდ ერთ სახლს
ერიდებოდა.
იქ ერთი მარტოხელა ქალი ცხოვ-
რობდა.
ქალმა მეტად ღამაში სიცილი იცო-
და და კაცი სულ იმაზე ოცნებობდა,
როგორ აენთებოდა იმ ქალის წინ.
მისვლას კი ვერ ბედავდა, ეშინოდა
რატომდაც.
ერთ დღეს განსაკუთრებით ავი მა-
ცხოვრებლობით სავეს სახლში შევიდა.
იქ არც კი დააცადენ, რომ ცდილიყო
ანთებას. გაალო თუ არა პირი, ეცნენ,
აბაჟური თავზე ჩამოახიეს, ჩააფრინდ-
ნენ ხელფეხში, გააქანეს - „ერთი ორი
და სამიო“ - და მაღალი ღობის იქით
გადავადეს.
კაცი დიდ წუმბეში ჩავარდა.
იჯდა ერთხანს.
მერე თქვა, მორჩა, დღეს უნდა გა-
დაწყდეს ყველაფერი, და შინ დაბ-
რუნდა.
დიდხანს არჩევდა აბაჟურებს. ბო-
ლოს ამოარჩია ყველაზე ღამაში,
შვიდფერად მოხატული აბაჟური, დაი-
ხურა თავზე და გასწია იმ ქალის სახ-
ლისკენ.

ქალს სტუმრები ჰყავდა. კაციც ღი-
მილით შეიპატრუა, - მობრძანდითო.
განახლებული იყო ოთახი.
საგარძელში ქალები ისხდნენ და
ტკბილ წყალს წრუბავდნენ. კაცები სა-
გარძელის საზურგეთთან იდგნენ, ხან-
დახან დაიხრებოდნენ და ჰკითხავდნენ
ქალებს, რომელი ნამცხვარი მოგართვა-
თო. ამბებს ჰყვებოდნენ რიგრიგობით
და ცდილობდნენ, ამბავი სასაცილო
გამოსულიყო.
ეტყობა, მათაც ძალიან მოსწონდათ
იმ ქალის სიცილი.
კაცმა როგორც იქნა, ენის ბორძი-
კით სთხოვა დიასახლისს, შუქი ჩააქ-
რეთო.
ჩააქრეს შუქი.
- ახლა აფენები, ახლა აფენები, ახ-
ლა აფენებიო... - რამდენჯერმე გაიმეო-
რა გულში კაცმა.
იგრძნო, კიდევ წამიც და აენთებო-
და, აბღღვრავდნენ ხოლმე...
მაგრამ უცებ გაიგონა, როგორ ხით-
ხითებდნენ სტუმრები და მონდა საში-
ნელება:
ქალსაც გაცივინა.

ამას კი ვეღარ გაუძლო კაცმა.
კარისკენ გავარდა. გზად სკამს დაე-
ჯახა, გადააყირავა და თვითონაც წაიქ-
ცა. წამოხტა, გავარდა, დაეშვა კიბეზე...
გარბოდა. სიბნელეში ნების აწყდე-
ბოდა, ეცემოდა, დგებოდა და გარბო-
და ისევ. ეკლიანი ბუჩქები ავაწრავდ-
ნენ სახეს და ხელებს... გარბოდა... „ცო-
ტაც და დამთავრდება ჩემი წვალებო“,
მხოლოდ ამას და ფიქრობდა.
დიდი მდინარისაკენ გარბოდა კაცი...
უცებ ზურგს უკან ხმა მოესმა და
შეედა. კინაღამ გული გაუსკდა სიხა-
რულით: იმ მხრიდან ხომ მხოლოდ იმ
ქალს შეეძლო დაეძახა...
მაგრამ რომ მაჟურა, მიხვდა, ხმა იქიდან
მოდიოდა, საითაც თვითონ გარბოდა.
მგონი, ვილაქ მორბოდაო, თქვა სიბ-
ნელეში ერთმა.
ჰო, მეც ვერ მომესმო, უბასუხა მეორემ.
- ვინ მოდის? - იკითხა პირველმა.
კაცისთვის უკვე ყველაფერი სულ
ერთი იყო. გაცივინა თავის თავზე და
ნაღვლიანად უბასუხა:
- მე ვარ. კაცი, რომელიც ანათებს.
- რომელიც ანათებს? - იკითხა ერთმა
და ხმაზე შეეცყო, რომ ძალიან ადულდა.
ცოტაც და მეორემ წამოიძახა:
- აი, ხომ გუთუნებოდი, აუცილებლად
მოვა-მეთქი.
ეტყობოდა, ისიც საშინლად დღეავ-
და.

კაცმა გაცივინა.
- თქვენც დამცინით, არა?
ოჰ, რას ამბობ, რამდენი ხანია გელო-
დებით, უთხრეს იმათ ერთდროულად
და კაცი მიხვდა, რომ არ ტყუოდნენ.
თავბრუნ დაახვია სიხარულმა... ერ-
თი, ორი და სამიო, თქვა და უცებ
მართლაც განათდა მის ირგვლივ.
- ვანათებ! - ამოიხრა კაცმა, მუხ-
ლები მოეკვება და მიწაზე დაწდა.
გონს რომ მოეგო, მიმოიხედა.
მის წინ მხოლოდ ვარდის ბუჩქი იყო.
- შენ მელაპარაკებოდი? - ჰკითხა
კაცმა ბუჩქს.
- ჰო, მე ვიყავი და ჩემი სტუმარი,
უთხრა ბუჩქმა და კაცმა ახლადა შეამჩ-
ნა, რომ ერთ ტოტზე ბუღბუღებდა იჯ-
და.

- უმთავრო ღამეში მე ვერა ვმღერი
და ეს იყო ჩემი სადარდებელი. ახლა
ნახე, როგორ ვიმღერო - უთხრა ბუღ-
ბუღმა კაცს და დაიწყო სტვენა.
სიხარულით გაბრუნებულ კაცს
აღარც კი მოჰკონებია, რომ ადრე არა-
სოდელ ულაპარაკია არც ბუჩქებთან და
არც ჩიტებთან, იჯდა ბუჩქის ძირას და
უსმენდა ბუღბუღს.
და მეტად კარგი სანახავი იყო ეს:
ფერადი აბაჟური თანამემამულე
მნათი კაცი, მისი შუქით განათებუ-
ლი ვარდის ბუჩქი და ვარდის ტოტზე
მომღერალი ბუღბუღი.
მას შემდეგ კაცს ყველაგან და ყო-
ველთვის შეეძლო ანათებულყო.
მაგრამ სახლებში აღარასოდეს შე-
სულა.

უმთავრო ღამეებში მოდიოდა ვარ-
დის ბუჩქთან და უნათებდა ბუღბუღს.
ხანდახან უნებლიეთ სადმე ბნელ ქუ-
ჩაშიც აენთებოდა ხოლმე და ამის მხან-
გელნი მეორე დღეს ყველა უყვებოდ-
ნენ, ასე და ასე იყო. იმათ, ცხადია,
არა სჯეროდათ და კაცს ეკითხებოდ-
ნენ, მართალია? ის კი თავს ხრიდა
და დიმილით პასუხობდა: არა, რამდენ-
ი ხანია მეც სისულელეებს თავი და-
ვანებე, ალბათ მოეჩვენათო.
და მხოლოდ ერთმა ადამიანმა იცო-
და მისი საიდუმლო.
მაშინ, კაცი რომ გავარდა სახლიდან,
ქალმა იხანა, არ უნდა გამცინებოდაო.
გამოუდგა კაცს... და შემდეგ მორიახ-
ლოდან კაცისა და ვარდ-ბუღბუღის
საუბარიც მოისმინა და ისიც ნახა, რო-
გორ აენთო კაცი.

დაიფიქრა ქალმა თავისი ღამაში სი-
ცილი, დანაღვლიანდა და სტუმრებიც
აღარ მოდიოდნენ მასთან.
იჯდა სახლში და ფიქრობდა:
მაშინ კინწისკვრით უნდა გამეყარა
ჩემი სტუმრები და კაცი საბუდამოდ
დარჩებოდა ჩემთან. შემდეგ სახლში
განდებოდნენ პატარები, ისინიც მასა-
ვით მანათობლები იქნებოდნენ, ღამით
ისინიც დაიხურავდნენ ნაირფერ აბა-
ჟურებს, ირბენდნენ ერთი ოთახიდან
მეორეში და, შორიდან იმ სახლს თუ
შეხვდავდი, იმაზე კარგი სანახავი აღ-
ბათ არაფერი იქნებოდა ამ ქვეყანაზეო.

იჯდა სახლში და ფიქრობდა:
მაშინ კინწისკვრით უნდა გამეყარა
ჩემი სტუმრები და კაცი საბუდამოდ
დარჩებოდა ჩემთან. შემდეგ სახლში
განდებოდნენ პატარები, ისინიც მასა-
ვით მანათობლები იქნებოდნენ, ღამით
ისინიც დაიხურავდნენ ნაირფერ აბა-
ჟურებს, ირბენდნენ ერთი ოთახიდან
მეორეში და, შორიდან იმ სახლს თუ
შეხვდავდი, იმაზე კარგი სანახავი აღ-
ბათ არაფერი იქნებოდა ამ ქვეყანაზეო.

პარიზში

პარიზში
ახმა პირველი
ახალი პრეს
დასაწყისი

გაბრიელა, დასაწყისი
„პარული“, 14-17, 22-26

ფარსმან პირველი

ახალი ერას 30-იანი წლებიდან დიდი ყურადღება მიიპყრო სომხეთის ტახტის დაუფლების საკითხში. ერთმანეთს ებრძოდა სამი დიდი სახელმწიფო: რომი, პართია, იბერია.

რომში იმპერატორად იქცა ტიბერიუსი. პართიაში მეფობდა არტაბან III.

იბერიაში ხელმწიფობდა ფარსმან პირველი. ფარსმანს ჰყავდა უმცროსი ძმა, სახელად მირდატი, რომელიც მეფე-მისაგან ბოძებულ შიდა ქართლის ერისთავობასა და სპასპეტობას არ სურდა და სრულიად ქართლის მეფობისკენ ეჭირა თვალი. ბოლოს, ძმებს შორის აშკარა განხეთქილება ჩამოვარდა. ფარსმანმა ურჩი ძმა სპასპეტობიდან გადააყენა და მის ადგილზე თავისი ძუძუმტე ფარსავაზი დანიშნა.

მირდატმა მოისურვა, ქართლის ტახტი უცხო ძალის დახმარებით ჩაეგდო ხელში და ჯარები სთხოვა პართიის მეფე არტაბანს, რომელსაც იგი სიძე-დაც ეკუთვნოდა.

არტაბანს იბერიის გაძლიერება ფრიად აშინებდა და სიამოვნებით მისცა ლაშქარი თავის სიძეს, რომლის გამეფებაც ქართლში პართიის გაბატონების მოსაწყვეტად.

ფარსმანმა ლაშქარი გაამზადა, სომეხთა დამხმარე ძალები

მოირთო და ქართულ სამანგებთან მოახლოებულ მტერს გაეგება.

პართიელები სასტიკად დამარცხდნენ და უკუიქცნენ. მომდევნო წელს მირდატი ორჯერ უმეტეს არმიით მოადგა საქართველოს. ფარსმანი და ფარსავაზი ბრძოლად გავიდნენ და კვლავ შემუსრეს ურიცხვი მტერი.


პართიის მეფეს, არტაბანს, ისლა დაჩენილია, იბერიის ხელყოფაზე უარი ეთქვა. მისა და ქვეყნის მოლაპარაკებებიც შეეცადა მეფე-მის სულგრძელი ხასიათით ესარგებლა და როგორმე ხელსაყრელ დრომდე მასთან შერიგებისთვის მიეღწია.

ეს ამბები მაშინ დატრიალდა, როცა სომხეთს განაგებდა რომის იმპერატორისგან დანიშნული კაცი არტაბანისი. 34 წელს არტაბანისი გარდაიცვალა და არტაბან პართიელმა დაუყოვნებლივ, სანამ რომის ხელისუფლება მისი ქვეყნებში სიკვდილს შეიტყობდა, სომხეთის ტახტზე თავისი უფროსი ვაჟი არშაკი დასვა.

რომის ხელისუფლება არამც თუ სომხეთის დაკარგვას არ შეურიდებოდა, არამედ იგი თვით პართიის შინაურ საქმეებში ჩარევასა და იქ თავისი კაცის დასმასაც აპირებდა. იმპერატორი ტიბერიუსი იმითაც სარგებლობდა, რომ თვით პართიული არი-სტოკრატის ერთი ნაწილი არტაბანის ქედმაღლურ და ტირანულ რეჟიმს ვერ შეგუებოდა, აჯანყებისთვის ემზადებოდა და პართიაში შესაფერისი სამეფო კანდიდატის შერჩევას სწორედ რომის ხელისუფლებას სთხოვდა.

რომში ამ დროს ცხოვრობდა აქვე გაზრდილი მძევალი პართიისა, არტაბანის წინარე მეფის ვაჟი, სახელად ფრატი. არტაბანის მოწინააღმდეგე პართიელთა ელჩებმა და იმპერატო-

უქარაურო სიღვრი



გიორგი

რმა ტიბერიუსმა სწორედ ეს ფრატი მიიჩნევს პართიის კანონიერ მეფედ. სამეფოდ გამზადებული ფრატი, მორთულ-მოკაზმული და ამალით დამშვენებული, რომიდან პართიისაკენ გაემართა, მაგრამ პართიამდეც ვერ მიაღწია — გზად, სირიაში, ავად გახდა და გარდაიცვალა. მაგრამ რომის იმპერატორი არ ცხრებოდა. პართიის ტახტისათვის მან ახალი კაცი აარჩია — ფრატის სისხლით ნათესავი ტირიდატი. მთავარი მაინც ის იყო — და-

ყოვნებას ვერ ითმენდა სომხეთის საკითხი. ტიბერიუსმა სომხეთის ხელში ჩაგდება შემოგულითი გზით სცადა — აუცილებელი შეიქნა იბერიის ჩარევა.

ტიბერიუსმა, უბრუნებლად ყოველსა, შეარჩია წაკიდებული ძმები — ფარსმანი და მირდატი. თან ფარსმანს მისწერა: სომხეთში ქართული ჯარები შეიყვანე, არშაკ არტაბანისძე გადააგდე და მის ნაცვლად სომხეთის მეფედ შენი ძმა მირდატი დასვა. ტიბერიუსი ვარაუდობდა, რომ არტაბანი მთელის ძალებით შეიღებებოდა, ხოლო სანამ იბერიელი და პართიელი ერთმანეთს შეებოძებოდა, მიტოვებულ ქტისიფონში (პართიის სატახტოში) ტირიდატი ადვილად დაიპყრობდა ტახტსა და გვირგვინს. ამასობაში იბერიელები პართიელებს განადგურებდნენ და აშკარად, ტიბერიუსს ორივეგან, პართიაშიც და სომხეთშიც, მმართველებად თავისი კაცნი — ტირიდატი და მირდატი — ეყოლებოდა.

ყველა ამ „აღმოსავლურ საქმეთა“ ხელმძღვანელობა ტიბერიუსმა ჩააბარა ლუციუს ვიტელიუსს.

35 წელს მირდატი ბრწყინვალე ამალით სომხეთის სატახტო ქალაქ არტაქსატაში მივიდა. მისგლისთანავე არშაკის ახლო კარისკაცები მოისყიდა, მათი ხელისუფალი მათვე მოაკლვევინა და სომხეთის მეფედ თვითონ გამოცხადდა. სანამ პართიელები გონს მოეგებოდნენ, ფარსმანი სომხეთში იბერიელთა ჯარით შეიჭრა და არტაქსატასაც დაეუფლა.

რისხვით აღვსილმა არტაბანმა თავისი მეორე ვაჟი ოროდი იხმო და მოკლული მისთვის შურისძიება უბრძანა. მას ევალებოდა, სომხეთიდან ქართველები გაეძევა და თვითონ გამეფებულიყო. პართიელთა დიდი ლაშქარი შეიყარა. თან არტაბანმა მალე-მალე დასაქირავებლად, განსაკუთრებით მას სარმატთა დახმარების იმედი ჰქონდა.

ქართველებიც აღიკაზმნენ ახალი ომისათვის. ფარსმანმა მოკავშირეებად მეზობელი ალბანელები მოიხმო. ალბანელებიც მოვიდნენ. მერე სარმატებთანაც აფრინა ეჯიბნი. სარმატთა ნაწილი ქართველებს მიემხრო, ნაწილიც — პართიელებს, მაგრამ ქართველებმა, რაკი კავკასიონზე გადმოსასვლელი გზები მათ ხელში იყო, სამხრეთისაკენ მხოლოდ თავისი მომხრენი გამოუშვეს, ხოლო პართიელთა მშველელთ გზები

შეუტრეს და უკუაქციეს.

ფარსმანი ქვეით და ცხენოსან ლაშქართა თანხლებით გაემართა პართიელთა ბანაკისაკენ. ოროდი თავდაცვით პოზიციას იკავებდა. ქართველებმა რამდენჯერმე მიიტანეს იერიში მტერზე. ბოლოს პართიელი უფლისწული იძულებული გახდა, ბანაკიდან მთელის ძალებით გამოსულიყო და მტერს გულდაგულ შეებოდა.

მოწინააღმდეგე ერთურთისპირა სამომად გაეწყვიტნენ. ორივე სარდალმა სიტყვით მმართა თავის ლაშქარს. ოროდი თავისიანებს მოაგონებდა ირანის დიდ წარსულს და არშაკილელი დინასტიის სახელოვნებას. ფარსმანი თავის თანამეამაყეებს აქებდა დიდი სიმამაცისთვის, რის მეოხებითაც მათ არასოდეს უცხოელთა უფელი არ განუცდიდათ და არც პართიელთა უფელს დადიამენ გაუკაცურ ქედზე. გამარჯვება დიდ სახელსა და დიდებას მოგვიტანსო, ხოლო გაქცევა — სირცხვილსა და განადგურებას. მერე ფარსმანმა ხელი გაიშვირა მოწინააღმდეგის ოქროვერცხლით მოსვეადებული აღჭურვილობისკენ და შესძახა:

„აჰ, ჩვენთან, ნამდვილი გმირები და ვაჟკაცები არიან, ხოლო იქ, იმათთან — სიმდიდრე, ანუ ჩვენი ნაღვლი!“

სიტყვა ესე ფარსმანმა, მახვილი იმიშვლა, შეუძახა და ცხენს ქუსლი ჰკრა. იბერიელები ადგილიდან მოწყდნენ და მეფეს გამოეჩინნენ. პართიელებმა ისრების სეტყვა შეაგებეს, მაგრამ იბერიელებმა საისრე მანძილი სწრაფი სრბოლით დასძლიეს და მტრის მეწინავე რიგებს შუბების „ჯაგრი“ დაეჭერნენ. მას უკან მახვილებიც დაიძრეს და ხელჩართულ ჩეხვაზე გადავიდნენ.

ოროდის ჯარი თითქმის მთლიანად ცხენოსნებისგან შედგებოდა. იბერიელი ცხენისნები შუბებით, ოროლებით და მახვილებით ცხენებიდან ყრიდნენ მტრის მხედრებს, ხოლო ძირსადაც იმელებს კვლავდაკვალ მორბენალი ქვეითი ქართველნი წაიძვრებოდნენ ალარ აკლიდნენ და მიწის ზედ აკლავდნენ.

დღის სიმაძაცით იბრძოდნენ თვითონ სარდალნი — ფარსმანი და ოროდი. ისინი დაჰქროდნენ ხან აქ და ხან იქ, ყველგან, სადაც განსაკუთრებით შეჭირვოდა მათი ლაშქარი.

ბრძოლის სასწორი ვერ ისევ წონასწორად ჰანაობდა, როცა ფარსმანი და ოროდი ერთიმეორეს მოულოდნელად შეეჩხენნენ. წამიერი გარინდება დასძლიეს, საომრად აღიმართნენ, ერთმანეთს შეუზახნეს და ცხენები დასწლიტეს.

ფარსმანმა დაასწრო, მოპირდაპირეს მახვილი უხეთქნა, მუზარადიც გაუპო და თავიც გააკვეთა. ხელმეორე შემოქნევა ვეღარ მოასწრო. რადგან დოთხებულმა ცხენმა გაიტაცა მეფე ქართველთა. საჭიროც აღარ იყო, პართიელთა უფლისწული მძიმედ დაჭრილი გადმოეშვა ცხენიდან. მის წინ კედელი აღმართეს ერთგულმა პართიელებმა. ბრძოლის ველს ელვასავით დაუბრუნა ზვიადქმნილმა აშბავმა — ოროდი მოკვლესო. უკვე ძლიერი პართიელები სრულმა შიმშილი მოიცვა. მეფის გმირობით და მტრის დამაბუნებით ფრთხილად შესწამული ქართველები უკანა-სკნელ იერიშზე გადავიდნენ. პართიელთა მხოლოდ მცირე ნაწილი გაასწრო სიკვდილსა და ტყვეობას.

შურისძიების ცეცხლით აღვსილმა არტაბანმა ახალი ჯარები შეკრიბა და იბერიის გასანადგურებლად დაიძრა. მაგრამ სწორედ ამ დროს, რომის აღ-

მოსავლეთ საქმეთა გამგებელმა ლუციუს ვიტელიუსმა ლეგიონები შეკაზრა და ხმა გაატრეკლა, მესობოტამიისა და ქტესიფონის დასალაშქრავად მოვლივარო. არტაბანი იძულებული გახდა, იბერიის დასალაშქრავი საომარი ძალებით ისევ პართიის დასაცავად დარჩენილიყო.

მაშ, ესოდენ მომზობლავი სამეფო ტახტი სომხეთისა იბერიელმა მირდატმა დაიმკვიდრა. არტაბანს სომხეთისათვის ფიქრის საშუალებაც წაერთვა. რომაული ლეგიონების მოახლოება პართიის მეფეს საბოლოოდ ჩამოაშორა ისედაც უკმაყოფილო არისტოკრატია. იგი მხოლოდ უცხოელ დაქირავებულთა და უსამშობლოო მცველთა აშარად დარჩა. ბოლოს და ბოლოს, არტაბანი იძულებული შეიქნა, მეზობელ სკვითთა ქვეყანაში გაქცეულიყო.

პართიის ტახტი ტირიდატმა დაიჭირა. ვიტელიუსმაც თავისი ამოცანა ლეგიონებულად მიიჩნია და შევიდნენ მესობოტამიიდან გამობრუნდა. მაგრამ ტირიდატმა ტახტი ვერ დაიმარგრა: არტაბანი სკვითისაკენ დახმარებით მობრუნდა და პართიის ხელმწიფობაც ისევ ჩაიგდო ხელში. მალე არტაბანი მისმა ახლო ნათესავებმა ცოლ-შვილიანად ამოწყვიტეს და პართიის ტახტ-გვირგვინისათვის ბრძოლაში ახალი მძიბელები ჩაებნენ.

სწორედ მაშინ, 37 წელს, კუნძულ კაპრიზე, პირველი ტიბერიუსი მცველმა პრეტორიანელებმა სახეობით მოკლეს. რომის იმპერიის ტახტზე ავიდა გაიუს კალიგულა, შემოიღო, ბნელიანი მინაჯი. სწორედ ამ კალიგულამ მირდატი რომში მიიწვია, მოულოდნელად შეიპყრო და ბოროტად დააღ. ალბათ, ახალ იმპერატორს ეჭვები თუ ნამდვილი ცნობები ჰქონდა მირდატის განზრახვისა: სომხეთი სავსებით წაერთმია რომისათვის (კალიგულასთვის ეჭვებიც საკმარისი იყო). მაგრამ ვერც კალიგულამ მათათა დიდახს. 41 წელს ეს საშინელი მიზანთროპიც პრეტორიანელებმა მოკლეს და მის ნაცვლად კლავდიუსი გახელმწიფეს. კლავდიუსმა მირდატი გაათავისუფლა და ისევ სომხეთის მეფედ გამოგზავნა.

რაკი პართიის სასახლის კარზე აშლილობა არ ცხრებოდა, იბერიელებსაც საშუალება ეძლეოდათ, უფრო ფართოდ ეხმობათ. ფარსმან მეფემ ახალი ძალით გააჩაღა ბრძოლა სომხეთის შემოსამტკიცებლად.

სომხეთის ციხისიმაგრებში რომაული ციხიონები იდგნენ, ხოლო ველ-მინდვრები მთლიანად ქართლის მხედრობამ დაიჭირა. მხოლოდ სარდალმა დიმიტრიამ გაბედა ბრძოლის განაგრძო. მაგრამ ქართველებმა ის სასტიკად დაამარცხეს და სომხებმაც ყოველგვარ წინააღმდეგობაზე ხელი აიღეს. მათ უეჭველად ქართველებთან ერთობა ერჩიათ, ვიდრე პართიელებთან მონობაში ყოფნა, ერთი გაბრძოლება მცირე სომხეთის მმართველმა კოტისმა სცადა, მაგრამ იმპერატორის წერილმა მოუწყო და ისიც მირდატს დაემორჩილა.

მირდატი სასტიკი ბუნების ადამიანი იყო. სწორედ სასტიკი ქვეყნისათვის სომხებმა იგი შეიძულეს და მისი დამხობისთვის ზრუნვასაც შეუდგნენ. ფარსმანაც საჭიროდ დაინახა, რომ მირდატი სომხეთისათვის უფრო ლობიერი და სასულგელი მმართველი შეეცვალა.

ასეთად მან მიიჩნია თავისი ვაჟი.

გაბრიელა
შეხვედრის ნომერი

ბიზნისი
მაია ნინოშვილი
ბიზნისი ბიზნისი
1950 86th street, 2FL
Brooklyn, NY 11214
კუთხედი
საქონლზე
მსოფლიო
მომსახურების
დღისით: 917-974-7166
საღამოს: 718-621-6846
ფაქსი: 718-621-6846
ელ.ფოსტა: mnc7@earthlink.net

სახალისოფლო თაბახაბი

სასიკვდილო უაღაბი

გაზრდილება. დასაწყისი იხ. „მედი“ № 14-17, 22-26

შეფის მოხსნის შემდეგ თითქოს უპაერო სივრცეში დავრჩი, დავალებებს აღარ ვიღებდი, ვერაფერი მაძინებდა. ამ მდგომარეობაში მყოფმა ცკ-ის აპარატში როგორღაც მაინც გავატანე 1985 წლის გიგანტური ზაფხული და მშვენიერად შემოდგომა. სამსახურში დროულად ვცხადდებოდი, სამუშაო აღვიღს ვიკავებდი, თავიდან ბოლომდე ვკითხულობდი რესპუბლიკურ და საკავშირო პრესას და ასე ვკლავდი საათებს დღის ბოლომდე.

ტელეფონები ღუმდა. არავინ მაწუხებდა. ჩემი ახალი შეფი, ცკ-ის მდივანი გვი ანხაბაძე თანამშრომელს გარეშე იოლას ვადიოდა. ერთ-ორჯერ, მართალია, ვცადე, ლაპარაკში გამომეწვიე, მაგრამ, სამწუხაროდ, უშედეგოდ. ის უზომოდ მოუტყულოვას იმიზეზებდა და საუბარს თავს არიდებდა. ამკარა იყო, რომ ჩემი მოკრძალებული პერსონის შემდგომი ბედი დიდი სახლის სულ ზედა სართულზე წყდებოდა.

და უკვე, სრულიად მოულოდნელად, ცკ-ის მეორე მდივანი, თავად ამხანაგი ნიკოლასის დავალება მივიღე — რესპუბლიკაში მოგზაურობისას მოსკოვში სტუმარს უნდა ვხვდებოდი თან. მივლინება გააფორმეს, შესაბამისი თანხა გადმომცეს. და აი, თითქოს ისევე გამომიჩინდა საქმე — ერთ-ერთი მოსკოვური ჟურნალის კორესპონდენტის გიდი ვაგენი. ინსტრუქტაჟი უკიდურესად ლაკონურია — ყველანაირად შეგუწყო ხელი, რომ ცენტრალურ პრესაში ისეთი სტატია დაიბეჭდოს, „როგორც სავიზა“.

ამ მეტამორფოზის საიდუმლო მარტივად აიხსნა. ჩამოსული სტუმარი, რომლის წინაშეც რესპუბლიკის მაღალჩინოსნები უკანა თათებზე დადიოდნენ, კარგად მიცნობდა ახალი ამბების სააგენტოში ერთად მუშაობის პერიოდისა, სადაც ცკ-ში გადასვლამდე საქართველოს საკუთარი კორესპონდენტი ვიყავი. და, როგორც აღმოჩნდა, თვითონვე დაასახელა ჩემი კანდიდატურა თავის თანხმობით. მაღალჩინოსნებმაც, ბუნებრივია, ასეთ წვრილმანზე უარი ვერაფრით უთხრეს.

ერთი კვირის განმავლობაში რესპუბლიკის ცეკ-ის ავტომობილით ვსვრავდი. დედაქალაქელი ჟურნალისტის მიერ საქართველოს ღირსშესანიშნაობათა დათვალიერება, ძირითადად, მის სამზარეულოსა და სასმელებთან ნაცნობობით შემოიფარგლებოდა. ჩემი, როგორც გიდის როლი კი იმაში გამოიხატებოდა, ამ ქვეყნის დროს როგორმე ყანწი არ გამეზარდნოდა ხელიდან.

— როგორც ვაგენი, უსიამოვნებები გაქვს? — მკითხა თუ დამიდარსტურა ერთ დღესაც სტუმარმა.

— საიდან მოიტანე? ყველაფერი რიგზეა.

— მაშინ შენს ყოფილ მეფთან დაკავშირებით შეიძლება უსიამოვნებები აწი შეგემთხვეს, — არ მომეშვა მოსკოველი. — ჯამბერ ილიჩთან, შეიძლება ითქვას, მძაკეული ურთიერთობა მაქვს. თუ გინდა, სიტყვას შეგაწვე.

— ღვთის გულისათვის, არ არის საჭირო, — შევევღერე მე. — დამდე პატივი, ჩემი სახელი საერთოდ არ ახსენო.

— შენი ნებაა, — ცოტათი გამინაწყენდა სტუმარი.

თბილისში დეკემბრის შუა რიცხვებში დავბრუნდი. ბინის კარის ვაღებაც ვერ მოვასწარი, თითქოს მდარაჯობდა, ტელეფონი აწკრიალდა. ყურმილი ავიღე.

— გვეც შენ, აიყვანეს თუ არა შენი მათეოზი? — გავიკონე უცნობი, გამიჩრდილი ხმა.

— და სანამ პასუხს მოვიფიქრებდი, ყურმილში წყვეტილი სიგნალები გაიშინა. ასე შევიტყვე სოლიკო ხაბეიშვილის დაპატიმრების შესახებ. ვიღაც „კეთილის მსურველმა“ არ დაიზარა და ეს ამბავი დროულად მაცნობა.

სოლიკო ოჯახის წევრებმაც, ვფიქრობ, ეს იმავე დღეს გაიგეს. პატიმრის თვითმფრინავი, ალბათ, ჭერაც პერსონა იყო ან თბილისის აეროპორტში ეშვებოდა, როცა მათ ბინას ჩეკისტი ქოვავების ბრიგადა დაატყდა თავს ვასაჩხრეკად. ყველაფერი გადაქექეს, აურ-დაურის, სარდაფში ფენაფენა გრუნტის გათხრაც არ დაზარებიათ განძისა და ფულით სავსე ჩემოდნის ძებნაში. მაგრამ, როგორც ხვდებით, ვერაფერი იპოვეს. ბნელ ოთახში შავი კატის ძებნა, ბრძენი ჩინელების აზრით, უპერსპექტივო საქმიანობაა, მითუმეტეს, თუ ეს კატა ოთახში არ არის და არც ყოფილა.

მაგრამ ეს ჩინელების აზრია. ჩეკისტებს კი სიბრძნის მაგივრობას „ცივი“ გონება უწევს, მათი „მსურველი“ გული უფროსების საამებლად ძვერს მკერდში, „სუფთა“ ხელები კი დეკემბრის იმ დღეს სარდაფში ლამის დედაქალაქის ბირთვამდე ამოთხრილი მიწასა და თიხაში ჰქონდათ ამოთხრილი.

ამბობენ, რომ უბედურება მარტო არასოდეს მოდის. და ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში ყოველი ჩვენგანი ათასჯერ დარწმუნებულია. სოლიკო ხაბეიშვილის სახლს განსაცდელი ნელა, დაყინებით

უახლოვდებოდა და მსხვერპლს ერთმანეთის მიყოლებით ცეკვავდა. მოულოდნელად გარდაიცვალა სოლიკოს მამა — უხუცესი და დამსახურებული ფინანსური მუშაკი. მის ხელზე ითაობით კი არა, მილიონობით ბანკოტს ვაუფლია, მაგრამ თვალი სპილენძის გრომისკენაც არასოდეს გაქცევია. მერე კიბომ თავისი მარწუხებით სოლიკოს და — ინგა მოვუდი. ბოლოს კი უბედურებამ შამაიანი ნესტარი შეიღს — გიგის დაუმიზნა.

აი, როგორ მოხდა ეს. ახალგაზრდა ნაოსნებმა, თბილისის იახტულების წევრებმა, როგორც ყოველთვის, თავიანთი ხომალდი ღია ზღვაში გაიყვანეს. ზღვა ღია, მაგრამ აბსოლუტურად უნიფორმა — თბილისის იყო, ასე რომ, იახტას არც წყაქვეში მუჩეჩები ეშუქებოდა, არც მტორმი. უღრუბლო, ცხელი დღე იდგა — 1985 წლის 28 მაისი. უბედურებას თითქოს არაფერი მოასწავებდა. ხუთივე გამოცდილი „მეზღვარი“ იყო და სანაოსნოდ უკვე მერამდენედ გადიოდნენ. მაგრამ

მას, ის კი რატომღაც იბღვირება.

თუმცა, კიდევ ერთი დეტალი არსებობდა. კაბინეტის პოლკოვნიკისსამხრებშიანი პატრონი ამ არაფრისმთქმელი საუბრის დროს უკიდურესად დაძაბული იყო, წამდაუწყებლად გაცქვროდა მაგიდაზე ტელეფონს, თითქოს რაღაც მნიშვნელოვან ზარს ელოდებოდა.

და ეს ზარი, ბოლოს და ბოლოს, გაისმა. ყურმილში მოსმენილი ცნობა, როგორც ჩანს, მართლაც მნიშვნელოვანი იყო, რადგან პოლკოვნიკს სახე გაუხანდა, დაძაბულობა უკვალოდ გაქრა. მან ზურაბს სრულიად სხვა, სულაც არამეგობრული მზერა სტყარცნა და მტკიცე, დამაჯერებელი კონიუტის უთხრა: — აი, ასე, გეთაყვა, ახლა ველარავინ გიშველი ან ყველაფერს აღიარებ, ან ციხეში დალაპებ.

ზურაბმა მხოლოდ მოგვიანებით შეიტყო, რომ სწორედ იმ წუთებში შეწყდა პროკურორი ანზორ ბარაბაძის გულისცემა (შეგახსენებთ — მილიციის დახმარებით) და მისმა მოადგილემ მყისვე მო-

გიორგი ბუზირბანი



გაუთვალისწინებელი რამ მოხდა. იახტა ანტიელექტროგადამცემ ხაზს დაეჯახა. სამინ — ძმები ჩხაიძეები და გავი ჩოგოვაძე — ადგილზე დაიღუპნენ. ვახო ღუჭიძე გადაჩრა. გვი ხაბეიშვილი დარტყმამ ნაპირზე გამოიჩია. ის, ფაქტობრივად, კლინიკური სიკვდილის მდგომარეობაში იყო. და შემთხვევით ჩავლი ავტომობილისტი რომ არ შეენიშნა, დიდი ხნის სიცოცხლე აღარ ეწერა. მაგრამ უფედა სწორად მოგვეგუნეს ასეთ წუთებში კეთილ აღამიანებს. მძღოლმა უსიცოცხლო სხეული დინახა, მომაკვდევინებოდა ქალაქის პირველ საავადმყოფოში გააქანა და იქ, დაუყოვნებლივ მიღებული ზომებით, ის მკვდრეთით აღადგინეს.

დავიმხსოვროთ ეს სახელი — გივი ხაბეიშვილი. ჩვენს მოთხრობაში მას კიდევ შეგვხვდებით.

„ხაბეიშვილის მოლარის“ როლზე დამტკიცებული ზურაბ მაისურაძის მეორე დაპატიმრება, პირველისგან განსხვავებით, უფერულად, მილიციის ტექნიკის გამოუყენებლად, მინიმალური ჯგუფით ჩატარდა. დაუპატიმრებელმა გიზიტორებმა, რომელთაც არც დაპატიმრების ორდერი ჰქონდათ, არც — ჩხრეკის, თავაზიანად სთხოვეს ზურაბს, „რადაც დეტალების დასაზუსტებლად“ გაეყოლოდა. ზურაბი აღარ გაიჭრებოდა და რადგანაც სახლში მარტო იყო — ცოლი ავადმყოფი შვილებს ედგა თავზე საავადმყოფოში — გასაღები მეზობელს დაუტოვა და ჩეკისტებს გააყვა.

უკვე ნაცნობ კაბინეტში მივიყვანეს. მაგრამ ამხელად ყველაფერი ღირსეულად და კეთილშობილურად იყო. არც ქიმიკები, არც შეფურთხება. ისე, დარღმინდული საუბარი აქეთურ-იქითურზე — ამინდზე, ფეხებთანზე, იმაზე, რომ მილიციელები ზურაბის გულწრფელი მეგობრები არიან, მისთვის მხოლოდ სიკეთე სურთ და ის რომ მათთან გულახდილი ყოფილიყო, არავითარი პრობლემა არ შეექმნებოდა. უცნაური კაცია, ისე ექცევიან, როგორც მეგობარს, ამხანავს და

აწერა ხელი „ხაბეიშვილის მოლარის“ დაპატიმრების ორდერს.

ზურაბი თავის „ეგზეკუტორებს“ ხელში დიდი ხნით და საფუძვლიანად ჩაუფარდა.

მაგრამ ცნობილია, რომ ყველა მსახიობს უნდა ჰყავდეს ღუბლიორი. ძირითად მოთამაშეს — სათადარიგო. პირველ კოსმონავტს — მეორე კოსმონავტი. ბატონი ჟანდარმების მიმართ უსამართლონი ვიქნებოდით, თუ ვიტყვოდით, რომ მათ ეს გარემოება არ გაითვალისწინეს. რა თქმა უნდა, ყველაფერი საუკეთესო მილიციურ და კოსმონავტურ ტრადიციებში გაეკეთა. „№ 2 კოსმონავტი“ ერთდროულად აიყვანეს. ამ როლის შესრულება ცკ-ის ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების განყოფილების ინსტრუქტორის თეიმურაზ ხოდეის ერაგ.

დაპატიმრების საფუძველი? ღმერთო ჩემო, რაღა საფუძველია საჭირო? ხოდელი ნავთობპროდუქტების სახელმწიფო კომიტეტს კურატორობდა, რომელსაც დაპატიმრებამდე „პირწავარდნილი მექრთამე და სოციალისტური საკუთრების დამტაცებელი“ უბირია ედგა სათავეში.

თემურ ხოდელი — სუსტი, ინტელიგენტური, როგორც იტყვიან, „ოთახის ბიჭი“, დღეს უკვე ყელში ამოსული ამერიკული სერიალების „კერტე კაკალი“ ვერ აღმოჩნდა. ის არც ჯიუტ „პირველ კოსმონავტს“ ჰგავდა. ამიტომ ჯერ კიდევ მანქანაში, თავის უკანასკნელ ნაგასყიდვლთან მიხედვით „აღიარა“ ყველაფერი — რომ უბირია სანთებლებსა და ავტოკალებს ჩუქნიდა, ერთხელ 30-მანეთიანი ყავის სერვისიც კი უფეშქაში. ისიც, როგორც კურატორი, ბუნებრივია, „მექრთამეს“ ხელს აფარებდა. საბრალო იძულებული ვახდა, ყოფილი ნავთობმაგნატის მიერ მისთვის ფულად ქრთამის გადაცემაც ელიარებინა. მოკლედ, სანამ ავტომობილი „არცთუ შორეულ ადგილებთან“ დამუხრუჭებდა, ხოდელის „საქმე“, ფაქტობრივად, წარმატებით დასრულდა და მან თავისი მაქსიმალური ვადა უკვე დაიმსახურა.

მაგრამ აქ ვფიქრობ, ზედმეტი არ იქნება ხსენებულ ფულად ქრთამთან დაკავშირებით მკიერე განმარტება. თემურის დაპატიმრებამდე ცოტა ხნით ადრე ავტოკატასტროფაში დაიღუპა იმავე განყოფილების ინსტრუქტორი, მისი თანაკაბინეტელი ჯემალ მარგველაშვილი. ბუნებრივია, ამ ტრაგიკულ ამბავთან დაკავშირებული ყველა რიტუალური ღონისძიების — მორგიდან ცხედრის სახლში გადასვენების, ბალზამირების, დაკრძალვისა და ქელების ორგანიზება თეიმურაზ ხოდეის ხედა წილად. სწორედ მაშინ გამოცხადდა მისი კაბინეტში კომიტეტის შეწყვეტული თავმჯდომარე ალექსანდრე ვეგენის ძე უბირია, რამდენიმე ასმანეთიანი კუბიურა გადასცა და უთხრა: „ეს ჩემი წილია“. ვის შეეპარება ეჭვი, რომ მთელი ეს თანხა უკანასკნელ კაბიკამდე დაკრძალვის საქმისათვის დაიხარჯა, რომელი ქრისტიანი მითვისებდა მიცვალებულის ფულს?

მაგრამ... ფულის გადაცემის ფაქტი მოხდა? მოხდა. ამჟამად ძიებაში მყოფმა უბირიამ ეს თანხა ასევე ძიებაში მყოფ ხოდეის ხელიდან ხელში გადასცა? გადასცა, თანაც მოწვეების თანდასწავრებით. ასე რომ, ეპიზოდი შეიძლება დამტკიცებულიდ ჩაითვალოს და ოქმშიც ჩაიწეროს. დამნაშავეთა დაპირისპირება საჭირო არ არის. ორივეს ჩვენება დეტალებში ემთხვევა ერთმანეთს.

რა? ფული ამხანავის დაკრძალვას მოხმარდა? რაზე დაიხარჯა ქრთამის თანხა, „კატორას“ არ აინტერესებს. ეს მას, როგორც იტყვიან, ფეხებზე ჰკილია.

და თეიმურაზ ხოდელმა არაფრისთვის ამოჰყო თავი ციხეში. დახვრეტა, რა თქმა უნდა, ვერ მიუხაჯეს. სანთებლისა და ყავის სერვისის ჩათვლითაც კი მეტისმეტად მიზნურული თანხა შეეკოწიწა. მაგრამ 15 წელი კი მიარტყეს, რათა სხვებს კრიმინალური სანთებლების ჩნაკუნის სურვილი გაჰქრობოდათ. მაგრამ მთელ ამ საქმეში ყველაზე საინტერესო ის არის, რომ თემური მინდორზე სათადარიგო მოთამაშედაც არ გაუშვიათ. ხაბეიშვილის „საქმესთან“ მისი მიწებება არ მოხერხდა. როგორც გაიკვია, ცკ-ის ყოფილი მდივანი თავის ინსტრუქტორს დიდად არ სწყალობდა. თუ გულახდილები ვიქნებით, თითქმის ვერ იტანდა. რატომ, არ ვიცი. მაგრამ ამ ფაქტის დადასტურება პირადად შემიძლია. შეფის კაბინეტში თემური ფრიად იშვიათად შედიოდა, ისიც ყველასთან ერთად, გაფართოებული თათბირების დროს. მარტო კი — არასოდეს. ასე რომ, „ქრთამის“ გადაცემას, თუნდაც, ამის დიდი სურვილი ან უბირიასგან მიცემული დავალება ჰქონოდა, ვერაფრით მოახერხებდა.

ამბობდნენ, რომ თემური ციხეში თავის მოკვლას ცდილობდა — ვენები გადაიჭრა, თავის ჩამოხრჩობა სცადა. საბედნიეროდ, გადაარჩინეს. თუმცა, არც ვიცი, საბედნიეროდ თუ... ამასწინათ რუსთაველის გამზირზე შეგხვდი. უწინდელი ელევანტური, რესპექტაბელური თეიმურაზ ხოდეის აზრდელი იყო. რაღაცას აბნეულად ლაპარაკობდა, უმიზეზოდ იცინოდა. ოღონდ ამ სიცილეში თვალები არ მონაწილეობდა. მას ყველაფრისადმი გულგრილი, ჩამქრალი, მკვდარი თვალები ჰქონდა.

ასე დამახინჯდა კიდევ ერთი სიცოცხლე. თანაც სრულიად უაზროდ, სხვათაშორის. ვის კისერზეა სახელისუფლო თამაშების ეს მსხვერპლი?

● მოდით, ცოტა ხნით დავტოვოთ საკნებში მოწერილი ჩვენი პატიმრები და მოთხრობის სხვა პერსონაჟებზე გადავიდეთ. ცნობილია, რომ სრულფასოვანი დეტექტივი ქალის გარეშე არ არსებობს. ქალი-მაცდელი, ქალი-მომაჯადოებელი, ქალი-ბოროტოქმედი. მეტსაც გეტყვით, ცნობილი ფრანგული ანდაზა „Cherchez la femme“ — ეძებეთ ქალი — ოდითგანვე მოელი ჟანრის საძიარკველია.

ჟანრის კანონებს ნურც ჩვენ ვუღალატებთ. ვეძებთ და ვიპოვებთ ქალი. მაგრამ არა, მგონი, დავასწრეს. და ჩვენზე ადრე ამ ქალს მამაცმა ოპერმუშაკებმა მიაგნეს.

აი, როგორ მოხდა ეს ამბავი. თებერვლის ნაცრისფერი განთიადი მის სიხმარში ტელეფონის მჭახე ზარით იჭრება. ყურმილში აღელვებული ხმა ისმის. ვისი — ქალი ვერ არჩევს. მთვლემარე ცნობიერებამდე მთავარი აღწევს — ხანძარი. იწვის ნავთოლუის ბაზარი. ხოლო ჩვენი გმირი უბრალო დიასახლისი კი არა, ქალაქის საკომუნურნეო ბაზრების მმართველია. თმადუფარცხნული გამოიჭრა გარეთ. პირველივე ავტომანქანას გადაუღდა. თავში უტრიალებდა — 13 თებერვალი, ეშმაკის დღე. დღე უბედურებით იწყება.

უბედურება მართლაც ჩასაფრებოდა. მაგრამ არა ნავთოლუის ბაზარში, სადაც სინამდვილეში ნაბერწყალიც არაფერს ჩამოვარდნიდა. არამედ ნავთოლუის გზის განმტოებაზე.

შემდეგ ნომერში: ქართული ნაგებობის „ჩინის ლაი“

© MAMULI DESIGN



WWW.CARBYCAR.COM

პარტნიორი **www.gezi.us**

Caucasus Express უკს. „სარკაი“

- ავტომობილების შეძენა სადილერო აუქციონებზე;
- ტრანსპორტირება ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე;
- ტრანსპორტირება ფოთის პორტამდე, თბილისამდე;
- ავტონაწილების შეკვეთა.

WWW.CARBYCAR.COM



ახლოვე 20 წახან!

მკვან შაიბუმოს

აკვლამკითხვ სრულ მსვლმომ:

რამდენი მფლობელი ჰყავდა, მოხვედრილა თუ არა ავარიაში, წყალდიდობაში, ხანძარში, რეალურ გარბენს, არის თუ არა მოპარული და ა.შ.

**ავსოვობილვაბი ბანვალვაბით
ჩვენთან მს მარტივია - უმომდიხართ ოფისში
და ჩვენთან ვაფორმებთ ყველა საბუმოს.**

აშუმ: 1(201)333-5555

თბილისი: (995) 32 952-609

ბათუმში: (995) 99 491-992



**შმლაკათმვაბი
ზაბზაჰნაში:**

- 1 მანქანა: **980\$**,
- 2 მანქანა: **950\$** თითო,
- 3 მანქანა: **920\$** თითო,
- 4 მანქანა: **890\$** თითო.





ჩემო რუსუდანი!

...გაზაფხულის შემონათებას შემოჰყევი, ბუნების განახლება-აყვავებას და დღემდე გაზაფხულის იმ ძალაძობრივად და წმინდა მზის სიმბოლო ხარ ჩემთვის, სიცივესა და სიბნელეს რომ ვერ იგუებს და სიკეთის თბილი შუქით რომ ავსებს ყველას და ყველაფერს თავის გარშემო. თავის დროზე უბედნიერეს ქალად მაქცია შენმა დაბადებამ, მინდა იცოდე, რომ დღესაც უბედნიერესი და ამაცი ვარ შენით, რამეთუ შენ ჩემი ქალობის გამართლება ხარ ჭეშმარიტად!

დაბადების დღეს გილოცავ შვილო, ჩემთვის ასე მშვენიერ დღეს ყოველივე საუკეთესოს გისურვებ ქმარ-შვილთან ერთად, გისურვებ ჯანმრთელად ყოფნას, შენი პაწაწინების სასახელოდ დაზრდას, ოჯახის მთელობას და ღმერთის წყალობა-მფარველობას.

გეოცნი და ღმერთს ვთხოვ ჯანმრთელად გიმყოფოს შენი თავი და შენს პატარა ფრთებს შეფარებული ჩვენი ოჯახი.

შენი დედიკო **ლენა ბურცევა**

**მილოცვაში
განცხადებაში
„მამული“**

დაბადების დღეს ვულოცავთ ჩვენს **ნუგზარ ძნელაძეს**, ნიუ იორკის ერთ-ერთ კოლორიტს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, უღვევ სიხარულსა და ბედნიერებას.

გაზეთი „მამული“

* * *

დაბადების დღეს ვულოცავთ ჩვენი გაზეთის ერთგულ მეგობარს, ქართული კრიტიკის რუსულ ენაზე შესანიშნავად თარგმნის დიდოსტატს, ქალბატონ **მერი ცისკარიძეს**, ვუსურვებთ სიხარულსა და უღვევ ბედნიერებას.

გაზეთი „მამული“

* * *

ჭინჭყელი მარტის დედოფალს **მაია ყავლაშვილს** ვულოცავთ დაბადების დღეს, ვუსურვებთ ბედნიერებას, მზეგრძელობას და მალე დაოჯახებას.

მეგობრების სახელით:
მანუჩარ კაჭანიძე

* * *

ჩვენს **უანა ეფრემიძეს** ვულოცავთ დაბადების დღეს, ვუსურვებთ საქართველოში მალე დაბრუნებას და შეილთა ბედნიერებით ტკობას.

მეგობრები

Любимой жене **Юличке Моргуновой** мои поздравления с Днём Рождения с далёкой Грузии в Нью-Йорк.

Юличка, хочу поздравить тебя с Днём Рождения, желаю тебе счастья, здоровья, и скорой встречи со мной!

Целую, сильно скучаю и с нетерпением жду увидеть тебя.

С любовью, любящий муж **ЛИВАН.**

ვაშაძე ინგლისურში ნებისმიერი დონისა და ასაკის მსურველებს. ტელ: 718-784-1337 ლელა

ვეძებ დროებით (live-in) სამსახურს მოხუცის მომვლელად ნიუ იორკში ან მის შემოგარენში, იენის-ივლისიდან მაქსიმუმ 20 სექტემბრამდე, დასვენების დღის გარეშე. ვარ 31 წლის განათლებული ქალი სათანადო გამოცდილებით, ამერიკის რეზიდენტი, არ ვვლობ მანქანის მართვის უფლებას. თუ ვინმეს გსურთ ზაფხულის თვეებში დაისვენოთ, ვთხოვთ შეგეხმანეთ lalaliko@yahoo.com ან ტელეფონის ნომერზე: 201-838-4433. ლელა

ქირავდება ოთახი სუფთა ოროთახიან ბინაში, მე-3 სართულზე, F-ტრენინის ზაზზე, გაჩერება avenue P, ცნობისათვის დარეკეთ: 732-877-9703

მესაჭიროება აგურის მწყობელი ხელოსანი შენობის ფასადზე მუშაობისათვის. სამსახური არის ოპაიოს შტატში. დარეკეთ: **6 საათის შემდეგ** 859-466-8809, 859-912-9082 იკითხეთ **ავთანდილ ინასარიძე**

იყიდება მიწის ნაკვეთი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად თბილისში, საბურთალოზე, კანდელაკის ქუჩაზე, ლისის ტბის ასანჯვზე. ცნობისათვის დარეკეთ: 646-510-6111, 347-713-5174

გაზეთ „მამულის“ რედაქცია დაბადების დღეს ულოცავს ნიუ იორკის წმიდა ნინოს სახელობის ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის წინამძღვარს, მამა **ალექსანდრე თანდილაშვილს**. უსურვებს ჯანმრთელობასა და მხნეობას ამერიკაში ქართველთა სულიერი სიმტკიცის მეოხად.

ნელი, ძვირფასო ქალბატონო, ჩემს გულისხმას ვუერთებ იმ ადამიანთა კეთილ სურვილებს, შენი დაბადების დღის მოლოცვასთან დაკავშირებით რომ გამოითქვამენ. მინდა საქვეყნოდ განვაცხადო, რომ ვამაყობ ახლობლობით შენთან, ქალთან, რომელმაც ღირსეულად გადალახე ცხოვრებისეული ბარიერები, არ გაბოროტდი და ყველა ის დიდებული თვისება შეინარჩუნე შენი ქვეყნის შვილს, შენს ლამაზს გენებსა და წარმომავლობას რომ ეკადრება, ერთგული მეუღლე, საუკეთესო დედა რომ ხარ, გულითადი მეგობრობა რომ შეგიძლია.
მოწინებთ შენი **გიული ჟირათიელი**



\$9.99 გადასახადი გადაგზავნისათვის*

ნიუ-იორკიდან და ზოგიერთი სხვა ქალაქიდან საქართველოში \$500 გადაგზავნისას

არსებული ფასდება შეიძლება შეიცვალოს კომპანია MoneyGram-ის აგენტ ოლდა ჩუდაკოვასთან ტელეფონით 1-800-624-4606 ext. 2380

დანთხუნულების ადგილი	გადასახადი	გადასახადი
სამართმელი	გადასახადი	გადასახადი
\$0 - \$500	\$9.99*	
\$500.01 - \$1,000	\$14.99*	
\$1,000.01 +	2%*	

ფული დანთხუნულების ადგილას ჩადის 10 წუთში**
1-800-926-9400 www.moneygram.com

* გადაგზავნისათვის ფულადი გადასახადის გარდა გამოიყენება ვალუტების გაცვლის კურსი, რაც დადგენილია კომპანია MoneyGram-ის ან მისი აგენტის მიერ.
შეიძლება მოხდეს გადაგზავნისათვის გადასახადის ვარიანტი აგენტის ადგილობრივი ფილიალისაგან დამოკიდებულებით და ის არ არის მუდმივი.
** კომპანია MoneyGram-ის სამუშაო საათებისაგან დამოკიდებულებით.
ფულადი სახსრების გადაგზავნის მომსახურების ღირებულება ვარაუდობა ნიუ-იორკის შტატის საბანკო მომსახურების განყოფილების მიერ.
©2006 MoneyGram Payment Systems, Inc. ყველა უფლება დაცულია.



